# არსენალი

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 3 ლარი



ქართული მსხვილკალიბრიანი სნაიპერული...

1425/2
2014

არაღი
ი

რას აკვირდებოდა ირანის შაჰი საქართველოს საზღვარზე...

10 წელი თქვენთან ერთად!

N6 (196) ივნისი, 2014

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი



4



?



79



81


**4** კალეიდოსკოპი
სამხედრო სიახლეები

**8** იუბილე
10 წელი თქვენთან ერთად!

**10** იუბილე
„არსენალს“ ულოცავენ

**15** უკრაინის კრიზისი
ანტიტერორისტული
ნაბიჯი წინ, ორი — უკან?

**19** ექსპოზიცია
საქართველო
SOFEX 2014-ზე

**22** პოსტსაბჭოთა სივრცე
ეთნოკონფლიქტები
ერთნაირი სცენარით

**26** რეგიონი
ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...

**30** ძველი საქმე
საქართველოს ეროვნული არქივის
დაბრუნების საიდუმლო

**34** ოკუპირებული ტერიტორია
მავთულხლართებით
„ჩაქრილი“ ინტერვიუ

**38** პროპაგანდისტული ომი
„საინფორმაციო ფრონტზე“
რუსეთის ძველი გვარდია გამოჩნდა

**44** საბრძოლო მანქანები
რას აკვირდებოდა ირანის შაჰი
საქართველოს საზღვარზე...

**48** ავიაცია
ქართველიშვილის სამმახიანი
გამანადგურებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა


ფლოტის წარსული 52
ცუსიმის ბრძოლაში
დაღუპული წერეთელი

ომების ისტორიიდან 56
ვიეტნამის ომის პირველი
სისხლისმღვრელი ბრძოლა

პროფესია — სამხედრო 60
„წითელი ბარონი“ — ლეგენდარული მფრინავი
მანფრედ ფონ რიხტჰოფენი

საფორტო ნაგებობები 62
პიტიუნტი — ბიჭვინთა

კოსმოსი 66
თეირანის კოსმოსური ამბიციები

მეომრები 68
500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

100 დიდი მხედართმთავარი 72
პაულ ფონ ლეტოვ-ფორბეკი

ცხელი წერტილი 74
კარიბის ზღვა

სამხედრო ისტორიები 76
წყალქვეშა ნავი
მატარებელთან ბრძოლაში

კროსვორდი 78
არსენალვორდი

ქალი ფორმაში 79
ფოტოგანწყობისთვის

იარაღის გალერეა 81
ქართული მსხვილკალიბრიანი
სნაიპერული...


# რედაქციისგან

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, „არსენალს“ 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეს ნომერი გამოვიდა, რომლის გარეკანზეც იგივე ფოტო განვათავსეთ, რომელიც „არსენალის“ პირველ ნომერს ამშვენებდა. 10 წლის წინ ქართველი ფოტომოდელი ლალი ტოტიკაშვილი ქართული მოიერიშე თვითმფრინავის, „სკორპიონის“ ფონზე ჩვენი წინაპრების აბჯარასხმული, ხელში ხმლითა და ფარით გადავიღეთ.

ისევე, როგორც 10 წლის წინ, ხმლის ქარქაშში ჩაგება და აბჯრის მოხსნა საქართველოსთვის ჯერ კიდევ ნაადრევია.


მთავარი რედაქტორი
**ირაკლი ალადაშვილი**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**თემურ ჩაჩანიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**დათო მოსიაშვილი**

რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: (+995 32) 237-78-07
(+995 32) 238-78-70

პალიტრამედიის ცხელი ხაზი:
ტელ: (+995 32) 219-60-13
(+995 32) 219-60-53
Email: contact@palitra.ge

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“ და
მიიღეთ შინ, თვეში ერთხელ!
ტელ: (+995 32) 238-26-74
(+995 32) 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
19.05.2014

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლუგანსკელმა სეპარატისტებმა T-34 „გააცოცხლეს“

უკრაინის ქალაქ ლუგანსკში, პრორუსულად განწყობილმა სეპარატისტებმა მეორე მსოფლიოს ომის დროინდელი ტანკი T-34 „გააცოცხლეს“ და 9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე მასზე ამხედრებულებმა იზეიმეს, თუმცა გამორიცხული არც ისაა, მომავალში უკრაინელის სამხედროების წინააღმდეგაც გამოიყენონ.

ტანკი, რომელიც ცოტა ხნის წინ შეაკეთეს, გადაღებეს და გაალამაზეს, ქალაქის ერთ-ერთ რაიონში, მეორე მსოფლიო ომის მემორიალურ კომპლექსს ამშვენებდა, თავის დროზე კი - შვიდი ათეული წლის წინ, მას საბჭოთა ჯარი გერმანელი ფაშისტებისა და იაპონიის არმიის წინააღმდეგ იყენებდა.








# ბრიტანული სპეცრაზმი ბუნკერში ივარჯიშებს



ბრიტანეთის სპეციალური საჰაერო ძალებისთვის (SAS) ჰერეფორდშირის საგრაფოში მიწისქვეშა საწვრთნელ კომპლექსს ააშენებენ, რასაც 10 მილიონ დოლარს მოახმარენ.

ბაზის ტერიტორიაზე, ათეულობით მეტრ სიღრმეზე გაკეთებულ ბუნკერში, სადაც სხვა აღჭურვილობასთან ერთად ნამდვილი შენობების საიმიტაციო მაკეტებიც იქნება, სპეცსამსახურის მებრძოლები ივარჯიშებენ. ბრიტანელები მთლად ბოლომდე ჩანაფიქრს არ ამხელენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ეს ყველაფერი ალ-ქაიდასგან მომდინარე საფრთხის თავიდან ასარიდებლად კეთდება — გარდა იმისა, რომ კომპლექსი გარეშე თვალს მოფარებული იქნება, არც თანამგზავრებიდან „გამოჩნდება“.

ბუნკერის ბეტონის კედლებში სპეციალური სავენტილაციო სისტემა მოეწყობა, სროლისგან წარმოქმნილი კვამლის განსადევნად. ცნობილია ასევე, რომ კედლებზე, ჭერსა და იატაკზე ერთგვარი რეზინი იქნება გადაკრული, რათა მებრძოლები ტყვიის რიკოშეტისგან არ დაზარალდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უშიშარი ჩინელი მეხანძრე



უშიშარი ჩინელი მეხანძრის ფოტოსურათი, რომელსაც სახლიდან აირის აალებული ბალონი ხელში ატაცებული გამოაქვს, ჯერ ჩინურ სოციალურ ქსელ Weibo-ში იქცა ჰიტად, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

ფოტოსურათი 2014 წლის 3 იანვარსაა გადაღებული, მასზე აღბეჭდილი „გმირი“ მეხანძრე ჰუანპუ ცზიანუა, რომელიც ფოტოობიექტივმა ქალაქ უხანში, ხანძრის ლიკვიდაციის დროს დააფიქსირა.

ერთი სიტყვით, ჰუანპუს ორმაგად გაუმართლა — ბალონი ხელში არ აუფეთქდა და თან, ფოტოგრაფის წყალობით, უშიშარი კაცის სახელი მილიარდნახევრიანი ჩინეთის საზღვრებს გარეთაც გაითქვა. სავარაუდოდ, ამ საქციელს ჰუანპუს თავის მხრივ ხელმძღვანელობაც დაუფასებს პრემიით ან კარიერაში დაწინაურებით.

29927

# „ფრთოსანი რაში“ ფრანგული სპეცრაზმისთვის

ფრანგული სპეცრაზმი კომპანია Vaylon-ის შექმნილი მფრინავი ავტომობილით Pegasus-ით დაინტერესდა. ჰიბრიდული ოთხთვლიანი აპარატი დიდი პროპელერის, პარაპლანისა და მსუბუქი კონსტრუქციის წყალობით, საჭიროების შემთხვევაში დაფრინავს კიდეც. ახლა კი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების საცდელ ავიაბაზაზე გამოცდას გადის.

მანქანა ხმელეთზე 100 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, ფრენისას კი 60-80 კმ/სთ-ს და 3 ათას მეტრ სიმაღლეზე ადის. გამოცდის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მანქანას საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სპეციალური დანაყოფები მიიღებენ. სამხედროები „ფრთოსანი რაშის“ ფარულ და ელვისებურ ოპერაციებში სატრანსპორტო საშუალებად გამოყენებას აპირებენ.



ს... თველოს პარლამენტ...
...ოვნული ბიბლიოთეკა

# თუკი ასე გწამს, გეხუროს!




აშშ-ში მორწმუნე სამხედრო მოსამსახურეებს ნება დართეს, სურვილის შემთხვევაში, ატარონ ჩალმა, კიპა, თავშალი ან სხვა რელიგიური მნიშვნელობის თავსაბურავი, ასევე — აკურატულად შეკრეჭილი წვერი.

თუმცა, პენტაგონის ახალ დირექტივაში, რომელიც უწყების საიტზე გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ მსურველებმა საამისოდ ნებართვა ჯერ უშუალო მეთაურობისგან უნდა აიღონ.

ხელმძღვანელობამ თავად უნდა შეაფასოს, ხომ არ იმოქმედებს ჩალმა ან კიპა ჯარისკაცის ბრძოლისუნარიანობაზე უარყოფითად და ხომ არ შეუშლის მას ხელს სამხედრო აღჭურვილობის — იარაღის, ჩაფხუტის, ჯავშანჟილეტის და ა.შ. ფლობაში. პენტაგონში აცხადებენ, რომ ასეთ დროს საკითხი ინდივიდუალურად, სამხედროს წინაშე არსებული ამოცანების სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროში იმედოვნებენ, რომ ახალი დირექტივა იმ ჯარისკაცთა დისკრიმინაციას შეუშლის ხელს, რომელთა რელიგიური შეხედულებები მათი მეთაურებისათვის უცხოა.



# NATO-სა და რუსეთის დელფინები ერთმანეთს შავ ზღვაში შეხვდებიან

ცოტა არ იყოს, უცნაური ამბავია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ამ ზაფხულს შავ ზღვაში ერთმანეთს ამერიკული და რუსული საბრძოლო დელფინები გადაეყარონ.

ყოველ შემთხვევაში, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელი ტომ ლაპუცა აცხადებს, რომ შავ ზღვაში NATO-ს სამხედრო ორკვირიან სწავლებაში 20 დელფინისა და 10 ზღვის ლომის ჩართვა მართლაც იგეგმება.

მისივე თქმით, ამერიკული საბრძოლო დელფინები ახალი ანტირადარის გამოცდაში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც „მოწინააღმდეგის ეხოლოკატორების დეზორიენტაციაზეა“ გათვლილი. მოგეხსენებათ, საგანგებოდ გაწვრთნილ ზღვის ლომებსა და დელფინებს საზღვაო ნაღმებისა და სამხედრო მყვინთავების აღმოსაჩენად ამზადებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენ გიმღერი, ჩვენო ავიამზიდო...

ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალები ერთადერთი ავიამზიდით — Liaoning-ით იწონებს თავს, რომელიც 1998 წელს უკრაინისგან, ჯართის ფასად შეიძინა, შემდეგ კი საგულდაგულოდ გადააკეთა, აღჭურვა და 2012 წლის ბოლოს შეიარაღებაზეც მიიღო. თავს იწონებსო, რბილად ნათქვამია. არამხოლოდ იწონებს, უმღერის კიდეც.

დიახ, ჩინელებმა ყოფილ საბჭოთა ავიამზიდს ექვსწუთიანი მუსიკალური ვიდეოკლიპი „მართე ოცნება" მიუძღვნეს და ის აპრილის ბოლოს, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნის 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით, პეკინში გამართულ საგანგებო პრეზენტაციაზე წარმოადგინეს. ვიდეოკლიპში ავიამზიდის ეკიპაჟის ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს — სპორტდარბაზში ვარჯიშიდან დაწყებული, ფრენების განხორციელებით დამთავრებული. კლიპისთვის საგანგებოდ შეიქმნა სიმღერაც, რომელსაც ტიბეტელი მომღერალი ასრულებს.

რაც შეეხება Liaoning-ს თავდაპირველად ამბობდნენ, რომ ჩინეთს მის მცურავ კაზინოდ გადაკეთება სურდა, თუმცა დღეს ირკვევა, რომ პეკინი მის საფუძველზე ავიამზიდების მთელი სერიის შექმნას აპირებს.



# VIP-ტანკი

ძვირად ღირებული, მაგრამ სამოქალაქო დანიშნულების „ტანკი-ლიმუზინები" ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ადრეც წარმოგვიდგენია და ამჯერადაც თქვენს ყურადღებას ამ კლასის მანქანაზე - Super Terrain Vehicle Shadow Hawk-ზე შევაჩერებთ.

ერთი ეგაა, ერთ-ერთი ცნობილი ამერიკული კომპანიის მიერ რამდენიმე წლის წინ დაპროექტებულმა ამ უჩვეულო ავტომობილმა დღის სინათლე ჯერჯერობით, ვერ იხილა - გრანდიოზული პროექტი, სათანადო ფინანსების ვერმოძიებისა თუ სხვა მიზეზით, პროექტად დარჩა. არადა, კომპანიას წელიწადში 12 ასეთი ავტომობილის გამოშვება უკვე დაანონსებული ჰქონდა.

შეჯავშნული ყველგანმავალი, რომელიც საკუთარ უსაფრთხოებასა და კომფორტზე ერთდროულად მზრუნველი VIP–პერსონებისთვის იყო გამიზნული, სავარაუდოდ 1,5 მლნ დოლარი უნდა ღირებულიყო. ამბობდნენ, რომ 1100 ცხენის ძალის მქონე ეს მანქანა გზატკეცილზე 305 კმ/სთ სიჩქარეს უპრობლემოდ განავითარებდა...





# 10 წელი თქვენთან ერთად!

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ პირველი ნომერი 2004 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გამოვიდა და რუსთაველის პროსპექტზე სამხედრო ალლუმის მონაწილე სამხედროებს ასობით ჟურნალი საჩუქრად დაურიგდა.

საიუბილეო ნომერიც 26 მაისს იხილავს დღის სინათლეს და ჩვენს ერთგულ მკითხველს სიამაყით ვაუწყებთ, რომ „არსენალი“ 10 წლის გახდა!

ეს „თინეიჯერული“ ასაკი ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი სპეციფიკური განხრის პერიოდული ბეჭდური გამოცემისთვის, როგორიც სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალია, რადგან ამდენ ხანს ბევრი ისეთი გაზეთიც და ჟურნალიც ვერ აღწევს, რომლებიც უფრო ადვილად გასაყიდ და კითხვად „ყვითელ პრესას“ მიეკუთვნებიან.

განვლილი 10 წლის განმავლობაში „არსენალმა“, ისევე როგორც მისმა ერთგულმა მკითხველმა და მთლიანად საქართველომ, ბევრი რამ გადაიტანა — ამ ათ წელში სიხარულიც ბევრი იყო, თუმცა, სამწუხაროდ, გულისტკივილმა მაინც გადასძლია, რადგან 2008 წელს ომის შედეგად ჩვენმა სამშობლომ ოკუპირებული ტერიტორიების სახით სამვილიშვილო პრობლემა მიიღო.

2004 წლიდან დაწყებული „არსენალი“ ცდილობდა, რაც შეიძლება ობიექტურად და სრულად გაეშუქებინა ქვეყანაში და მის გარშემო მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები, ქართული არმიის ჭირ-ვარამი, ჯარისკაცებისა და ოფიცრების ცხოვრება, სამხედროებისა და ომის ვეტერანების პრობლემები, ქართული არმიის შეიარაღებისა და გადაიარაღების ბნელ-ნათელი ნიუანსები, სპეცსამსახურების საიდუმლო ოპერაციები, მეზობელი ქვეყნების სამხედრო ძლიერება, სეპარატისტების ჩანაფიქრები, სავარაუდო მოწინააღმდეგეებისგან წამოსული საფრთხეების დონე, საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილე ქართველი მებრძოლების განწყობილება, მოსწავლეებისა და სტუდენტების დამოკიდებულება ჯარში სამსახურზე და ა.შ.

არ დავმალავთ, გასულ ათ წელში არც შეცდომები დაჰკლებია „არსენალს“, პირველ რიგში კი ბეჭდური სახის (ტექსტში გაპარული კორექტურული შეცდომები, ზოგჯერ დაბალი ხარისხის ფოტომასალა), თუმცა, ვერავინ დაგვაბრალებს, რომ ჟურნალის რედაქციამ შეგნებულად ვინმე დაუმსახურებლად გააკრიტიკა.

„არსენალს“, ისევე როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს, ამ განვლილ ათ წელში ორჯერ ძალიან გაუჭირდა, როდესაც პირდაპირი ზეწოლა მომდინარეობდა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი პირებისგან (თავდაცვის მინისტრებად ოქრუაშვილისა და ახალაიას ყოფნის პერიოდში), რაც გამოიხატებოდა „არსენალის“ მთავარი რედაქტორის სატელეფონო საუბრების მუდმივ მოსმენასა და თვალთვალში. საქმე იქამდეც კი მივიდა 2010-11 წლებში, რომ ჩვენთვის, არც მეტი და არც ნაკლები, რუსეთის ჯაშუშობის დაბრალებასაც კი ცდილობდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ აიძულეს (მიუხედავად პირდაპირი ზეწოლისა) კონკრეტული პირი ჩვენზე ცრუ ჩვენება მიეცა.

იმედია, ის ავადსახსენებელი პერიოდი უკან დარჩება და ჟურნალისტებს იმის ფიქრი აღარ გვექნება, რომ დასაბუთებულად გაკრიტიკებულმა ზოგიერთმა მინისტრმა შურისძიება ყველაზე საშინელი ბრალდებით — სამშობლოს ღალატით არ სცადოს.

იუბილეზე გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ „არსენალის“ ერთგულ მკითხველს, რომელთა დიდ ნაწილს ჩვენი ჟურნალის თითქმის ყველა ნომერი აქვს და ხშირად რედაქციაშიც გვიკავშირდება ჟურნალის გამოტოვებული ნომრის შეძლებისდაგვარად მიწოდების თხოვნით.

უეჭველია, რომ განვლილ ათ წელში „არსენალმა“ თავისი კვალი დატოვა არა მარტო ქართულ მასმედიაში, არამედ საქართველოს უახლეს ისტორიაში. ამის თქმის უფლებას ის გარემოება გვაძლევს, რომ განვლილ წლებში სწორედ „არსენალის“ კითხვის წყალობით არაერთმა ახალგაზრდამ აირჩია ქვეყნის დამცველის — სამხედროსა და პოლიციელის საპატიო პროფესია და ისინი დღეს ჩვენი საქართველოს სადარაჯოზე დგანან!

ფინანსურად „არსენალი“ ძლიერი არასოდეს ყოფილა, რადგან ჩვენი ჟურნალი თვითდაფინანსებით (ანუ რამდენი ჟურნალიც გაიყიდება) ცხოვრობს და არასოდეს მიუღია რაიმე სახის გრანტი, არც ქვეყანაში და არც გარედან. ამიტომაც ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია, არ დავკარგოთ ერთგული და შევიძინოთ ახალი მკითხველი.

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“ ათი წლისთავზეც რჩება ამ განხრის ერთადერთ დამოუკიდებელ პერიოდულ ბეჭდურ გამოცემად, რომლის ანალოგი არა მარტო საქართველოში, არამედ სამხრეთ კავკასიაშიც არ არის.

ჟურნალ „არსენალის“ მცირერიცხოვანი რედაქცია ულრმეს მადლობას უხდის მკითხველს ერთგულებისთვის და დიდი იმედი აქვს, რომ ჩვენი მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება!

**პატივისცემით „არსენალის“ რედაქცია**



*„არსენალს“ რამდენიმე წელი საპატრულო კატარღა „გენერალ მაზნიაშვილზე“ შეფობა ჰქონდა აღებული, თუმცა სამწუხაროდ სანაპირო დაცვის ხელმძღვანელობისგან თანამშრომლობის სურვილი ვერ დავინახეთ...*

იუბილე



*„არსენალიდან“ დასკანირებულმა ამ ფოტოსურათმა მსოფლიოს ინტერნეტი შემოიარა, რადგან დავამტკიცეთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში ს. ძევერასთან სწორედ რუსული საფრონტო ბომბდამშენი Су-24M ჩამოვაგდეთ (ჟურნალი „არსენალი“ ამ ბომბდამშენის მარცხენა ძრავის ჰაერმიმღების ფრაგმენტზე სპეციალურად დავდეთ, რათა ურწმუნოებისთვის დაგვემტკიცებინა, რომ სურათი სწორედ საქართველოშია გადაღებული), რასაც რუსეთის გენშტაბი საგულდაგულოდ მალავდა...*

# „არსენალს“

**სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალს“ დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა. ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ეს იყო პირველი სამხედრო ჟურნალი, რომელმაც თავის დასამკვიდრებლად ძალიან რთული გზა გაიარა... როგორია ერთგული მკითხველის თვალით დანახული „არსენალი“ და რას უსურვებენ ისინი საყვარელ ჟურნალს, ამის გასარკვევად, რამდენიმე მუდმივ მკითხველს დავუკავშირდით. აღმოჩნდა, რომ „არსენალს“ ქალბატონებიც კითხულობენ...**




„არსენალის“ პირველი ნომრის გარეკანი და გვერდები


„განვრთნილები“ & „აღჭურვილები“

ანუ რას წარმოადგენს ამერიკული პროგრამით მომზადებული ქართული ქვედანაყოფები...

**ელენე ფიფია,** მკითხველი:

— სამხედრო თემა უცხო არ არის ჩემთვის. პროფესიით სამხედრო ექიმი ვარ. 60-იან წლებში კუბაში, პინარ დე ლიოს პროვინციაში მომიწია სამსახურმა, სპეციალური კონტრაქტით ვიყავი მიწვეული და რამდენიმე თვე დავყავი იქ... ძალიან საინტერესო, მაგრამ სახიფათო იყო. სამწუხაროდ, დეტალების შესახებ საუბარი ამდენი წლის შემდეგაც არ შემიძლია. სამხედროს პირს ყოველთვის აქვს საიდუმლო... შემდეგ ჯანმრთელობა შემერყა, მაგრამ გარკვეული დროის განმავლობაში მაინც არ მიღალატია ჩემი საქმისთვის და საბჭოთა ჯარში ვიმსახურე. პოლკოვნიკის წოდება მაქვს. ერთ დღესაც მივხვდი, რომ ამ საქმისთვის მოხუცი ვარ და ჩემს შვილთან წავედი. ის პრაღაში ცხოვრობს. იქიდან 2003 წელს დავბრუნდი... სამსახურის ძებნა არ მიცდია, მაგრამ ჩემი საქმე ძალიან მენატრებოდა. ერთ დღესაც მეგობრის სახლში ვნახე ჟურნალი, რომელშიც სამხედრო თემაზე სხვადასხვა სტატია იყო დაბეჭდილი. რამდენიმე წუთის განმავლობაში ჟურნალი ხელიდან არ გამიშვია. მეგობრის მეუღლე ყოფილი მესაზღვრეა. მიხვდა, რაც მჭირდა და შენი იყოსო, მითხრა... მას შემდეგ, „არსენალის“ მკითხველი ვარ. პატარა ბინა მაქვს და, სამწუხაროდ, ყველა ნომერს ვერ ვინახავ, მაგრამ ჩემთვის საინტერესო გვერდები ამოვიღე და ერთად „ჟურნალად“ ავკინძე...

— **რა სახის სტატიები იწვევს თქვენს განსაკუთრებულ ინტერესს?**

— ქართველი სამხედროები და მათი ისტორიები... ჩემი სურვილია განვითარებადი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებზე მეტი იწერებოდეს. ასევე, სამხედრო ექიმებზე სიამოვნებით წავიკითხავდი. ეს პროფესია სამოქალაქო საქმიანობისგან სრულიად განსხვავებულია. დაინტერესდით მათი მუშაობის სპეციფიკითა და ცხოვრებით. ჩვენ უფრო მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე გვაქვს... ძალიან მიყვარხართ, თვიდან თვემდე სიამოვნებით ველოდები ახალ ნომერს. შვილებმა იციან ჩემი გატაცების შესახებ და უცხოურ სამხედრო გამოცემებსაც მიგზავნიან. როდესაც სადმე მივდივარ, ქალაქში თუ მის გარეთ, ყველგან თან დამაქვს „არსენალი“ და უნდა ნახოთ, მგზავრების გაოცებული სახეები, როდესაც ჟურნალის გარეკანს მოჰკრავენ თვალს. რამდენჯერმე პატარა ბიჭებიც გამომელაპარაკნენ, — გავარჩიეთ და გავაანალიზეთ „არსენალის“ პუბლიკაციები... მაინც მინდა, უფრო მრავალფეროვანი იყოს ჩემი საყვარელი ჟურნალი.

**დავით ცაგოშვილი,** მოლაშქრეთა კლუბ „იეტის“ დამფუძნებელი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ულოცავენ

— დაარსების დღიდან ვკითხულობ ჟურნალ „არსენალს“. შეიძლება ითქვას, მე და ჟურნალი ერთად გავიზარდეთ. ახლაც მახსოვს, როგორ ველოდი ახალი ნომრის გამოსვლას. იმ დროისთვის საკმაოდ ბევრ ინფორმაციას ვიღებდი ჟურნალიდან, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი სიყვარული იარაღის, სამხედრო ფორმისა და ჯარის მიმართ, „არსენალმა“ განაპირობა... მინდა უფრო მეტი რამ იწერებოდეს საქართველოს არმიაზე, შეიარაღებულ ძალებზე, საზოგადოდ, შეიარაღებაზე. მახსოვს, ადრე იყო სტატიები შენიღბვაზე, თვითგადარჩენასა და მსგავს თემებზე. ერთ სტატიაში ამ თემებს ვერ ამოწურავთ, ამიტომ კარგი იქნება, თუ ციკლივით დაიწერება, მაგრამ ყველაფერი ამომწურავად იქნება გადმოცემული. მჯერა, რომ ჟურნალის თანამშრომლებს ამის კომპეტენცია ნამდვილად აქვთ... ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ამის თუნდაც თეორიული ცოდნა საჭიროა... ამასთან, ჟურნალში უცხოურ სტატიებს მეტი ადგილი ეთმობა, ვიდრე ქართულ ჯარს. არადა, ქართულ არმიაზე, შეიარაღებულ ძალებზე, საქართველოს ბრძოლებზე (მასშტაბს მნიშვნელობა არა აქვს) ყველაფერი მაინტერესებს. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ყველა ჩემი მეგობარი, ვინც „არსენალს“ კითხულობს, ასე ფიქრობს... სხვათა შორის, ჩემს პირველ 5-დღიან ლაშქრობაში „არსენალის“ რამდენიმე ნომერი გვქონდა წაღებული და შემდეგ ქართველ მესაზღვრეებს ვაჩუქეთ...

**გიგა ინაშვილი, სამხედრო ჟურნალისტი (გადაცემა „ქართული ჯარი“):**

— „არსენალს“ 2004 წლიდან ვკითხულობ. 14 წლის ვიყავი, როდესაც პირველი ნომერი შევიძინე და მას შემდეგ, თქვენი მუდმივი მკითხველი ვარ... ჟურნალმა ჩემთვის ზოგადი სამხედრო განათლების მიღებასა და ჩემს საქმიანობაში დიდი როლი ითამაშა... თავიდან „არსენალის“ მასალები შედარებით დაბალი დონის იყო, უფრო მეტად, მკითხველის ფართო მასებზე იყო გათვლილი. ბოლო დროს ჟურნალის დონე საგრძნობლად ამაღლდა. სტატიების ავტორთა კომპეტენციის დონემ მოიმატა. უფრო კომპეტენტური მასალები იბეჭდება, რაც გარდა რიგითი მოქალაქისა, სამხედრო საქმეში ღრმად ჩახედულ ადამიანებსაც დააინტერესებთ... და მაინც, საკუთარი მოკრძალებული აზრი მინდა მოგახსენოთ, — ჩემი სურვილია, ჟურნალში პოლიტიკურ თემებზე ნაკლები მასალები იყოს და აქცენტი სამხედრო ანალიტიკაზე გაკეთდეს. ვგულისხმობ, სამხედრო ტექნიკურ მიმოხილვას, ამა თუ იმ შეიარაღების ტაქტიკურ-ტექნიკურ განხილვას, სამხედრო ისტორიებს; ასევე, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე მოვლენების ობიექტურ გაშუქებას.

**გიორგი ჯავახიშვილი, 16 წლის:**

— 11 წლიდან ვკითხულობ „არსენალს“. ძალიან მომწონს და ერთი სული მაქვს, როდის გამოვა ყოველი მომდევნო ნომერი... თუმცა, მინდა ჩემი საყვარელი ჟურნალი უფრო მრავალფეროვანი იყოს.

**— მაინც რა სახის სტატიებს ისურვებდით?..**

— ძალიან მინდა წავიკითხო სტატიები 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქარ-



თემიდან გადახვევა



საბედისწერო ომი

„დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველოს ყოველი მოქალაქე მოვალეა თავისი ქვეყნის წარსული იცოდეს, განსაკუთრებით ისეთი ხანა, როგორიც მე-18 საუკუნეა. აწინდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისთვის ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს“.

*ივანე ჯავახიშვილი. 1919 წ.*



# მფრინავი „მორიელი“

## ანუ „სკორპიონი“ ქართულად

საბჭოთა „ვოლგიდან“ გერმანულ „მერსედესში“ ხომ გადამჯდარხართ? მაშინ შედარებით ადვილად წარმოიდგენთ რითი სჯობს „სკორპიონი“ ჩვეულებრივ Су-25-ს

„სკორპიონი“ დღეს ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ეგზემპლარშია, თუმცა მას უკვე კარგად იცნობენ მსოფლიოს წამყვანი საავიაციო სპეციალისტები, რადგან „სკორპიონმა“ ჯერ 2001 წელს გაიბრწყინა საფრანგეთში, ლე ბურჟეს ცაში, მომდევნო წელს კი დიდ ბრიტანეთში, ფარნბოროს გამოფენაზე იწონებდა თავს.

ლე ბურჟში გამოფენისას რუსეთიდან ტრაგიკული ამბავი მოვიდა — ჩეჩნეთის მთებში ორი რუსული Су-25, რომლებსაც ძალზე გამოცდილი პილოტები მართავდნენ, ნისლში მთებს შეეჯახა.

თუმცა „სკორპიონს“, იმავე, Су-25KM-ს ეს არ ემუქრება, რადგან მისი ულტრათანამედროვე საპილოტაჟო მოწყობილობა ცუდ ამინდსა და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებშიც იძლევა უხიფათო ფრენის გარანტიას. მის კაბინაში დამონტაჟებულ თხევად კრისტალურ მონიტორზე გამოსახულ ელექტრონულ რუკაზე კარგად ჩანს, ფრენის რა მომენტში სად იმყოფება თვითმფრინავი და რა წინააღმდეგობა მოელის — ადგილობრივი რელიეფის ნებისმიერი ცვალებადობა ელექტრონულ რუკაზე ნათლად აღინიშნება.

პილოტს რომ საბრძოლო დავალების შესრულებისას ნაკლები სამუშაო და დატვირთვა ჰქონდეს, ჩვეულებრივი Су-25-ისგან განსხვავებით, სადაც 200-მდე სხვადასხვა დანიშნულების ხელსაწყო და გადამრთველია, „სკორპიონში“ მათი რიცხვი ხუთჯერ შემცირდა. ინფორმაციის ასახვა ხდება წინამებლა მინაზე, ხოლო თვითმფრინავის ამოსაცნობად მასზე დამონტაჟებულია დასავლური წარმოების სახელმწიფო ამოცნობის სისტემა, რომელიც „სკორპიონს“ საშუალებას აძლევს იფრინოს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო საჰაერო დერეფნებში. კაბინაშივეა დაყენებული სპეციალური ხმოვანი სიგნალიზაცია, რომელიც მფრინავს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ქალის ნაზი ხმით აფრთხილებს, ხოლო თუკი პილოტი მშვენიერმა ხმამ ღრმა ფიქრებში ჩააგდო, მიწასთან შეჯახებამდე რამდენიმე წამით ადრე კომპიუტერს თვითმფრინავი თვითონ გამოჰყავს სახიფათო ვირაჟიდან.

თანამედროვე მრავალფუნქციური სახის კომპიუტერი „სკორპიონის“ ცხვირშია მოთავსებული და უზარმაზარ მეხსიერებას ფლობს. მასში შეტანილ-

არსენალი 25



„არსენალის“ იარაღის მაღაზია

# SIG SAUER P226

## ყველაზე პოპულარული „ზიგ-ზაუერი“

ირაკლი ალადაშვილი

თული არმიის შეიარაღებაზე... და კიდევ, ვისურვებდი, რომ ქართული არმიის წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები უფრო ხშირად და ფართოდ გააცნოთ მკითხველს...

**ზურა, 29 წლის, 31-ე ქვეითი ბატალიონის ჯარისკაცი:**

— „არსენალი“ ჩემი და ჩემი მეგობრების ჟურნალია. ძალიან მიხაროდა, რომ ადრე თვეში ორჯერ გამოდიოდა. არ ვიცი, თვეში ერთხელ გამოსვლის გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ... გამოსვლის დღიდან ყველა ნომერი შენახული მაქვს. სახლის სხვენი და კარადები სავსეა „არსენალის“ ნომრებით/ სამხედროებს პროფესია ყველაფერში წესრიგს გვაჩვევს და მეც ერთმანეთის მიყოლებით, გამოსვლის თარიღის მიხედვით, ყველა ნომერი შეყვითლებული გარეკანებით თანამიმდევრულად მაქვს დალაგებული... ოჯახის წევრები ხუმრობენ, შთამომავლობას უნახავს „არსენალის“ ნომრებსო. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ შენიშვნა არა მაქვს (იღიმის), ხომ შეიძლება გითხრათ?...

**— რა თქმა უნდა...**

— კარგი იქნება, საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე, გეგმებსა და სტრატეგიაზე მეტი დაიწერება. კარგია, რომ მუდმივად მიმოიხილავთ კავკასიურ ქვეყნებში არსებულ ვითარებას, მაგრამ სიამოვნებით წავიკითხავდი ბალტიისპირა ქვეყნების არმიებისა და საზოგადოდ, შეიარაღებული ძალების, მათ შორის სპეცრაზმების, შეიარაღების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადების დონეზე წერილებს. კონკრეტულ ისტორიებს, თუნდაც უცხოური პრესის თარგმანს, მაგრამ რეალურ ამბებს ამა თუ იმ თანამედროვე ოპერაციის შესრულების სირთულეებზე. ისეთ სიტუაციაზე, როდესაც ჯარისკაცი, სერჟანტი, ოფიცერი ან რიგითი სპეცრაზმელი როგორ იქცევა თუნდაც საშუალო სირთულის ოპერაციის შესრულებისას, მაშინ, როდესაც აუცილებელია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. რა ხდება მაშინ, როდესაც ყველა წინასწარ გათვლილი დეტალი გამოუსადეგარია და სამხედროები მხოლოდ საკუთარი თავის იმედად რჩებიან. მათი რეალური ჩანაწერები, ქართველი იქნება ეს თუ უცხოელი, ომის, მოწინააღმდეგისა და სიკვდილის პირისპირ, ყველას ერთნაირი განცდა აქვს.

ერთხელ ავღანეთში ერთი ხორვატი ოფიცერი ყვებოდა, როგორ სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს, მაშინ როდესაც მხოლოდ ერთი ვაზნა ჰქონდა...

ყველას არა აქვს მოვლენების მხატვრულად აღწერის ნიჭი, უფრო სწორად, ჯარისკაცების უმეტესობას წერა არ უყვარს, მაგრამ ზოგიერთი სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ რეალურ მოვლენებზე დაფუძნებულ ამბებს მშვენივრად გადმოიტანს ფურცელზე... აქ ჯარისკაცის სულიერი მდგომარეობა კარგად არის გადმოცემული. ჩვენ წიგნების კითხვისთვის დრო ცოტა გვრჩება, ამიტომ სიამოვნებით გავეცნობოდით მსგავს ისტორიებს „არსენალის“ ფურცლებზე...

**— თქვენ არასდროს გიცდიათ თქვენს თავს გადამხდარი ამბის დაწერა?..**

— არა, ამის ნიჭი არა მაქვს... თუმცა, ავღანეთში ყოფნისას მუდმივად ვკითხულობდით „არსენალს“ და მე და ჩემს მეგობრებს, სამხედროების რეალურ და მხატვრულ ისტორიებზე ხშირად გვისაუბრია.

— **ჯარისკაცებისგან ვიცი, რომ ერთხანს არმიაში „არსენალის“ კითხვა იკრძალებოდა...**

— დიახ, ბიჭებისგან ვიცი, რომ ეს ოქრუაშვილის მინისტრობის დროს ხდებოდა და ბოლოს, ახალი ხელისუფლების მოსვლამდე, თუმცა, მაინც ვახერხებდით. საბედნიეროდ, სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალისა“ და საზოგადოდ, ჟურნალ-გაზეთების შეზღუდვა წარსულს ჩაჰბარდა...

**დავითი, 27 წლის, სამხედრო პოლიციის თანამშრომელი:**

— „არსენალი“ ჩემი ჟურნალია. დაარსების დღიდან ვკითხულობ და ყველა ნომერი შენახული მაქვს. ყოველი მომდევნო ნომრის გამოსვლას სიხარულით ველოდები და წინას ვადარებ. თავისუფალი დრო იშვიათად მაქვს, ამიტომაც ჟურნალი ყველგან თან დამაქვს. მანქანაში მუდმივად მიდევს ახალი ნომერი და 5 წუთიც რომ გამომიჩნდება, ჩავუჯდები ხოლმე... პროგრესი აშკარად იგრძნობა, მაგრამ მაინც უკეთესი მინდა...

— **კონკრეტულად?..**

— კონკრეტულად, შეიარაღებულ ძალებში ჩვენც შევდივართ, თუმცა, ჩვენზე არაფერი წერია ხოლმე. ისიც კი, თუ რატომ არის ჩვენი არსებობა საჭირო ან აუცილებელი... არც პოლიციასა და პოლიციიის სპეცრაზმებზე წერთ. არადა, სიამოვნებით წავიკითხავდით, რა შეიარაღებას ვფლობთ, რამდენად მომზადებული არიან ტაქტიკურად, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად; რა ტიპის ოპერაციების ჩატარება და განეიტრალება შეუძლიათ... სიამოვნემბით, წავიკითხავდით განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციურ სისტემის ისტორიებზე, მასში არსებულ სიახლეებსა და გამოწვევებზე. გავეცნობოდით მათ პირად გამოცდილებას. ეს ჩემი და ჩემი მეგობრების მოსაზრებაა და კარგი იქნება, თუ ჩემი საყვარელი ჟურნალის რედაქცია ჩვენს აზრს გაითვალისწინებს... მინდა წარმატება და წინსვლა გისურვოთ.

და კიდევ, კარგი იქნებოდა, ჟურნალს თავისი ვებგვერდიც ჰქონდეს, რათა როგორც კი დრო გამოგვიჩნდება, ინტერნეტში გავეცნოთ და ჩვენს მოსაზრებასაც მოგწერდით.

### „არსენალს“ 10 წლის იუბილეს შინაგან საქმეთა სამინისტრო ულოცავს

„ჟურნალ „არსენალს“ გულწრფელად ვულოცავთ 10 წლის იუბილეს. თქვენი ჟურნალი ერთ-ერთი წარმატებული გამოცემაა ბეჭდურ მედიაში და უამრავი მკითხველი ჰყავს, რაც მისი კოლექტივის პროფესიონალიზმის დამსახურებაა. ასევე, ჟურნალის ყველა თანამშრომელს ვუსურვებ პროფესიულ წინსვლასა და კიდევ მრავალწლიან წარმატებულ საქმიანობას“, — გვწერს შინაგან საქმთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი.

P.S. „არსენალის“ რედაქცია ელოდა, რომ თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბს ერთი-ორი ავ-კარგი სიტყვა მაინც დასცდენოდა ჩვენს იუბილესთან დაკავშირებთ, თუმცა ისინი მოუცლელნი აღმოჩნდნენ, მიუხედავათ იმისა, რომ რამდენიმე კვირით ადრე იცოდნენ ამის შესახებ.

**ლალი პაპასკირი**


აფხაზეთი
საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფლების ყველაზე სერიოზული გამოცდა


„სამხედრო ბაზას ჩვენ „ვაკონტროლებდით“...“
ანუ ქართველების არაჩვეულებრივი მივლინება ერაყში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# TIME

## მე-20 საუკუნე

გაზეთ „კვირის პალიტრასთან" ერთად, თვეში ორჯერ




**მსოფლიო ბესტსელერი!**

**შეაგროვე 16 წიგნად**

ლეგენდარული ჟურნალის მიერ „ცხელ კვალზე" მოპოვებული მასალები დოკუმენტური ფაქტები, რეალური მოვლენები

**და შეეხე ეპოქას!**

**2-დან 9 ივნისამდე**

წიგნის ფასი: **7 ლ**

გაზეთთან ერთად: **8 ლ**

წიგნი მეექვსე
**ციჳი ომი**

შემდეგი წიგნი
**ისრაელი და ახლო აღმოსავლეთი**



ფაქტები • პლაკატები • კარიკატურები • კინემატოგრაფია
ინტერვიუები ეპოქის მნიშვნელოვან ფიგურებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანტიტერორისტული ნაბიჯი წინ, ორი — უკან?

ცოტა ხნის წინ გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწემ ადამიანის უფლებებში ივან შიმონოვიჩმა განაცხადა: „დიალოგში უკრაინის ეროვნულ ერთიანობაში მონაწილეობენ მხოლოდ მშვიდობიანი პროტესტის მონაწილენი, ხოლო უკანონო შეიარაღებული ფორმირებები აუცილებლად უნდა განიარაღდნენ“.



ამ მიზანს ემსახურება აღმოსავლეთ უკრაინაში 7 აპრილს დაწყებული ანტიტერორისტული ოპერაცია, ოღონდ მისი დასრულების ვადა კვლავინდებურად ბუნდოვანია.

ზოგიერთი თვლის, რომ 25 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ოპერაცია დასრულდება. სხვები კიდევ ორ თვეს ვარაუდობენ, ხოლო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრ ტურჩინოვი უფრო კატეგორიულია და ამბობს: „ანტიტერორისტული ოპერაცია გაგრძელდება მანამ, ვიდრე ბოლო ტერორისტი იარაღს არ დაყრის და სამართალდამცველებს არ ჩაბარდება“.

სეპარატისტებსა და ტერორისტებთან ბრძოლა ძალიან ძნელია, როცა მეზობელი სახელმწიფო მათ უზარმაზარ მხარდაჭერას უწევს და თანაც აქტიურობას ხელს არც ადგილობრივი მეხუთე კოლონა აკლებს.

ქალაქები სლავიანსკი და კრამატორსკი უკვე ისეა გამაგრებულ-დაცული, რომ ორივეს აღება ახლა მძიმე ჯავშანტექნიკისა და არტილერიის გამოყენების გარეშე შეუძლებელია, რაც მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლს გამოიწვევს.

არის სხვა პრობლემებიც. აღმოსავლეთში გაგზავნილი ბევრი ქვედანაყოფი სეპარატისტებთან ბრძოლის თანამედროვე საშუალებებს მოკლებულია და არც სათანადო გამოცდილება აქვს. შესაბამისად, დანაკარგი მატულობს, ხოლო შედეგი კი არ არის.

2 მაისს 4-30 სთ-ზე შინაგან საქმეთა სამინისტროს, ნაციონალური გვარდიისა და არმიის ქვედანაყოფებმა ანტიტერორისტული ოპერაციის აქტიური ფაზა წამოიწყეს.

სამთავრობო ძალებმა სლავიანსკის გარშემო 10 ბლოკპოსტი დაიკავეს და ქალაქი ბლოკადაში მოაქციეს.

ბრძოლების დროს 95-ე ცალკეულ აერომობილური ბრიგადის კოლონაზე თავდასხმისას 2 ჯარისკაცი დაიღუპა და 7 დაიჭრა.

უკრაინის ავიაციას 2 შვეულმფრენი Ми-24 ჩამოუგდეს და ერთი Ми-8 დაუზიანეს. ეკიპაჟებიდან 5 კაცი დაიღუპა, 1 ტყვედ ჩავარდა და მოგვიანებით მისი გათავისუფლება მოხერხდა.

3 მაისს 4-30 სთ-ზე ანტიტერორისტულმა ძალებმა კრამატორსკში უშიშროების სამმართველოს შენობა დაიკავეს. ბრძოლებში ეროვნულმა გვარდიამ — 2 და ანტისამთავრობო ძალებმა კი 8 მებრძოლი დაკარგა.

13 მაისს დაახლოებით 13 სთ-ზე კრამატორსკის რაიონში სოფელ ოქტიაბრსკოესთან სეპარატისტებმა პირველად გამოიყენეს ჩასაფრება და 95-ე აერომობი-


13 მაისს კრამატორსკის რაიონში დამწვარი სამთავრობო ჯარების ჯავშანტრანსპორტიორი

ლური ბრიგადის მე-13 ბატალიონის ერთ-ერთ დანაყოფს დიდი დანაკარგიც მიაყენეს.

დაახლოებით ერთსაათიან ბრძოლაში მედესანტეებს 6 მებრძოლი დაეღუპათ, 9 დაეჭრათ (მოგვიანებით 1 ჯარისკაცი გარდაიცვალა).

განადგურდა ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80 და სატვირთო ავტომობილი ГаЗ-66 ნაღმსატყორცნით.

ბრძოლის შემდეგ სამთავრობო ძალებმა მრავლად იპოვეს სეპარატისტთა ფორმირებების ერთჯერადი ყუმბარსატყორცნების — РПГ-22-სა და РПГ-26-ის ცარიელი კონტეინერები, სნაიპერული შაშხანების ჰილზები და მრავალი სხვა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრძოლაში უკრაინელმა სამხედროებმა გამოიყენეს 3 შვეულმფრენი Ми-24 და ერთი Ми-8 გაეროს სიმბოლიკით, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციის პროტესტი მოჰყვა.

დმიტრი ტიმჩუკის (საინფორმაციო წინააღმდეგობის ჯგუფი) მონაცემებით 16 მაისის მდგომარეობით სამთავრობო ძალების დანაკარგმა 24 გარდაცვლილი და დაახლოებით 70-მდე დაჭრილი მებრძოლი შეადგინა.

სლავიანსკის „სახალხო მერი" ვიაჩესლავ პონომარიოვი კი ამტკიცებს, რომ სამთავრობო ძალების დანაკარგი 2-12 მაისის მდგომარეობით 650 მოკლულ-დაჭრილია. აქედან 285 „მარჯვენა სექტორის" მებრძოლია, 120 — ბატალიონების „დნეპრისა" და „აზოვის" დაქირავებული უკრაინელი, 40 — ჟიტომირის 95-ე აერომობილური ბრიგადის მოსამსახურეა, 90 — უკრაინის უშიშროების სამსახურისა და 20 — შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

დანაკარგში პონომარიოვი ასევე ასახელებს 70 უცხოელ დაქირავებულს, საიდანაც პოლონური კერძო სამხედრო კომპანია ASBS Othago-ს —6, ამერიკული კერძო კომპანია Graystone-ს — 14 და მეორე ამერიკული კომპანია Academi-ს (ძველი დასახელება 2009 წლამდე Blackwater,) 50 მოსამსახურე იყო.

გარდა ამისა, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს 13 მოკლული და 12 დაჭრილი თანამშრომელი ჰყავს.

სამხედრო ტექნიკის დანაკარგი ასეთია: 8 შვეულმფრენი (Ми-24, Ми-17, Ми-8), ერთი Hummer-ი, 6 ჯავშანტრანსპორტიორი, 4 ქვეითთა საბრძოლო მანქანა და 3 ჰაუბიცა Д-30.

თავის მხრივ, ე. წ. „დონეცკის რესპუბლიკის" ფორმირებების ცოცხალი ძალის დანაკარგი 8 მოკლულითა და 3 დაჭრილით შემოიფარგლა. ამაში არ შედის სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლი. სეპარატისტები ბრძოლებში დაღუპულთა დროულად გატანას ცდილობენ, რომ რუსეთის მოქალაქეებისა და სამხედრო მოსამსახურეთა იდენტიფიკაცია არ მოხდეს.

*აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეობს „მარჯვენა სექტორის" მოხალისეებით დაკომპლექტებული ბატალიონი „დონბასი-1"*





უკრაინის არმიისთვის წართმეული მედესანტეთა საბრძოლო მანქანა ე.წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკას" ემსახურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ მოყვანილი დანაკარგის არაბუნებრივი თანაფარდობა ეჭვს ბადებს, რომ ეს სტატისტიკა სპეციალურად მოსკოვისთვის არის შეთხზული, რათა აჩვენონ უკრაინის კრიზისში უცხოელთა მონაწილეობის მასშტაბი და შესაბამისად, რაც შეიძლება მეტი ფინანსური, სამხედრო თუ სხვა სახის დახმარება მიიღონ.

ორკვირიანი პაუზის შემდეგ, 16-17 მაისს, ღამით ბრძოლები სლავიანსკთან ისევ განახლდა. აგურის ქარხნის ტერიტორია უკრაინულმა არტილერიამ და ქვეითებმა ცეცხლით დაამუშავეს, ხოლო დილით იქ შესულ მზვერავებს ასამდე მოკლული სეპარატისტი დახვდათ. თუმცა, ამ ინფორმაციას ჯერჯერობით ოფიციალური კომენტარები არ მოჰყოლია.

სლავიანსკის მორგი გადატვირთულია მკვდარი ტერორისტებით, ამიტომ ნაწილს ქალაქის მახლობლად საცავი ტყის ზოლში კრძალავენ. მოკლულთა შორის ბევრია კადიროვის გაგზავნილი ჩეჩენი მებრძოლია. ანტიტერორისტული ოპერაცია მეტად რთულად მიმდინარეობს. ბევრ ადგილზე უკრაინელი სამხედროები ადგილობრივი მოსახლეობისგან დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან და იძულებულნი ხდებიან, ბრძოლებით დაკავებული პოზიციები დათმონ. ასეთი წინააღმდეგობა დახვდათ კრამატორსკის ცენტრში შესვლისას, სადაც პრორუსულად განწყობილმა მოსახლეობამ მათ ფაშისტები ეძახა და უკან გასვლა აიძულა. სამთავრობო ძალებმა მძიმე ბრძოლების შემდეგ მარიუპოლიც იძულებით დატოვეს. ერთმა უკრაინელმა სამხედრომ კი არცთუ შემთხვევით ანტიტერორისტული ოპერაცია მოსწრებულად სამბალიანი ქარიშხლის ტალღების გადავლა-გადმოვლას შეადარა.

**თემურ ჩაჩანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# N1

## საავტომობილო ჟურნალი




Auto Bild

საქართველო




# საქართველო SOFEX 2014-ზე

29927

6 მაისს იორდანიის დედაქალაქ ამანში თავდაცვითი შეიარაღების საერთაშორისო სამხედრო გამოფენა SOFEX-2014 გაიხსნა. გამოფენა დასაბამს 1996 წლიდან იღებს და მას შემდეგ რეგულარულად 2 წელიწადში ერთხელ ტარდება. წლევანდელი ექსპოზიცია საიუბილეო — რიგით მეათე იყო. გამოფენა SOFEX-2014 იორდანიის სამეფოს მეფის, აბდულა II-ის პატრონაჟით ჩატარდა.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თავდაცვითი ტექნოლოგიებისა და შეიარაღების სფეროში ამ გამოფენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საკუთარი პროდუქციის დემონსტრირებას იორდანიაში მსოფლიოს არაერთი შეიარაღების მწარმოებელი წამყვანი კომპანია ცდილობს.

გამოფენის პავილიონებში თავდაცვითი შეიარაღების ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი. მათ შორის საპოლიციო და საჯარისო დანიშნულების შეჯავშნული მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები, თვითმავალი და ბუქსირებადი საარტილერიო საშუალებები, ჭურვები, ელექტრონული აღჭურვილობა და კავშირის საშუალებები, ცეცხლსასროლი იარაღი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

სხვა ფაქტორებთან ერთად, წლევანდელ SOFEX-2014-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვისაც ჰქონდა. პირველად მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველომ საერთაშორისო სამხედრო გამოფენებში მონაწილეობის პროცედურა განაახლა. ქართული სამხედრო პროდუქცია იორდანიაში სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკურმა ცენტრმა „დელტამ“ წარმოადგინა.



*ქართული სტენდის ექსპოზიცია Sofex-2014-ზე*




ბოლოს ასეთი პრეცედენტი 2001 წელს იყო. მაშინ საფრანგეთში ლე ბურჟეს საერთაშორისო ავიაკოსმოსურ სალონზე მოდერნიზებული მოიერიშე Су-25КМ „სკორპიონის“ ჩვენება შედგა. სამწუხაროდ, მას შემდეგ საქართველოს მონაწილეობა არც ერთ სამხედრო გამოფენაში არ მიულია.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



*წლევანდელ SOFEX-2014-ზე იორდანიამ სამამულო წარმოების სამხედრო ტექნიკის რამდენიმე ახალი ნიმუში წარმოადგინა.*

*მეფე აბდალა II-ის სახელობის საკონსტრუქტორო ბიუროში (KADDB) შექმნილი მსუბუქი ჯავშანმანქანა Stallion II (4X4) ხუთკაციან ეკიპაჟზეა გათვლილი.*

*სრული წონა — 7,5 ტ, ძრავა — 272 ცხ.ძ., მაქსიმალური სიჩქარე — 125 კმ/სთ-ში, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ან 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი.*

*შეჯავშნა STANAG 4569 სტანდარტის I დონეს შეესაბამება,ანუ 30 მ-დან ნასროლი 7,62 მმ-იანი ფოლადისგულარიან ტყვიას უძლებს.*

*მომავალში მწარმოებლები Stallion II-ის ბაზაზე სამედიცინო, ტანკსაწინააღმდეგო, ჰაერსაწინააღმდეგო ვარიანტების შემუშავებას გეგმავენ.*

**„დელტას“ გენერალური დირექტორის კონსულტანტი მარკეტინგის საკითხებში თიკა პუხიანიძე:**

**— უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში ეს საქართველოს სამხედრო გამოფენებში მონაწილეობის პირველი შემთხვევაა. რამდენად მნიშვნელოვანია კომპანიისთვის მსგავსი ღონისძიებები?**

— „დელტასთვის“, რომელიც არა მხოლოდ შიდა ბაზარზე, არამედ გარე გაყიდვებზეცაა ორიენტირებული, სამხედრო გამოფენებში მონაწილეობა ძალზე მნიშვნელოვანია. ჩვენი კომპანიისთვის ეს პირველი შემთხვევა იყო და დებიუტიც საკმაოდ წარმატებული გვქონდა. მსგავსი სახის სამხედრო გამოფენები პირველ რიგში კომპანიის მარკეტინგის ზრდისკენაა მიმართული. იმავდროულად, გვეძლევა შესანიშნავი საშუალება საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისა და პოტენციური მყიდველების მოზიდვისთვის.

**— რა სახის პროდუქცია გქონდათ გამოფენილი SOFEX-2014-ზე? რამდენადაც ცნობილია, გამოფენაზე ჯავშანმანქანა „დიდგორის“ ჩვენებაც უნდა მომხდარიყო.**

— წარმოდგენილი გვქონდა 4 სხვადასხვა ვარიანტის ჩაფხუტი და ორი მოდელის ჯავშანჟილეტი, 60

***გამოფენის დროს ცნობილი გახდა, რომ იორდანიის არმია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისგან Mbombe-ს (6X6) ტიპის 50 ჯავშანტრანსპორტიორს შეიძენს***



ეროვნული ბიბლიოთეკა



*იორდანიის თავდაცვის უწყების დაკვეთით სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ CASA-235-ის ბაზაზე შექმნილი „განშიპი“ AC-235. თვითმფრინავს აქვს სპეციალური პილონები 8 მართვადი AGM-114 Hellfire M/k ტიპის რაკეტისა (ოთხ-ოთხი თითო ბორტის მხარეს) და უმართავი რაკეტების გამშვები ორი ბლოკის დასაკიდებლად, ხოლო მარცხენა ბორტზე 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხია მოთავსებული.*

მმ-იანი ნაღმსატყორცნი, ბორტსაწინააღმდეგო ნაღმი და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი. ასევე მანეკენზე ჩაცმული ჯარისკაცის სამხედრო ფორმის სრული კომპლექტი. დიახ, „დიდგორის“ დემონსტრირება ნამდვილად გვქონდა ჩაფიქრებული. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო ამ იდეის განხორციელება ვერ შევძელით. გარკვეულწილად ამაში ხელი თავდაცვის სამინისტროდან ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლამაც შეგვიშალა.

**— თუ იყო დაინტერესება ქართული სამხედრო პროდუქტის მიმართ?**

— დიახ, მოდიოდნენ, ეცნობოდნენ ჩვენს პროდუქციას. გვისვამდნენ კითხვებს. საგამოფენო სტენდზე „დიდგორისა“ და „ლაზიკის“ დიდი ბანერები გვქონდა გაკრული, რაც გამოფენის სტუმრებს და ოფიციალურ დელეგაციებს „დელტას“ პროდუქციის გაცნობაში ეხმარებოდა. გვქონდა სარეკლამო ბუკლეტებიც. ჩვენს სტენდს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციაც ესტუმრა, რომელსაც გენშტაბის უფროსი, ვახტანგ კაპანაძე ხელმძღვანელობდა.

**— თუ აპირებს „დელტა“ სხვა სამხედრო გამოფენებში მონაწილეობას?**

— ამ ტენდენციის გაგრძელებას ნამდვილად ვაპირებთ და ექსპონატების ნომენკლატურის გაზრდასაც ვგეგმავთ. რა თქმა უნდა, ყველა სამხედრო გამოფენაში მონაწილეობას ვერ მივიღებთ. გვინდა შევარჩიოთ ისეთი რეგიონები, რომლებიც ჩვენი სამხედრო პროდუქციის რეალიზებაში უკეთ დაგვეხმარება.

**ალექსანდრე აფაქიძე**

*იორდანიული 105 მმ-იანი მობილური საარტილერიო დანადგარი KADDB-ი სატვირთო ავტომობილის ძარაზე დამონტაჟებულ ამერიკულ M102-ის ტიპის ჰაუბიცას წარმოადგენს. მისი დამიზნება ჰიდრავლიკური მექანიზმებით ხდება, თუმცა, ხელით დამიზნების შესაძლებლობაც შენარჩუნებულია.*

*საბრძოლო კომპლექტი: 36 ჭურვი, სროლის სიშორე — 11 500 მ, ხოლო რეაქტიული ჭურვების შემთხვევაში — 15 100 მ.*





# ეთნოკონფლიქტები ერთნაირი სცენარით

### ყარაბაღი

მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში 1988 წლის 1-ლი იანვრისთვის 184 ათასამდე კაცი ცხოვრობდა, საიდანაც 136 ათასი, ანუ 74%, სომეხი და 32,5 ათასი, ანუ 23,7% აზერბაიჯანელი იყო.

1988 წლის 20 თებერვალს ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე სესიამ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს აზერბაიჯანიდან გასვლისა და სომხეთის შემადგენლობაში შესვლის დადებითად გადაწყვეტის თხოვნით მიმართა.

ეს გადაწყვეტილება დაპირისპირების მიზეზად იქცა და აზერბაიჯანელებმა სტეფანაკერტში, ასგერანში, სუმგაითსა და სხვა ქალაქებში სომხები დაარბიეს.

საპასუხო აქციები სომხეთშიც გაიმართა და იქაურობა ათეულათასობით აზერბაიჯანელმა დატოვა.

1989 წლის იანვრისათვის ყარაბაღი აზერბაიჯანის ხელისუფლებას ფაქტობრივად აღარ ემორჩილებოდა, ხოლო ადგილობრივი სომხები ომისთვის მზადებას შეუდგნენ.

იმავე წლის ზაფხულიდან ყარაბაღელ სომეხთა რაზმები გააქტიურდნენ და აზერბაიჯანული სოფლების მოსახლეობას დასაშინებლად სეტყვასაწინააღმდეგო „ალაზნის" ტიპის რაკეტებს, ქვემეხებისა და თვითნაკეთი ნაღმსატყორცნების ჭურვებს ესროდნენ.

1989 წლის აგვისტოში კონფლიქტის ზონაში მოხალისეებითა და თადარიგის სამხედროებით დაკომპლექტებული, მაგრამ სუსტად შეიარაღებული აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის რაზმები გამოჩნდნენ.

1991 წლის 2 სექტემბერს ადგილობრივმა ხელისუფლებამ აზერბაიჯანისაგან გამოყოფა და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. თვითაღიარებული რესპუბლიკის ფორმირებები და სომხეთიდან შემოყვანილი მოხალისეთა რაზმები ე.წ. „მთიანი ყარაბაღის თავდაცვის ძალებში" გაერთიანდნენ, რომელიც დაახლოებით 15 ათასამდე კაცს ითვლიდა.

1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირი დაიშალა და 10 დეკემბერს ყარაბაღში დამოუკიდებლობის გამოცხადების ლოზუნგით რეფერენდუმი ჩატარდა. რეფერენდუმში 108 736 კაცმა, ანუ მოსახლეობის 82,2%-მა მიიღო მონაწილეობა და დამოუკიდებლობას 99,89 %-მა დაუჭირა მხარი. ამ დროისათვის ავტონომიის ეთნიკური შემადგენლობა სომხების სასარგებლოდ შესამჩნევად იყო შეცვლილი.

აზერბაიჯანის მცდელობამ, რომ კონფლიქტი სამხედრო ძალის გამოყენებით გადაეჭრა, ნაყოფი არ გამოიღო და პირიქით ყარაბაღის მიმდებარე რამდენიმე რაიონის დაკარგვით დასრულდა.

1988-94 წლებში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში ჯერ საბჭოთა, შემდგომ რუსეთის არმია აქტიურად მონაწილეობდა. დაქირავებული რუსი სამხედროები ორივე ქვეყნის არმიის რიგებში იბრძოდნენ, ხოლო სომხებს კიდევ გიუმრის რუსული სამხედრო ბაზის მოტომსროლელი, საარტილერიო, სატანკო და საავიაციო ქვედანაყოფები ეხმარებოდნენ.

ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიის 20%-ს თვითაღიარებული ყარაბაღი აკონტროლებს.

### დნესტრისპირეთი

1990 წლის 2 სექტემბერს მაშინდელ მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროს ქალაქ ტირასპოლში მცხოვრებმა რუსებმა და უკრაინელებმა დნესტრისპირეთის მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს.

1991 წლის 27 აგვისტოს კიშინიოვში მოლდავეთის დამოუკიდებლობა გამოცხადდა და კონფლიქტიც გაღვივდა.

დნესტრისპირეთმა რუსული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება მოითხოვა და შეიარაღებული ფორმირების რესპუბლიკური გვარდიის ჩამოყალიბებას შეუდგა.

დნესტრისპირეთში განთავსებული რუსეთის მე-14 არმია ადგილობრივ სეპარატისტთა მთავარ დასაყრდენად იქცა. კადრის ბევრი ოფიცერი და მთელი ქვედანაყოფებიც კი მე-14 არმიას ტოვებდნენ და სამსახურს დნესტრისპირეთის გვარდიაში იწყებდნენ. მიმდინარეობდა სეპარატისტებისათვის საარმიო საწყობებიდან იარაღისა და საბრძოლო მასალების ფარული გადაცემა.

სეპარატისტებს მხარდამჭერები მეზობელ ქვეყნებშიც გამოუჩნდნენ და 700-800 დონელი და ყუბანელი კაზაკი თანამოძმეებს შეუერთდა.

1992 წლის დასაწყისში დნესტრისპირეთის გვარდია ათასამდე კაცს ითვლიდა  და 4 ბატალიონს, საბრძოლო ტექნიკისა და უზრუნველყოფის ქვედანაყოფებს აერთიანებდა. ბრძოლის სურვილი უკრაინელმა ნაციონალისტებმაც გამოხატეს და თავიანთი მოხალისეები გაგზავნეს.

პირველი შეტაკებები 1991 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში ქალაქ დუბოსართან მოხდა, რასაც ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა.  სეპარატისტები იარაღით მოლდაველ პოლიციელებს ნელ-ნელა ავიწროებდნენ და მდინარის მარცხენა სანაპიროს ქალაქების დატოვებას აიძულებდნენ. ამგვარად ტირასპოლმა ძალაუფლება მთელ რეგიონზე გაავრცელა.

მოლდავეთის მიერ ძალის გამოყენება დნესტრისპირეთმა აგრესიად შერაცხა და მოსახლეობას „აგრესორისათვის“ საკადრისი პასუხის გაცემისაკენ მოუწოდა, ხოლო გვარდიასა და სხვა ფორმირებებს მოლდაველთა განდევნა დაავალა.

ბრძოლების დროს რამდენჯერმე მე-14 არმიის ქვედანაყოფები ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა. იყო რუსულ სამხედრო ნაწილებზე თავდასხმის შემთხვევებიც, რაც სამხედროების აგრესიულობას მოლდაველებზე კიდევ უფრო ზრდიდა.

ამის შედეგი იყო, რომ მე-14 არმიის ოფიცრები ულტიმატუმით გამოვიდნენ და ცეცხლის შეწყვეტა მოითხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პოზიციებზე რუსეთის დროშით გასვლით იმუქრებოდნენ.

1992 წლის 10 მაისიდან მოლდაველებმა მოქმედებები ქალაქ დუბოსარის რაიონში გააქტიურეს, ხოლო მე-14 არმიის სარდალი გენერალი ნეტკაჩევი საპასუხო ცეცხლს შეჰპირდა და სეპარატისტებს დახმარება გაუზარდა.

სიტუაციამ კულმინაციას ქალაქ ბენდერისთვის ბრძოლებში მიაღწია. მაშინ რუსებმა თავიანთი ინიციატივით მე-14 არმიის ბოქსებიდან ტანკები, თვითმავალი საარტილერიო დანადგარები და სხვა ტექნიკა გამოიყვანეს.

*„მშვიდობისმყოფელი“ რუსი სამხედროები — პოლიტიკური თამაშების პატარა შემსრულებლები*





*იარაღიანი ადამიანი მეტწილად ძალადობისა და უსამართლობის სიმბოლოა*





*ეთნოკონფლიქტებში ნებისმიერი ეროვნების ადამიანის სიკვდილი ახლობლებისთვის დიდ ტრაგედიას ნიშნავს*

1992 წლის 20 ივნისის საღამოს რუსმა სამხედროებმა ბენდერასთან მოლდაველთა პოზიციები გაარღვიეს და სეპარატისტთა ფორმირებებს ქალაქში შეჭრის საშუალება მისცეს.

მე-14 არმიის მონაწილეობამ კონფლიქტის ბედი პრაქტიკულად განსაზღვრა და კიშინიოვი ცეცხლის შეწყვეტასა და კონფლიქტის ზონაში რუსული სამშვიდობო ძალების განლაგებას დათანხმდა.

## ცხინვალი

1990 წლის 20 სექტემბერს იმდროინდელმა სამხრეთ-ოსეთის საოლქო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გადაკეთებაზე და მოსკოვს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსის მიღების თხოვნით მიმართა.

იმავე წლის 11 დეკემბერს ახალარჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა და მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმებაზე.

ცხინვალისა და ჯავის რაიონებში საგანგებო მდგომარეობა და საკომენდანტო საათი ამოქმედდა, ხოლო წესრიგის დასაცავად იქ ქართული მილიცია და საბჭოთა შინაგანი ჯარი შევიდა.

ამის მიუხედავად, 1991 წლის 21 დეკემბერს ცხინვალმა დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო, რასაც 1992 წლის 19 იანვარს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი რეფერენდუმი მოჰყვა.

კონფლიქტში რუსი სამხედროები თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ. ცხინვალთან დისლოცირებული 292-ე ცალკეული საბრძოლო შვეულმფრენთა და 37-ე საინჟინრო-მესანგრეთა პოლკები ოსურ ფორმირებებს იარაღითა და საბრძოლო საშუალებებით ამარაგებდნენ.

იმ დროს, როცა საქართველოს ჯერ არმიაც კი არ ჰყავდა, ოსურმა ფორმირებებმა როკის გვირაბის გავლით ვლადიკავკაზიდან რუსული მე-19 დივიზიის თვითმავალი საარტილერიო დანადგარები, ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები მიიღეს.

ქართულმა მილიციამ და შეიარაღებულმა ფორმირებებმა ოსური რაზმების დაშლა-განიარაღება ვერ შეძლეს, რის გამოც კონფლიქტი გაჭიანურდა.

1992 წლის 24 ივნისის სოჭში ხელი მოეწერა შეთანხმებას და კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალები — ქართული, ოსური და რუსული ბატალიონები განლაგდნენ.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარა და თავისი ინტერესების დასაცავად იქ საოკუპაციო ჯარები განათავსა.

## აფხაზეთი

1989 წლის მდგომარეობით აფხაზეთში ცხოვრობდა 525 ათასზე ცოტა მეტი ადამიანი, საიდანაც დაახლოებით 240 ათასამდე, ანუ 45,68%, ქართველი და 93 ათასზე ცოტა მეტი, ანუ 17,76%, აფხაზი იყო.

1991 წლის შემოდგომიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სეპარატისტული ხელმძღვანელობა მიზანმიმართულ მოქმედებებზე გადავიდა საქართველოს სამართლებრივი სივრციდან გასასვლელად.

მიღებული დადგენილებები: „აფხაზეთის რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“, „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“, „სამობილიზაციო რეზერვების მდგომარეობისა და აფხაზეთში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ“ და სხვები საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა.

1991 წლის ბოლოს აფხაზეთში მყოფი საბჭოთა შინაგანი ჯარის ქვედანაყოფების დაშლა დაიწყო და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა შესაბამისი დადგენილებით ეს ნაწილები თავის დაქვემდებარებაში გადმოიყვანა, ხოლო იარაღი, სამხედრო ტექნიკა და საბრძოლო მასალები ე.წ. აფხაზური შინაგანი ჯარის პოლკის ფორმირებისთვის გამოიყენა.

მდგომარეობა აფხაზეთში 1992 წლის ზაფხულში კიდევ უფრო გართულდა და საქართველოს ხელისუფლება, როცა შეიარაღებული ძალებით იქ ვითარების გაკონტროლებას შეეცადა, აფხაზურმა ფორმირებებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს.

აფხაზეთში ომი ყველაზე მეტად რუსეთს აინტე-

რესებდა. მაშინ ჩრდილო კავკასიაში საკმაოდ გართულებული იყო მდგომარეობა და ომით ჩრდილოკავკასიელთა ყურადღების აფხაზეთზე გადმოტანა სურდა.

ომში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ რუსეთის არმიის ნაწილები: 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი, 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკი, 325-ე ცალკეული სატრანსპორტო-საბრძოლო შვეულმფრენთა პოლკი, 529-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკი, 901-ე ცალკეული სადესანტო-მოიერიშე ბატალიონი, მე-6 მესაზღვრეთა საზღვაო ბრიგადა, 36-ე სასაზღვრო რაზმი და სხვ.

საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთიდან შემოსულმა დაახლოებით 4 ათასამდე რუსეთის მოქალაქე ჩრდილოკავკასიელმა, კაზაკმა და ა.შ.

აფხაზურმა ფორმირებებმა რუსეთიდან მიიღეს სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავები (L-39 Albatros-ი), შვეულმფრენები (Ми-8 და Ми-24), ქვეითთა საბრძოლო მანქანები (БМП-2), ქვემეხები (Д-30), ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები (БМ-21 Град-ი), კატარღები, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალები და ა.შ.

1993 წლის სექტემბერში სეპარატისტებმა დაარღვიეს 24 ივლისის შეთანხმება, აფხაზეთის ტერიტორია დაიკავეს და ქართველების ეთნიკური წმენდა დაიწყეს.

რუსეთის შუამავლობით 1994 წლის 14 სექტემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტასა და ძალების დაშორიშორებაზე, რასაც დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონფლიქტის ზონაში თანამეგობრობის ქვეყნების მანდატით ე.წ. რუსული სამშვიდობო ძალების შემოსვლა მოჰყვა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა სეპარატისტული აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა და თავისი საოკუპაციო ძალები გუდაუთის მე-7 ბაზაში განალაგა.

## უკრაინა

რუსული სპეცსამსახურების აქტიური მონაწილეობით უკრაინის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებულმა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებმა 12 მაისს რეფერენდუმი მაინც ჩაატარეს და როგორც მოსალოდნელი იყო, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მხარი დამოუკიდებლობას დაუჭირა.

უკრაინის ტერიტორიაზე გაჩნდა დამოუკიდებელი ე. წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკა“ და „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა“.

დონეცკმა უკვე გამოაცხადა დამოუკიდებლობა და მოსკოვს რუსეთის შემადგენლობაში მიღების თხოვნითაც მიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. რეფერენდუმები დარღვევებით არის „ჩატარებული“ და არანაირი სამართლებრივი საფუძვლები არა აქვს, მისი შედეგები რუსეთისთვის მაინც მისაღებია.

უკრაინის ტერიტორიაზე გაჩნდა სეპარატისტული ანკლავები, რომლის ლიდერებსაც ერთი მიზანი აქვთ — რუსეთთან შეერთება.

სეპარატისტები უკრაინელი სამხედროებისგან იარაღის ჩაბარებას ან მათ მხარეზე გადასვლას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალის გამოყენებით იმუქრებიან.

უკრაინის მოვლენებში დაწყების დღიდან აქტიურად არის ჩართული რუსეთი, საიდანაც კიევის ცენტრალურ ხელისუფლებასთან საბრძოლველად იგზავნებიან სამხედროები და უბრალო მოქალაქეები, შედის იარაღი და საბრძოლო მასალები. კონფლიქტის ზონებში გამოჩნდნენ ჩეჩნები, ოსები, კაზაკები და ა.შ.

რაც მეტი სისხლი დაიღვრება, მით უფრო რთული იქნება დაპირისპირებულ მხარეთა შორის შეხების წერტილების მოძებნა და კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულება. თუმცა, სამხედრო გზით მისი გადაჭრის პერსპექტივაც საკმაოდ ბუნდოვანია.

გამორიცხული არ არის, სიტუაციის შემდგომი გამწვავება და მისი გადაყვანა სამშვიდობო ოპერაციის ფორმატში, მაგრამ ვინ შეასრულებს ცისფერჩაფხუტიანთა მოვალეობას — რუსეთი, გაერო, ევროკავშირი, NATO თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი არ იქნება.

**თემურ ჩაჩანიძე**



ომები და კონფლიქტები ყველაზე მეტად მშვიდობიან მოსახლეობაზე აისახება


რუსულ ტანკს ლიტველები შიშველი ხელებით ებრძვიან

# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...

*აზერბაიჯანში NATO-სთან ოპერატიული თავსებადობის კონცეფციით მომზადებული საბატალიონო სწავლება ჩატარდა*




## აზერბაიჯანი

● 2015 წლის იანვრიდან ბაქოს გემთსაშენი ქარხანა სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის სანაპირო დაცვისთვის სამხედრო ხომალდის მშენებლობას შეუდგება. დამოუკიდებლობის წლებში აზერბაიჯანს სულ ერთი საპატრულო ხომალდი აქვს აგებული.

● თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 30-მა ახალგაზრდამ ერთი დღე სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში არმიული ცხოვრების წესების შესაბამისად გაატარა. მსგავსი პრაქტიკა ასევე მიღებულია თურქეთის, ირანისა და სხვა ქვეყნების არმიებში.

● ფრონტისპირა ზონაში რამდენიმე დღე გაგრძელდა ფართომასშტაბიანი სწავლება 4 ათასი სამხედროს, 60-ზე მეტი ჯავშანტექნიკის ერთეულის, 120-ზე მეტი რაკეტული და საარტილერიო სისტემის, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის კომპლექსების მონაწილეობით. 1-ლი მაისი სწავლების პრაქტიკულ ფაზას დაეთმო, სადაც სროლები ჯავშანტექნიკით, რაკეტული და საარტილერიო სისტემებით, ნაღმსატყორცნებითა და ცეცხლსასროლი იარაღით შესრულდა.

● არმიაში გრძელდება საკადრო ცვლილებები. მე-3 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად პოლკოვნიკი გიარაი ბაგიროვი დაინიშნა, ხოლო წინა უფროსმა, პოლკოვნიკმა ჰაგანი ჯაბრაილოვმა, მე-2 საარმიო კორპუსის შტაბი ჩაიბარა.

● 1-ელ მაისს მთავარმა სამხედრო ინსპექციამ ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებს შემოწმება ჩაუტარა, რაც მოიერიშე Су-25-ების საბრძოლო ამოცანების შესრულებაში გამოიხატა. შემმოწმებლებმა მფრინავთა მოქმედებები დადებითად შეაფასეს.

● 1-დან 30 აპრილამდე გაწვეულებიდან არმიამ 171 ახალწვეული უკან დააბრუნა. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, განმეორებითი სამედიცინო შემოწმებისას 37-ს ტუბერკულოზი, 62-ს ნევროტიკური რეაქცია და 72-ს სხვადასხვა ავადმყოფობა აღმოაჩნდა. წინა 1-დან 31 იანვრამდე პერიოდში გაწვეულებიდან განმეორებითი შემოწმებისას 157 ახალწვეულს სხვადასხვა ავადმყოფობა დაუდგინდა და სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარი გამოდგა.

● მაისის პირველ ნახევარში სწავლებები ჩატარდა იმ სამხედრო ნაწილში, რომელიც С-300ПМУ2 Фаворит-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით არის აღჭურვილი. სცენარის მიხედვით, საჰაერო სივრცის დარღვევაზე ინფორმაცია საბრძოლო მართვის პუნქტსა და დივიზიონებს გადაეცათ. დივიზიონებმა სამიზნეებს თვალყური მიადევნეს და ბოლოს პირობითი ზალპით გაანადგურეს.

● სასწავლო-საწვრთნელმა ცენტრმა გარაჰეიბატმა 5-8 მაისს უმასპინძლა NATO-სთან ოპერატიული თავსებადობის კონცეფციით მომზადებული აზერბაიჯანული მოტომსროლელი ბატალიონის მე-2 დონის შესაფასებელ საველე სწავლებას. მასში 900 სამხედრო მოსამსახურე, სამხედრო ტექნიკის 100 ერთეული და 4 შვეულმფრენი მონაწილეობდა.

● აზერბაიჯანმა რუსეთს T-90C ტიპის ტანკების ეკიპაჟების მოსამზადებელი სიმულატორები შეუკვეთა. კონტრაქტით შეკვეთა მიმდინარე წლის ბოლომდე შესრულდება.

● 8 მაისს 20 წელი შეუსრულდა ე. წ. „ბიშკეკის პროტოკოლს“ ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმზე, რომელიც ძალაში 1994 წლის 12 მაისიდან შევიდა და იმავე დღეს ფრონტზე აქტიური მოქმედებები შეჩერდა. ამის მიუხედავად განვლილ 20 წელიწადში ფრონტის ხაზზე აზერბაიჯანის არმიამ სხვადასხვა მიზეზით 6 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე დაკარგა.

● თავდაცვის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, 2007-13 წლებში სომხებმა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმზე შეთანხმება 7 673-ჯერ დაარღვიეს, რის შედეგადაც 102 აზერბაიჯანელი სამხედრო დაიღუპა, ასამდე კი დაიჭრა.

● მიღებულია გადაწყვეტილება საშუალო სკოლების სასწავლო იარაღითა და სასროლი ტრენაჟორებით აღჭურვაზე. თავდაცვითი მრეწველობის მინისტრ იავერ ჯამალოვის თქმით, სამამულო საწარმოები ამისათვის საჭირო ყველაფერი აუცილებლის და მათ შორის ტრენაჟერების დამზადებასაც შეძლებენ.

● 2013 წელს თურქულმა კომპანია MKE-მ აზერბაიჯანს 1 მლნ დოლარის სნაიპერული შაშხანები, ცეცხლსასროლი იარაღი, საინჟინრო საშუალებები და სხვადასხვა პროდუქცია მიაწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰეიდარ ალიევის სახელობის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ქალების მიღების განახლებასთან დაკავშირებით სამხედრო კანონმდებლობაში რიგ ცვლილებათა შეტანაა დაგეგმილი.

## სომხეთი

● ნახჭევანის მოსაზღვრე ვაიოძორის ოლქში დისლოცირებული ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი მერუჟან არუთინიანი 1-ლი მაისიდან დაკარგულად ითვლება. განიხილება ოფიცრის დაკარგვის ორი ვერსია — მას გზა აერია და აზერბაიჯანელებმა დააკავეს ან მდინარეში დაიხრჩო.

● 1-ელ მაისს სახელმწიფო მეთაურის პრესსამსახურის ინფორმაციით, არტურ ბაღდასარიანმა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა დატოვა.

● „სომხეთის არმიის ძალა მის ერთობაშია“, — განაცხადა ყარაბაღის ომის მონაწილემ არკადი ტერ-ტადევოსიანმა (მეტსახელად „კომანდოსი“). თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ტერ-ტადევოსიანის სახელთან არის დაკავშირებული 1992 წლის 25 მაისს სომხეთის არმიის მიერ ქალაქ შუშის აღების ოპერაცია.

● 10 მაისს დილით თავდაცვის მინისტრი სეირან ოჰანიანი თავუშის ოლქში ეწვია იმ სამხედრო ნაწილს, სადაც წინადღეს პოსტზე თავში დაჭრილი ჯარისკაცი იპოვეს. საავადმყოფოში გადაყვანისას ჯარისკაცი გარდაიცვალა.

## კონფლიქტის რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● ზაფხულის ბოლომდე საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზა 80-ზე მეტ ახალ ჯავშანტრანსპორტიორ БТР-82АМ-ს მიიღებს. შარშან ივლისში ბაზამ უკვე დაიმატა იმავე ტიპის 30-მდე ჯავშანტრანსპორტიორი.



*გრძელდება საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზის БТР-82АМ-ის ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებზე გადასვლა*

● 30 აპრილს საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო სამმართველომ შექმნის მე-5 წელი აღნიშნა.

● სასწავლო გეგმების შესაბამისად, ოჩამჩირის ტანკოდრომზე სოხუმის უმაღლესი საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებლის 1-ლი და მე-2 კურსების კურსანტებმა ტანკებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების მართვაში მომზადება გაიარეს.

● გიუმრის რუსული 102-ე ბაზის საინჟინრო ქვედანაყოფები კამჰუტისა და ალაგიოზის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრების ტერიტორიათა ფეთქებადსაშიში საგნებისგან გაწმენდას შეუდგნენ. სულ დაგეგმილია 200-ზე მეტი სასწავლო მოედნის აუფეთქებელი ჭურვებისა და მასალებისგან გასუფთავება. ზამთრის სასწავლო პერიოდში ორივე პოლიგონზე ქვემეხისა და ტანკის 120 ათასზე მეტი, ცეცხლსასროლი იარაღისა და ყუმბარსატყორცნის 350 ათასზე მეტი გასროლა შესრულდა.



*სომხეთის თავდაცვის მინისტრი სეირან ოგანიანი*

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● მაისის დასაწყისში როტაციის საფუძველზე საოკუპაციო ჯარების ცხინვალის მე-4 ბაზა 650-ზე მეტი სამხედრო სპეციალისტით შეივსო, რომლებმაც მოსამზადებელი კურსები რუსეთში სასწავლო ცენტრებში გაიარეს.

● უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო ცხინვალის რეგიონში პარტია „ერთიანმა ოსეთმა“ გამოაცხადა მოხალისე ვეტერანების შეგროვება, რომლებიც 1989-2008 წლებში საქართველოსთან შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობდნენ.

### თვითაღიარებული ყარაბაღი

● 21-23 აპრილს მორიგი საბატალიონო ტაქტიკური სწავლება ჩატარდა საბრძოლო სროლებით. სწავლებას აკვირდებოდნენ თვითაღიარებული ყარაბაღის თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი მოვსეს აკოპიანი და მისი მოადგილეები.

# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...



როსტოვის ოლქში მდებარე საავიაციო ბაზას ორი ახალი Ми-35М-ი დაემატა

## რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი

● როსტოვის ოლქში საარმიო ავიაციის ბაზა ორი უახლესი Ми-35М-ის ტიპის შვეულმფრენით შეივსო. მიმდინარე წელს კი სამხრეთის სამხედრო ოლქის საავიაციო პოლკები და ბაზები 40-მდე Су-27СМ-ის, Су-30СМ-ის, Су-30М2-ის, Су-35С-ის ტიპის თვითმფრინავსა და 10-ზე მეტ Ми-26Т-ს, Ми-8МТВВ-5-1-ს ტიპის შვეულმფრენს მიიღებს.

● 2014 წელს ოლქის შენაერთებისთვის დაგეგმილია 1 500-ზე მეტი უახლესი და მოდერნიზებული შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ერთეულის გადაცემა, საიდანაც დაახლოებით 1 400 სახმელეთო ჯარების განკარგულებაში იქნება.

● კრასნოდარის მხარეში მდებარე საჰაერო თავდაცვის ცენტრი 700-მდე უმცროსმა სპეციალისტმა დაამთავრა, რომლებმაც მომზადება საზენიტო-სარაკეტო სისტემებზე — Тор-ზე, Оса-ზე, Стрела-10-ზე, საზენიტო საქვემეხო-სარაკეტო კომპლექს Тунгуска-სა და ხელით გადასატან საზენიტო კომპლექს Игла-ზე გაიარეს.

## თურქეთი

● თურქეთმა სირიის ტერიტორიაზე საზღვრიდან 30 კმ-ში მდინარე ევფრატის ნაპირზე მდებარე „თურქ მეზარის“ კომპლექსის დასაცავად 30-კაციანი ქვედანაყოფი შეიყვანა. კომპლექსში ოსმალთა იმპერიის დამაარსებლის, ოსმან I-ის პაპა შაჰ სულეიმანი განისვენებს. თურქეთ-სირიის შეთანხმებით თურქეთს იქ დროშის აღმართვისა და საპატიო ყარაულის დაყენების უფლება აქვს.

● აპრილის ბოლოს სირიის მოსაზღვრე სოფელ ქუშაკლიში (პროვინცია ჰატაი) დაიწყო 200 მ სიგრძის კედლის მშენებლობა, რომლითაც უნდა აღიკვეთოს სირიიდან თურქეთის ტერიტორიაზე უკანონო შესვლა და კონტრაბანდა. ბეტონის კედლის სისქე 30 სმ და სიმაღლე 3 მ-ია. მსგავსი კედლის მშენებლობა ასევე განზრახულია საზღვრის სხვა ადგილებშიც.

● საზღვაო კომპონენტის გასაძლიერებლად თურქეთი რამდენიმე წელია რეალიზებას უკეთებს პროგრამა Meltem II-ს, რომელიც საზღვაო ძალებისთვის 6 და სანაპირო დაცვისთვის 3 თვითმფრინავისა და შესაბამის მოწყობილობათა გადაცემაზე არის გათვლილი. სანაპირო დაცვას სამივე საზღვაო საპატრულო CASA CN-235MPA უკვე გადაეცა, ხოლო საზღვაო ძალებმა 28 აპრილს ტოპელის სამხედრო-საზღვაო ბაზაში მეხუთე თვითმფრინავი CN-235S მიიღეს.

● 30 აპრილს პროვინცია დიარბექირში ტერორისტებმა ცეცხლი გაუხსნეს სამხედრო შვეულმფრენს და ორი ტყვია მოარტყეს.

● თურქეთმა გამოაცხადა, რომ Lockheed Martin-ის ას გამანადგურებელ F-35 Lightning II-ს იყიდის. კონტრაქტის საერთო ღირებულება 16 მლრდ დოლარია და პირველი ორი თვითმფრინავის მიღება 2018 წლისათვის არის მოსალოდნელი.

● 8 მაისს ქალაქ ალეპოს მახლობლად სირიის სამხედრო თვითმფრინავებმა ცეცხლი გაუხსნეს თურქულ ჰუმანიტარულ კონვოის და თანხლები პირებიდან 1 მოკლეს, 3 დაჭრეს. კონვოის ერთ-ერთი თურქული ფონდის მიერ შეძენილი ფქვილი გადაჰქონდა.

● რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსის შეძენაზე ჯერ კიდევ 2009 წელს გამოცხადებული ტენდერი ისევ გრძელდება. 2013 წლის სექტემბერში ჩინურ კომპლექსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ შუალედური აღმოჩნდა, რითაც თურქულმა მხარემ ამერიკული და ევროპული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებით დაინტერესება კიდევ უფრო გაზარდა.

● თურქეთის სამხრეთ ნაწილში 12 მაისს საწვრთნელი ფრენის დროს მინდორში ჩამოვარდა ისრაელში დამზადებული Heron-ის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატი.

## ირანი

● ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის სარდლის, გენერალ-მაიორ ალი ჯაფარის თქმით, მის დაქვემდებარებაში მყოფ ქვედანაყოფებს საბრძოლო მომზადებაში შესანიშნავი მაჩვენებლები აქვთ და უძლიერეს რაკეტულ პოტენციალს ფლობენ. გენერალმა ხაზი გაუსვა პირადი შემადგენლობის იდეოლოგიურ მომზადებას და აღნიშნა, რომ ამ მხრივ კორპუსი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის შეიარაღებულ ძალას სჯობს და შესაბამის უპირატესობასაც ფლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● „ქვეყნის სახმელეთო ჯარები მალე მიიღებენ თხევადსაწვავიან რაკეტებს“, — განაცხადა სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა კიუმარს ჰეიდარმა. გენერალმა აღნიშნა, რომ ახალი რაკეტა 300 კმ-ზე დაფრინავს და წინა მოდელებისგან განსხვავებით უფრო ძლიერი საბრძოლო ნაწილი აქვს.

● სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის მოადგილის, კონტრადმირალ სიავაშ ჯარეჰის თქმით, წითელ ზღვაში ირანელმა მეზღვაურებმა ინდუსების ტანკერი მეკობრეთა თავდასხმისგან იხსნეს. 30-ე ფლოტილიის ხომალდების გამოჩენის შემდეგ მეკობრეების შვიდმა ნავმა უკან გაბრუნება ამჯობინა.

● 4 მაისს შედგა საშუალო სიშორის საჰაერო თავდაცვის კომპლექს Mersad-ის გამოცდა. ტესტირებისას გამოყენებულ იქნა Shalamcheh-ის ტიპის საზენიტო რაკეტები და Karrar-ის ტიპის უპილოტოები. კომპლექსმა წარმატებით გაართვა თავი დასმულ ამოცანას და პირობითი მოწინააღმდეგის უპილოტო ჩამოაგდო.

● 6 მაისს ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა, კონტრადმირალმა ალი ფადავიმ განაცხადა, რომ ირანი სრულად აკონტროლებს ორმუზის სრუტეს და მზად არის წინ აღუდგეს აშშ-ის ფლოტს. აგრესიის შემთხვევაში კი გამოიყენებს საბჭოთა Шквал-ის საფუძველზე შექმნილ სუპერტორპედო Hoot-ს, რომელიც წყალქვეშ 360 კმ/სთ-ში სიჩქარეს ავითარებს.

● 7 მაისს კონტრადმირალმა ალი ფადავიმ განაცხადა, რომ მისი მეზღვაურები ამერიკული ხომალდების მულაჟებზე ვარჯიშობენ. ადმირლის აზრით, მულაჟები ამერიკული ხომალდების დიზაინისა და კონსტრუქციის უკეთ გაგების საშუალებას იძლევა, რაც რეალური ბრძოლის პირობებში სასურველ ნაყოფს გამოიღებს. ამჟამად ირანი ამერიკული ფრეგატების, საესკადრო ნაღმოსნებისა და ავიამზიდების მულაჟებს აგებს.



*ირანის ბოლო მიღწევა — Hormuz-ის ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები*

● ამჟამად ირანის არმიის უპილოტოების ქვედანაყოფთა განკარგულებაში მყოფ აპარატებს შეუძლიათ როგორც სადაზვერვო, ასევე ოპერატიული ამოცანების შესრულება. ორმუზის სრუტის დასაცავად ირანს უპილოტოები განთავსებული ჰყავს ხომალდებზე, სახმელეთო ბაზებსა თუ შვეულმფრენებზე და ერთი ნაწილის შემტევ საშუალებად — რაკეტებად გამოყენებას აპირებს.

● სახმელეთო ჯარების სარდლის, ბრიგადის გენერალ აჰმად რეზა პურდასტანის თქმით, გრძელდება არმიული შვეულმფრენებიდან სამამულო მართვადი რაკეტების (სამოქმედო რადიუსი 4 კმ) გამოცდები. ივნისში ისპაჰანის პროვინციაში დაგეგმილ სამხედრო სწავლებებზე კი რაკეტების შესაძლებლობები შემოწმდება.

● 11 მაისს ირანის უმაღლესმა ლიდერმა აიათოლა ალი შამეინმა საერთაშორისო თანამეგობრობის მორიგი მოწოდება ქვეყნის რაკეტული არსენალის შემცირებაზე კვლავ უარყო.



*თურქეთ-სირიის საზღვარი*

● 12 მაისს თავდაცვის სფეროში მიღწეული წარმატებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე პირველად იყო ნაჩვენები Hormuz-1 და Hormuz-2 ტიპის ახალი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები. ირანელი სამხედროები ახალი რაკეტების მთავარ სამიზნედ ამერიკულ ხომალდებს განიხილავენ.

● თეირანი დათანხმდა და რუსეთი მალე შეუდგება ირანის ტერიტორიაზე კოსმოსური სანავიგაციო სისტემა ГЛОНАСС-ის სადგურების განლაგებას.

● ირანმა წარმოადგინა ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატის RQ-170 Sentinel-ის მისეული ასლი და გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში მის შესაძლებლობებს ტესტირება ჩაუტაროს. 2011 წელს ირანს ხელში ჩაუვარდა ამერიკული უპილოტო, როცა ის სადაზვერვო ფრენას ასრულებდა.

**თემურ ჩაჩანიძე**

# საქართველოს ეროვნული არქივის დაბრუნების საიდუმლო




(დასაწყისი იხ. „არსენალი“ N16-17, 2013 - N1, N3 2014)

ეროვნული არქივის დაბრუნების შესახებ სხვადასხვა საარქივო დოკუმენტის შესწავლასთან ერთად ემიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების მოგონებებისა და მემუარული ლიტერატურის ანალიზმაც უნდა მოგვცეს ობიექტური სურათი.

ასევე საინტერესო იქნებოდა უშუალოდ ამ მოვლენებში ჩართული საქართველოს სსრ სუკ-ის თანამშრომლების მოგონებების გაცნობაც. თუმცა, 1921-1991 წლებში საქართველოს უშიშროების სისტემის თანამშრომლების მოგონებებით განებივრებული ნამდვილად არ ვართ. რუსი კოლეგებისგან განსხვავებით, ქართველი ჩეკისტების რამდენიმე თაობა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ არ დაგვიტოვა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის რეალური სურათის ამსახველი თუნდაც სუბიექტური მოგონებები.

მაგრამ ერთი გამონაკლისი მაინც არის. გადამდგარმა პოდპოლკოვნიკმა, საქართველოს სუკ-ის კონტრდაზვერვის სამმართველოს ყოფილმა ოპერატიულმა თანამშრომელმა ვლადიმერ ლუტიძემ 2002 წელს გამოსცა წიგნი „კონტრდაზვერვის ოფიცრის მოგონებები“, საიდანაც საქართველოს უახლოესი წარსულიდან ძალზე ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ. ლუტიძის მოგონებებს ქვემოთ დავუბრუნდებით.

ამჟამად კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სუკ-ის არქივების ნაწილის შეგნებული განადგურება, ნაწილის რუსეთში გატანა, ხოლო არქივის დარჩენილი ნაწილის შემდგომ პერიოდში (და ამჟამადაც) ხელოვნური გასაიდუმლოება, ის მიზეზებია, რომელთა გამოც საქართველოს უახლესი ისტორია კვლავ საიდუმლოებითაა მოცული.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად ლუსტრაციის პროცესის ხელოვნური გაჭიანურებაც ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგეების წისქვილზე ასხამს წყალს. არაა გამორიცხული, რომ გაუშიფრავი ყოფილი აგენტურა და მათი შთამომავლები დღესაც ფარული შანტაჟის წნეხის ქვეშ არიან, რის გამოც უნდათ თუ არა, კვლავ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების დავალებების შესრულება უწევთ.

ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ჩვენს ქვეყანაში 1991 წლიდან დაწყებული და დღესაც მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, ეთნიკური და რელიგიური სეპარატიზმი მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურების კაბინეტებში იგეგმებოდა და იგეგმება. ამის შედეგად საქართველოში ორ ათეულ წელზე მეტია, რაც „მართვადი ქაოსის“ სპეცოპერაცია მიმდინარეობს.

ახლა კი მთავარ საკითხს დავუბრუნდეთ. ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე სპეცსამსახურების აგენტურულ-ოპერატიული ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი ობიექტი უცხოეთში მცხოვრები ყოფილი რუსეთის იმპერიიდან და შემდეგ საბჭოთა კავშირიდან წასული ემიგრანტები იყვნენ.

ოპერატიული დამუშავების მიზნით მათზე „გასვლა“ იმ საბჭოთა მოქალაქეების გადაბირებით ხორციელდებოდა, რომელთაც ემიგრანტებთან ჰქონდათ ნათესაური ან სამეცნიერო კონტაქტი. ახალგაზრდა მეცნიერების (ისევე, როგორც მუსიკოსების, სპორტსმენების და ა.შ.) გადაბირება და ოპერატიულ-აგენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურულ მუშაობაში ჩართვა საბჭოთასუკ-ის ფარული სპეცოპერაციების უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდა ქართველი მეცნიერებიც, რომლებიც სათანადო შემოწმების (ე.წ. „სპეცშემოწმება") შემდეგ თანდათან და ფრთხილად გაჰყავდათ ქართველ ემიგრანტებთან კონტაქტზე.

„ოპერატიული ლეგენდა", ძირითადად, სამი იყო: სამეცნიერო კონტაქტები, ნათესაური კავშირები და ტურისტული მოგზაურობა. ამ ოპერატიულ ღონისძიებებს საქართველოს სუკ-ი ახორციელებდა „ცენტრის" ინსტრუქციებითა და კონტროლით.

თბილისში კი ამ სპეცოპერაციებში ჩართული იყვნენ როგორც დაზვერვის, ასევე კონტრდაზვერვის დანაყოფების თანამშრომლები. ერთ-ერთი მათგანი იყო ვლადიმერ ლუტიძე.

## ქართველი კონტრმზვერავის აღიარება

ლუტიძე თავიდანვე წერს: „მოგონებებში შეცვლილია მთელ რიგ სახელმწიფოთა დასახელება, სადაც სინამდვილეში ვითარდებოდა ოპერატიული მუშაობა, ასევე შეცვლილია ზოგიერთი გვარი". მიუხედავად იმისა, რომ ჩეკისტი ცდილობს, მაქსიმალურად დაიცვას საიდუმლოება და არ გაამჟღავნოს სუკ-ის ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციების დეტალები, სტრიქონებს მიღმა დაკვირვებულ მკითხველს მნიშვნელოვანი ცნობების მიღება შეუძლია.

ირკვევა, რომ 50-იანი წლების დასაწყისში ლუტიძე გადაიყვანეს კონტრდაზვერვის განყოფილებაში, სადაც კურირებდა საფრანგეთის მიმართულებას.

მისი თქმით: „იმ პერიოდში საფრანგეთში არსებული ქართული ემიგრაცია ითვლებოდა ერთ-ერთ ძლიერ ბაზად ჩვენი სოციალისტური საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობაში".

ასე რომ, ერთხანს სწორედ ლუტიძე მონაწილეობდა საფრანგეთში მცხოვრები ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ დაგეგმილ სპეცოპერაციებში, რისთვისაც საფრად უცხოეთში ქართველი მოცეკვავეების, სპორტსმენებისა და მეცნიერების ვიზიტებს იყენებდა.

ლუტიძე აღწერს, თუ მისი მეშვეობით, როგორ გადაიბირა სუკ-მა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი „პაიჭაძე" და სამეცნიერო მივლინების ლეგენდით გაგზავნა NATO-ს ერთ-ერთი მთავარი წევრი სახელმწიფოს სამეცნიერო ცენტრში. სადაც „სტაჟირებას გადიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ამ ცენტრს ფართოდ იყენებდნენ სპეცსამსახურები, რომელთა ძირითად ამოცანას წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა. სამწუხაროდ, ცენტრში საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტს არანაირი პოზიცია არ გააჩნდა".

რთული ოპერატიული კომბინაციების შემდეგ, „პაიჭაძემ" ერთობ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა უშიშროების კომიტეტს, რისთვისაც იგი ორდენით დაჯილდოვდა".

საზღვარგარეთ კონტრდაზვერვითი დავალებების (ქართული დელეგაციის წევრების მეთვალყურება) პარალელურად ლუტიძე მუშაობდა ქართველ ემიგრანტ-აგენტებთან კავშირის აღდგენაზეც. როგორც წერს, ევროპაში გასტროლების პერიოდში თანდათანობით მთელ ქართულ ემიგრაციას გაეცნო.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ჩეკისტის ქართველ ემიგრანტებთან ურთიერთობის ერთი ეპიზოდი, რომელსაც ლუტიძე ასე აღწერს: „გაცნობილ-





ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ დაგეგმილ სპეცოპერაციებში სუკ-ი საფრად უცხოეთში ქართველი მოცეკვავეების, სპორტსმენებისა და მეცნიერების ვიზიტებს იყენებდა



ქართულ ემიგრაციაში აგენტურის შექმნა სუკ-ის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო

თა შორის უნდა აღვნიშნო ერთი პიროვნება, ფსევდონიმით „სპარტაკი“, რომელთანაც დიდი ხნის მანძილზე იყო დაკარგული ყოველგვარი კავშირი. მე მქონდა დავალება შევხვედროდი ამ პირს. კონტაქტი მასთან დავამყარე ერთი წვეულების დროს... შეხვედრის დროს „სპარტაკს“ გადავეცი მოკითხვა სახელმწიფო უშიშროების ერთ-ერთი მაღალი ჩინის წარმომადგენლისაგან... მეორე დღეს, კონცერტზე (საუბარია 1969 წლის დასაწყისში სუხიშვილების ანსამბლის გასტროლებზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შვეიცარიასა და ავსტრიაში. – ბ.ა.) „სპარტაკი“ ჩემ გვერდით იჯდა, როცა დარბაზში სინათლე ჩაქრა, მან სხვებისგან შეუმჩნევლად ჯიბეში ჩამიდო წერილი, რომელშიც განმარტებული იყო მასთან კავშირის გაწყვეტის მიზეზი“.

როგორც ირკვევა, ლუტიძე შემდგომშიც არაერთგზის მიავლინეს საზღვარგარეთ ქართველ ემიგრანტ-აგენტებთან („სპარტაკი“, „გიორგი“) ოპერატიული კავშირის აღსადგენად.

განსაკუთრებულ შემთხვევებში ქართველი ემიგრანტების ოპერატიულ დამუშავებასა და მათთან კონტაქტების დამყარებაში საქართველოს სუკ-ის ხელმძღვანელებიც მონაწილეობდნენ.

ლუტიძე მოგვითხრობს ერთ ეპიზოდზე, როცა თავად საქართველოს სუკ-ის თავმჯდომარე ალექსი ინაური იყო ჩართული ემიგრანტის გადაბირების ოპერაციაში: „მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბესტავაშვილი (ალექსი ინაურის ბავშვობის მეგობარი. – ბ.ა.) საქართველოში არ დაბრუნდა. იგი ცხოვრობდა ინგლისში, მუშაობდა სანტექნიკოსად. ასეთი სპეციალობა მას აძლევდა საშუალებას, ყოფილიყო მიწვეული სანტექნიკური სამუშაოების შესასრულებლად ინგლისის სამთავრობო ხელისუფლების ორგანიზაციებში და აგრეთვე ინგლისის მაღალი ელიტური საზოგადოების ოჯახებშიც. ბესტავაშვილზე საქართველოს საგარეო დაზვერვის სამსახურს გარკვეული დაინტერესება ჰქონდა“.

მკითხველს აღარ გადავღლით და აღვნიშნავთ, რომ ბესტავაშვილის საქართველოში სტუმრობისას (რაც ჩვენი აზრით სუკ-ის ინიცირებული და ორგანიზებული იქნებოდა) ის ალექსი ინაურს შეხვდა.

სამწუხაროდ, ლუტიძე არ აკონკრეტებს ამ შეხვედრის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. ჩვენ კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინაურის მცდელობა უშედეგოდ არ ჩაივლიდა, რაც საქართველოს სუკ-ის არქივებში სათანადოდ იქნებოდა დოკუმენტირებული. თუმცა... ამ არქივების შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტურულ-ოპერატიული ოპერაციების ერთ-ერთი უმთავრესი ობიექტი უცხოეთში მცხოვრები ქართველი, რუსი, ლიტველი და ა.შ. ეროვნების ემიგრანტები იყვნენ. ამ დროს, ძირითადად, ერთი და იგივე ოპერატიული მეთოდები და ხერხები გამოიყენებოდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ამ თემაზე რუსი ავტორების მოგონებებმა და ლიტვის სსრ სუკ-ის არქივებში არსებულმა დოკუმენტებმა უნდა შეავსონ საქართველოს სუკ-ის საარქივო დოკუმენტების გაურკვეველი მდგომარეობით გამოწვეული ნაკლოვანება.

## სუკ-ის ოპერატიული მუშაობა რუსულ ემიგრაციაში

სუკ-ის ყოფილი ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი კონსტანტინ პრეობრაჟენსკი მრავალი საინტერესო წიგნის ავტორია. ის რამდენიმე წელი იაპონიაში ჟურნალისტის საფარქვეშ მუშაობდა სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ხაზით, ხოლო მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ექვსი წელი იყო სუკ-ის სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის უფროსის რეფერატი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რამდენიმე საინტერესო და რაც მთავარია, ობიექტური წიგნი დაწერა სუკ-ის მუშაობის სპეციფიკაზე. ნიშანდობლივია, რომ ვლადიმირ პუტინის რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პრეობრაჟენსკის პრობლემები შეექმნა სამშობლოში და იძულებული გახდა, ამერიკისთვის შეეფარებინა თავი.

რუსულ ემიგრაციაში სუკ-ის მუშაობის მეთოდებს კარგად ასახავს პრეობრაჟენსკის მიერ 2010 წელს გამოცემული წიგნი „სუკი რუსულ ემიგრაციაში“.

რამდენიმე ამონარიდი ამ წიგნიდან „არსენალის“ მკითხველს ობიექტურ წარმოდგენას შეუქმნის სუკ-ის მუშაობის პრაქტიკაზე.

პრეობრაჟენსკი აღნიშნავს: „სუკ-ის დაზვერვის სკოლის მასწავლებლები სიამაყით გვიყვებოდნენ, რომ საბჭოთა დაზვერვა 20-იანი წლებიდან მოყოლებული, თეთრგვარდიულ (ემიგრანტულ – ბ.ა.) ორგანიზაციებში ჩანერგილი აგენტურისაგან იღებდა სხდომების ხმის ჩანაწერებს... სტალინი ემიგრანტებს მიიჩნევდა სამხედრო მოწინააღმდეგებად და უკან იტყუებდა, რათა ემიგრაცია დაესუსტებინა მომავალი ომის შემთხვევაში... ამჟამად რუსულ ემიგრაციაში გაიზარდა სუკ-ის აგენტების დინასტიები. პაპა საბჭოთა დაზვერვას თეთრი გენერლების მოტაცებაში ეხმარებოდა, შვილი დასავლელ მკითხველს საბჭოთა ცხოვრების მშვენიერებაზე მოუთხრობდა, შვილიშვილი კი საზღვარგარეთული ეკლესიის ჩეკისტური მოსკოვისთვის დაქვემდებარებისთვის იბრძვის“.

ირკვევა, რომ 20-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა დაზვერვას ჰქონდა ანტისაბჭოთა ემიგრაციის ყველა ლიდერის საცხოვრებლის ზუსტი მისამართი, რათა წითელ არმიას ამ ქალაქის დაკავებისთანავე დაეპატიმრებინა ისინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეობრაჟენსკი სუკ-ის მუშაობის მეთოდების შესახებ ძალზე საყურადღებო ფაქტს მოგვითხრობს რუსულ ემიგრანტულ ორგანიზაცია ნტს-ში ჩანერგილ „ემიგრანტ“ „ნ“-ზე: „ჩავიდა, რა პარიზში ნ-მა დაიწყო საფრანგეთის პოლიტიკური პოლიციისთვის „მოსკოვის აგენტების“ გვარების გადაცემა. სინამდვილეში კი ისინი ყველაზე ანტისაბჭოთა ემიგრანტები იყვნენ. ამაში მას საფრანგეთის კომუნისტური პარტია ეხმარებოდა. აქედან მოსკოვიც ეხმარებოდა, აქვეყნებდა რა „ნ“-ზე სტატიებს, როგორც სამშობლოს მოღალატესა და ფაშისტზე. ახლა ეს „ნ“ პუტინის თაყვანისმცემელია“.

პრეობრაჟენსკის ინფორმაციით, ამჟამად რუსეთის დაზვერვაში ემიგრანტების წინააღმდეგ მუშაობს „ემ“ მიმართულება. ის ატარებს რეგულარულ შეხვედრებს, ე.წ. „საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა კონგრესს“.

პრეობრაჟენსკი, რომელსაც მრავალი წელი აქვს ნამუშევარი საბჭოთა სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ხაზით, წერს: „სუკ-ს ყველაზე მეტი აგენტი სამეცნიერო წრეებში ჰყავდა... ჰუმანიტარები ყველაზე ხშირად მე-5 სამმართველოს აგენტები იყვნენ და დისიდენტების „ჩაშვებაზე“ მუშაობდნენ. საზღვარგარეთ მივლინებაში წასვლისას კი პოლიტიკური დაზვერვის (ანუ სუკ-ის პირველი მთავარი სამმართველოს. – ბ.ა.) დაქვემდებარებაში გადადიოდნენ. საბუნებისმეტყველო დარგში მომუშავე მეცნიერები სამრეწველო ჯაშუშობაში იყვნენ ჩართულნი (საგარეო დაზვერვის სამმართველო „ტ“. ამ სამმართველოს მე-3 და მე-7 განყოფილებები სამეცნიერო-ტექნიკურ დაზვერვას ქვეყნის შიგნით ახორციელებდნენ. მე-3 განყოფილების ოფიცრები მოსკოველი მეცნიერების გადაბირებაზე მუშაობდნენ“.

საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებებიც კი თურმე სუკ-ში იგეგმებოდა. პრეობრაჟენსკის სიტყვებით: „თვით გამოჩენილი აკადემიკოსებიც იყვნენ სუკ-ის აგენტები“.

სუკ-ის მე-5 მთავარი სამმართველოს მე-7 განყოფილება მოკავშირე რესპუბლიკებში იბირებდა მეცნიერებს, რა მიზნითაც რესპუბლიკურ სუკ-ში „ფილიალები“ ჰქონდა.

პრეობრაჟენსკი წერს: კა-გე-ბე-ეფ-ეს-ბე-ს მიზანია ემიგრანტების არქივების ხელში ჩაგდება მათი განეიტრალების მიზნით... ემიგრანტების არქივებით დაინტერესებული არიან ენთუზიასტები, მეცნიერები და დაზვერვის ოფიცრები. ჩეკისტები არქივებში შემდგომი გადაბირებისათვის მომავალ მსხვერპლს მოინიშნავენ, ამუშავებენ მათ ლეგენდებს და ა.შ.“.

ყოველივე ზემოაღნიშნული დასკვნის საფუძველს გვაძლევს, რომ ქართული ემიგრაციის არქივის ხელში ჩასაგდებად საბჭოთა სუკ-ის მიერ ქართველი მეცნიერებიც იყვნენ მობილიზებული და ისინი სპეცსამსახურების ინსტრუქციებით მოქმედებდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ბესიკ ალადაშვილი**
**„სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მავთულხლართებით „ჩაჭერილი“ ინტერვიუ

## რეპორტაჟი კონფლიქტის ზონიდან

„ეს არის ცხოვრება, საკუთარ მიწაზე პოლიციის გარეშე ვერ გაგივლია კაცს?“ — გაბრაზებული ამბობს ჩვენი მძღოლი და ცდილობს, წინ მიმავალ პოლიციის მანქანას არ ჩამორჩეს. რისკი დიდია, — ჯერ იყო და, რუსმა მესაზღვრეებმა, აქედან სამი ჟურნალისტი გაიტაცეს და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევით გაათავისუფლეს, შემდეგ კი, სამი ქალი, რომლებიც ნახირს მწყემსავდნენ, — ისინი ცხინვალში საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით გაასამართლეს და რამდენიმე დღის შემდეგ 6 ათასი რუბლის სანაცვლოდ გაათავისუფლეს...

„თქვენს სამსახურში ვართ, მაგრამ ერთი თხოვნა გვექნება, — მავთულხლართებს რამდენიმე მეტრზე არ მიუახლოვდეთ“, — გვეუბნება ერთ-ერთი პოლიციელი ჯგუფის ხელმძღვანელი... სოფელ ხურვალეთის ბოლოში, უფრო სწორად, მავთულხლართებთან ვჩერდებით, იქ, სადაც რუსმა მესაზღვრეებმა „სახელმწიფო საზღვარი“ გაავლეს და რამდენიმე ოჯახი ოსურ მხარეს მოჰყვა... მათ შორის, 80 წლის დავით ვანიშვილი, რომელიც ლოგინად ჩავარდნილ მეუღლესა და 24 წლის შვილიშვილთან ერთად ცხოვრობს. თუკი შეიძლება ასე ეწოდოს მათ ყოფას... აკრძალვის მიუხედავად, დათო პაპამ, როგორც კი თვალი მოგვკრა, ღობეს მოაშურა.

— **როგორ ხართ, დათო პაპა?..**

— რა გითხრათ, შვილო, აბა?.. რალაც დღეები დამრჩენია სიცოცხლისა და საკუთარ მიწაზე ვერ გამივლია... ჩაწოლილი მეუღლისთვის წამალი ვერ მიყიდია. ექიმთან სად მივიყვანო, ამის მიღმა გადასვლის საშუალებას არ მაძლევენ, ცხინვალში წადიო... როგორც კი, საზღვარს გადავაბიჯებ, მაშინვე ცხინვალში წამიყვანენ. ახლახანაც ვყავდით წაყვანილი, საზღვრის გადაკვეთის გამო კიდევ ერთხელ დაგიჭირეთ, იცოდეთ, სადაც ცხოვრობთ, იქაც არ გაგაჩერებთო...

სად მიპირებენ წაყვანას ამ საუკუნისტოლა კაცს, არ ვიცი.

— **რამდენი წელია, რაც ეს მავთულხლართი გაავლეს?..**

— მესამე წელია... ამ დროის განმავლობაში, ვინ იცის რამდენჯერ დამაკავეს. ამდენ ჯარიმას გადახდა ხომ უნდა. მეც ვცდილობ, აღარ გადავიდე, მაგრამ როცა გამოუვალი სიტუაცია მაქვს, სად ჯანდაბაში წავიდე. ჩემს ქალს წამალი მაინც უნდა ვუყიდო?.. ზოგჯერ გადავიპარები ხოლმე და ღამე ხურვალეთში დავრჩები, პენსიას რომ ავიღებ, დაღამებას ველოდები, რათა ისევ ქურდულად დავბრუნდე ჩემს სახლში... მიწის ნაკვეთი მაქვს, მავთულხლართებს იქით არის, ქართულ





*მავთულხლართების მიღმა დარჩა 80 წლის მიხეილ ვანიშვილი და მისი სახლი*

მხარეს, სახელმწიფომ მომიხნა, მაგრამ ვერ ვთესავ, თესლი ვერ გადამაქვს მავთულხლართებს იქით, რუსმა ჯარისკაცებმა რომ წამიყვანონ, თესლსაც წამართმევენ და ცხინვალშიც წამიყვანენ... ახლა ისეთი დროა, ყველას თავისი თავი გასჭირვებია სოფელში, ყველა ცდილობს, სანამ კარგი ამინდია, მოასწროს და მარცვალი მიწას მიაბაროს. სხვას ვის ვუთხრა, ჩემებს ვერ ვეუბნები, მერიდება... ზამთარში განსაკუთრებით მიჭირს გაძლება, შეშა არა მაქვს. ფულიც რომ მქონდეს, საზღვარი ჩამიკეტეს და შეშა საიდან შემოვიტანო?.. რამდენიმე ფრთა ქათამი მყავს და ერთი ძროხაც. ყველაფერს ვერ გავწვდი, მაგრამ არსებობა ხომ გვინდა. ავადმყოფს შიმშილით ხომ არ მოვკლავ... ჩვენები, ქართული პოლიცია რომ არ მეხმარებოდეს, არ ვიცი, აქამდე რა მეშველებოდა.

— **რუსი მესაზღვრეები ყოველდღე დადიან?**

— კი, თითქმის ყოველდღე, ერთხელ მაინც გამოივლიან და რა დროს გამოჩნდებიან, არავინ იცის... აქ, ჩემი ღობის გასწვრივ, დიდი ჭადრის ხე რომ დგას, იმაზე ვიდეოკამერები აქვთ დაყენებული და ყველაფერს აკონტროლებენ. როდესაც გამოივლიან, ღობეებს საგულდაგულოდ ათვალიერებენ, სადმე გაჭრილი ან მიჭყლეტილი ხომ არ არის, ან რამე...

— **შვილები არ გყავთ?..**

— კი, მყავს... ერთი შვილი ზელდულეთში ცხოვრობს, მაგრამ ჩემამდე ვერ მოდის. ამას წინათ ჩემი მეუღლე ცუდად გახდა და შვილმა რომ გაიგო, ავადმყოფი დედა როგორ არ უნდა ვნახოო, გულმა არ მოუთმინა და მეუღლესთან ერთად წამოსულა. დააკავეს და სანამ 6 ათასი რუბლი არ გადამახდევინეს, არ გამოუშვეს. ზოგი ჩემმა შვილმა ისესხა, ზოგიც მე და ისე გადავიხადეთ. ახლაც ვალები მაქვს...

ერთი შვილიშვილი, 24 წლის ბიჭი, ჩემთან ცხოვრობს, აქ, მაგრამ გარეთ ვერ გამოდის, არ უშვებენ. ემუქრებიან, გაკონტროლებთ, ვიცით, რომ ქართულ სოფლებში და გორშიც მიდიხარ და იცოდე, ერთხელ გამოგიჭერთ და ცხინვალში კი არა, რუსეთის ციხეში წაგიყვანთო. მართლა ასე რომ მოიქცნენ, სად ვეძიო სამართალი... ასე ვფრთხილობთ და ამას წინათ მაინც წაიყვანეს; ამ მავთულხლართების გაყოლებაზე რომ სახლი მოჩანს, იმის პატრონს შეშა არ ჰქონდა. მისი თანატოლია ის ბიჭიც და ჩემს ბალღს სთხოვა, ხის მოჭრაში მომეხმარეო... როგორც კი გადავიდა, იმ წუთში მოვიდნენ რუსის ჯარისკაცები და ორივე ცხინვალში წაიყვანეს, იქიდან ლენინგორში (ახალგორში) გადაიყვანეს და გაასამართლეს. ჩემი შვილიშვილი გამოუშვეს და აქამდე ვილაც გამვლელის მანქანით მოაღწია. ის ბიჭი კი ცხინვალში წაუყვანიათ და ჩვენი ვალუტით, 100 ლარით დააჯარიმეს.

— **აქ „საზღვრის“ შესამოწმელად რომ გადმოდიან რუსები, რას გეუბნებიან?..**

— მაფრთხილებენ, საზღვრის იქით არ გადახვიდეო... ამას წინათ ვილაცები პენსიის ასაღებად წასულან მავთულხლთარეთს მიღმა. ერთი ჩემი მოგვარე იყო, ვანიშვილი. გადაპარული იყვნენ და აქეთობისას, ჩემთან გამოიარეს და პური ჭამეს. ღამის 12-ზე დამადგნენ რუსები, დღეს ქართველი სტუმრები რომ გყოლია, ვინ იყოო?.. ერთი ლოგინის ქვეშ ხედებოდა, მერე ბოსელსა და საბძელს ამოწმებდა. — არავინ მყოლიამეთქი, მაგრამ რას დაგიჯერებენ. არჩევნების დროსაც მოვიდნენ, ვის მიეცი ხმაო, ვისთვის უნდა მიმეცა, არ წავსულვარ-მეთქი და ბარათები ვაჩვენე. ქართულად კითხვა არ ვიცით და თან წავიღებთო.... არჩევნების დღეს, ჩემი ღობის წინ რომ საგუშაგო აქვთ, იქ ისხდნენ. ჩვენი პოლიცია მოძრაობდა ახლომახლო და ერიდებოდნენ. ძროხა მყავდა საბალახოდ და გარეთ ვიყავი. სულ სახლში ხომ არ ვიჯდები... როგორც კი ჩვენი პოლიცია წავიდა, ერთ-ერთი წამოვარდა და ამ ხნის საყელოში მეცა, — რას ეუბნებოდი პოლიციას ჩვენზეო და დანა, რომელიც ქამარში ჰქონდა გარჭობილი, ამოიღო... ამ ყველაფერს ჩვენი მეზობელი შეესწრო და მაშინვე პოლიციას დაურეკა. კიდევ კარგი, შორს არ ყოფილან წასული, მაშინვე მობრუნდნენ. რუსებმა როგორც კი თვალი მოჰკრეს პოლიციის მანქანას, ხელი გამიშვეს და გაგვეცალნენ... ქართული პოლიციის ძალიან ერიდებათ და მაგისი სული გვიდგას. ახლა თქვენი აქ ყოფნის შესახებ რომ გაიგებენ, მეტყვიან, 10 მეტრის სიახლოვეს არავის მიეკაროო.

— **ადგილობრივ ოსებთან თუ გაქვთ რამე ურთიერთობა?..**

— კი, როდესაც რამე სჭირდებათ, მოდიან და მავთულხლართებიდან ანოდებენ ქართველებს ფულს, გორის ბაზრიდან სურსათის მოტანას სთხოვენ... იქ ყველაფერი ძვირია.

— **ამ მავთულხლართებს მიღმა, თქვენს მხარეს, კიდევ არიან ქართველები?..**

— არა, აღარავინ დარჩა, ორი ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ თბილისში წავიდნენ... მე სადღა წავიდე, აქ დავიბადე და გავიზარდე, 80 წელი ამ მიწითა და ჰაერით ვიკვებებოდი, ეს არის ჩემი სამშობლო. ახლა მეუბნებიან, აღარ არის საქართველოს, რუსეთის საზღვარიაო, ამ სამარის კარს მიღწეულმა კაცმა ვილაც მოძალადეს დავუჯერო თუ ამ მიწაში ჩაფლული ჩემი წინაპრების საძვალე ვინამო?.. აქ არის დედ-მამისა და ძმების საძვალე და სხვაგან სად დამედგომება, კაცი ვარ, ქვისგან გამოთლილი კი არა...

ბობნევის უბნიდან, ხურვალეთის ცენტრისკენ წამოვედით. ადგილობრივ მოსახლეობას დაუცველობასთან ერთად ყოფითი პრობლემები აწუხებს: უგზოობა, უწყლობა, უგაზობა, უმუშევრობა... ამ და სხვა მიზეზების გამო სოფელი თანდათან იცლება. გზადაგზა მოუვლელი ბაღები, მიტოვებული სახლები, ქუჩის თავში გამოყვანილი წყლის ონკანი გვხვდებოდა. აქაურობას სიცოცხლის ნიშანწყალს გორაკებს შეფენილი ნახირი აძლევდა... აქაურები წყალს სოფლის ცენტრიდან მანქანით, დროგით, ურიკით ან ზურგით ეზიდებიან. ვისაც რისი საშუალება აქვს... ხანდახან პოლიციაც შეაშველებს ხელს, — მოხუცებსა და მარტოხელებს ბიდონებით ჩამოურიგებს. სოფლის მცხოვრებლების თქმით, პოლიციას, რუსი ჯარისკაცები ერიდებიან და მადლიერები ამბობენ, ჩვენი ბიჭების (პოლიციის) დახმარებით სული გვიდგას, შვილო, მათ გარეშე, არ ვიცით, რა გვეშველებოდაო...

ჩვენ წინ მიმავალი ქართული პოლიციის მანქანა ხურვალეთის ცენტრში, ორსართულიან შენობასთან გაჩერდა. საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მოხუცი ქალი შევნიშნეთ, — ციური ფოთოლაშვილი ვარ, შვილოო, — გვითხრა სევდიანი ღიმილით მან და შინ შეგვიპატიჟა...

— ყველაზე მეტად წყლის პრობლემა გვაწუხებს. მე და ჩემი მეუღლე ავადმყოფები ვართ, — მე წნევიანი ვარ. მეუღლე, ტრაქტორიდან ჩამოვარდა და ცალი თვალი დაკარგა. თავის ტკივილიც დაუტოვა. წამლის დასალევად ორი ყლუპი წყალი რომ არ გექნება, ეს ცხოვრებაა?.. 6 შვილი გავზარდე. კი ცდილობენ, ხელი მოგვიმართონ როგორც შეუძლიათ, მაგრამ ყველაფერს შვილებსაც ვერ შესჩივლებ... დაიფანტნენ. ყველას თავისი ოჯახი აქვს, — არ გეწყინოს, დედა, ამ პირობებს ვერ გავუძლებთო, მითხრეს. ვერც ვამტყუნებ...

ერთი ძროხა გვყავს, მეტს ველარ ვუვლით. მე კი არა, ახალგაზრდები რომ ჰყავს სახლში, იმათ ეკარგებათ პანტაპუნტით... აი, იმ ყვითელ ზოლს ხომ ხედავთ?.. (მოხუცი ხელს იჩრდილავს და ჩვენგან რამდენიმე მეტრში გავლებულ კვალზე მიჩვენებს), იქამდე რომ საქონელი მივიდეს, დაკარგულია. დაავლებენ ხელს რუსები და მიჰყავთ... ამას წინათ სამი ქალი რომ გაიტაცეს, ჩემი მეზობლები იყვნენ. ნახირს მწყემსავდნენ. მავთულხლართებამდე არც კი მისულვართ, აქაურობა სხვისგან გვესწავლებაო, მითხრეს, მაგრამ დაავლეს ხელი და წაიყვანეს...

— **ციური ბებო, ვიცი, რომ ოსები აქეთ გადმოდიან და აქ სურსათს ყიდულობენ...**

— კი, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა აქვს მიღებული, პენსიის ასაღებად გადმოდიან. რუსები არ გვიშვებენ და ვიპარებითო, გვეუბნებიან. აქ, წვიმასა და ცუდ ამინდში რომ დგანან და გორისკენ მიმავალ ტრანსპორტს რომ ელოდებიან, გვეცოდებიან და სახლში მიგვყავს, რომ გავათბოთ. ისინიც ცუდ დღეში არიან... პური ენატრებათ... საშინელი პირობებიაო, გვიყვებიან, ყველაფერი ძვირი ღირს, სამუშაო კი არა გვაქვს. ამიტომაც მოხუცებილა დავრჩით, ახალგაზრდები რუსეთში გადაიხვეწნენ. რუსებსაც ეგ უნდათ, მათი სამხედრო ნაწილების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდებაო. მეც მწარედ გავეხუმრები, — მა რა გეგონათ, სულ თქვენი კარგად ყოფნის დარდით ათენ-ალამებენ რუსები, თქვენმა მზემ-მეთქი...

სოფლის ცენტრში, ერთადერთ მარკეტს მოვკარი თვალი... მარკეტის თანამშრომელი გვიყვება, რომ ოსები (ისინი, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა აქვთ მიღებული), როგორც კი პენსიას აიღებენ, გორში მიდიან, რათა საბითუმო ფასებში შეიძინონ საქონელი. თუმცა, ზოგჯერ, როდესაც ცუდი ამინდია, მის მარკეტს სტუმრობენ... „უფრო მეტად, ზეთი, შაქარი, ბრინჯი, მაკარონი, სიგარეტი, ყავა, პურის ფქვილი და ტკბილეული მიაქვთ. სინანულით ამბობენ, ჩვენთან ყველაფერი ძვირია, ბარემ კი მეტი რამის წაღება გვინდა, მაგრამ გვეშინია, რუსი მესაზღვრეები წაგვართმევენ, — ცხინვალში იყიდეთო, გვეუბნებიანო. ამიტომ ურჩევნიათ, რამდენჯერმე გადმოიპარონ, ცოტა-ცოტა წაიღონ და ასე გაიკეთონ, მარაგი. ჩვენი პოლიცია ხელს უმართავს და არ ერჩის" — მიყვება გამყიდველი გოგონა.

ხურვალეთის ცენტრიდან იმ დასახლებისკენ მივდივართ, საიდანაც ე.წ. საზღვრიდან რუსმა სამხედროებმა სამი ქალი გაიტაცეს... პოლიციელები ტაქტიანად გვაფრთხილებენ, გატაცებულები და მათი ოჯახები, შესაძლოა, აგრესიულად შეგხვდნენო... პირველად ლალი ხუროშვილის ოჯახს ვესტუმრეთ. თავად ნაკვეთში იყო წასული. სახლში მისი და, ნელი ხუროშვილი დაგვხვდა;

— ორი რუსი ჯარისკაცი ყოფილა. ნუ გეშინიათო, არაფერს დაგიშავებთ, გამოგვყევითო, — უთქვამთ, ჯერ სოფელ ღდულეთში წაუყვანიათ, იქიდან კი ღამის პირველ საათზე ცხინვალში... იქ ოსები დახვედრიან. მოსამართლე, ახალგორელი ოსი იყო, ქართულად გველაპარაკებოდაო... საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით გაასამართლეს და თითომ 2 ათასი რუბლი უნდა გადაიხადოთო, უთქვამს... ის ფული იქაურმა ოსებმა აუგროვეს, თორემ ერთბაშად ამდენი ფული საიდან უნდა მიგვეტანა...

— **სადაურმა ოსებმა, ცხინვალელებმა?..**

— დიახ. ვალად ვერ დავიტოვებთ, უნდა გავისტუმროთ, მაგრამ ასე შემოგვითვალეს, როდესაც გექნება, მაშინ გაგვისტუმრეთ, თუ არა და, არც ეგ არის პრობლემაო...

— **მათგან ასეთი მხარდაჭერა არ გაგიკვირდათ?..**

— არა, შვილო, რათა?.. რა გვქონდა ჩვენ გასაყოფი. ახლაც, რომ გადმოიპარებიან, ისე კარგად ვსაუბრობთ ერთმანეთში. ჩვენი ქალები რომ დაუნახავთ, გაგიჟებულან, რას ერჩოდნენო, უთქვამთ, — სამივე 70 წელს მიღწეულნი არიან...

— **ადრე თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ოსებს ქართველი მძევლების ფული აუგროვებიათ?..**

— არა, ეს პირველი შემთხვევაა... ძალიან უკმაყოფილო არიან რუსების დამოკიდებულებით და ეს უკმაყოფილება ყოველდღიურად მატულობს... მე ჩვენნაირ უბრალო ადამიანებზე, გლეხებზე ვსაუბრობ, შვილო, თორემ ვილაც მადლიერი კი ეყოლებათ იქაურ ხელისუფლებაში... ერთხელ მეც წამომადგნენ თავზე რუსები, ძროხებს ვმწყემსავდი — ახლა გაფრთხილებ და შემდეგში, ცხინვალში წაგიყვანო, მითხრეს. ჩემი ეზოდან ვხედავთ, როგორ ამოწმებენ საზღვარს, ძაღლებით დადიან...

ნელი ხუროშვილის სახლიდან სოფლის ყველაზე ინფორმაციულ ადგილას, „ბირჟაზე" მივდივართ... ადგილობრივები ჯერ ეჭვით გვათვალიერებენ, მაგრამ პოლიციის თანამშრომლებს ნდობით უყურებენ და შესაბამისად, მალე ჩვენც გულწრფელად გვესაუბრებიან... ბირჟაზე კიდევ ერთი გატაცებულის, ლალი ხუროშვილის ძმა, დათო ხუროშვილი გავიცანით. მან თავისი ე.წ. საზღვართან მდებარე მიწის ნაკვეთი გვაჩვენა, — მიახლოების მეშინია, შარი არაფერი მომდონ.

— აქედან რამდენიმე მეტრში უკვე „საზღვარია". ყვითელ კვალს ხომ ხედავთ, იმის იქით რუსები არ გვიშვებენ. რამდენჯერაც ჩვენი საქონელი გადავიდა, იმდენჯერ დაიკარგა და დარჩა ხალხი მშიერი. რამდენიმე დღის წინ ჩემი დაც გაიტაცეს რუსებმა ორ ქალთან ერთად და რამდენიმე დღის შემდეგ 6 ათასი რუბლის სანაცვლოდ გაათავისუფლეს, პირუტყვი კი ოკუპანტებს დარჩათ. დაკლავდნენ და შეჭამდნენ, მა რას უზამდნენ... პატრონთან ერთად პირუტყვიც მიჰყავთ, პატრონს აბრუნებენ, საქონელს კი არა. არადა, სოფლის მოსახლეობის ერთადერთი საარსებო წყარო პირუტყვი და რძის ნაწარმია... რუსები ნაგაზებით დადიან, ვინმე რომ არ გაექცეთ... რამდენჯერმე მოსაზღვრე სოფელში მცხოვრებმა ოსებმა დაგვირეკეს და გაგვაფრთხილეს: აქვე ახლოს არიან და არ დაგიჭირონო.

— **იცნობთ მათ?..**

— როგორ არ ვიცნობ, ნათლიმირონობა გვაქვს...

— **რას ამბობენ რუსების შესახებ?**

— თავში ხელებს იშენენ, ეს რა მივქარეთ, არ გვეგონა, თუ ასე წამოგვასხდებოდნენ თავზეო.

დასასრულ, თავდაჭერილ პოლიციელებსაც ვკითხე, — ძნელია აქ ყოფნა-მეთქი?.. — გაეღიმათ, — ადვილი არ არის, მაგრამ რას ვიზამთ, ხალხს ძალიან ვჭირდებითო...

**ლალი პაპასკირი**



„ოსები ძალიან უკმაყოფილონი არიან რუსების ქმედებებით" — ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი



ე.წ. საზღვრის გასაკონტროლებლად ახლა რუსი მესაზღვრეები ვიდეოკამერებს იყენებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „საინფორმაციო ფრონტზე“ რუსეთის ძველი გვარდია გამოჩნდა

**უკრაინაში რუსეთის აგრესია იმდენად აშკარაა, რომ მხოლოდ უცხოპლანეტელებს თუ გაუჩნდებათ რუსეთის ხელისუფლების ქმედებების გამართლებისა და მხარდაჭერის სურვილი. თუმცა, არა, უკანასკნელ დღეებში „საინფორმაციო ფრონტზე“ შეინიშნება იმ პოლიტიკოსების, ჟურნალისტებისა და ექსპერტების მომრავლება, რომლებიც უკრაინაში რუსეთის აგრესიის ახსნას „ობიექტური“ ისტორიულ-ეთნიკური მიზეზებით ცდილობენ. საინტერესოა თუ რა ამოძრავებთ რუსეთის იმპერიის ტრუბადურებს? ალბათ, ვის რა, გემოვნების მიხედვით. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას ის უცხოელი „ჟურნალისტები“ იმსახურებენ, რომლებიც ჯერ საბჭოთა კავშირის სამსახურში იყვნენ, შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლების დეზინფორმაციის ტირაჟირებას ახდენდნენ და ამჟამადაც ახდენენ. დღეს „არსენალის“ მკითხველს ერთ-ერთი ასეთი „პუტინის ბულბულის“ შესახებ მოვუთხრობთ.**

## ვინ ხართ თქვენ, ბატონო კიეზა?

უგებს რუსეთი საინფორმაციო ომს ევროპასა და ამერიკას და ეს უკვე აშკარაა. დღე არ გავა, რომ რუსეთის სპეცსამსახურების კაბინეტებში დამუშავებული დეზა მათმა გავლენის აგენტებმა მსოფლიოს არ მოსდონ. ფაქტია, რომ პუტინის ხელისუფლება აშკარა და ფარული მეთოდების გამოყენებით აშშ-ისა და ევროპის პოლიტიკური ლიდერების ურთიერთდაპირისპირებას ცდილობს. ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომმა გვიჩვენა, რომ ერთ ფლანგზე „ბებერი ევროპის“ ის ქვეყნები (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი) იმყოფებიან, რომლებიც თავის დროზე ჰიტლერსა და სტალინთანაც ნახულობდნენ საერთო ენას, მეორე მხარეს კი ის ქვეყნები, ვინც თავად იწვნიეს საბჭოთა კავშირის იმპერიის მთელი სისასტიკე.

რუსეთის დიდი მონდომებით ევროპასა და ამერიკაში კარგა ხანს მიმდინარეობდა გაცხარებული დისკუსია იმის დასადგენად, თუ ვინ გაისროლა პირველმა და ვინ დაიწყო „აგვისტოს ომი“. ხოლო ის კი, თუ რატომ არ სრულდება სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ყველა პუნქტი, რატომ მოახდინა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია ან რა უნდა ათასობით რუს ჯარისკაცს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, „ბებერი ევროპის“ ქვეყნების ლიდერებს ალარ აინტერესებთ. ცივი ზამთრის მოლოდინმა თუ მოსკოვში მათზე არსებული კომპრომატების გამოქვეყნების შიშმა, ევროპის ბევრი ქვეყნის ლიდერის ლუსტრაცია მოახდინა. თეთრის და შავის დადგენას ორთაჭალის აბანო უკვე ალარ სჭირდება.

რუსეთის ხელისუფლებას დეზინფორმაციის მნიშვნელობა არ ესწავლება. მით უფრო ვლადიმირ პუტინს, რომელიც საბჭოთა კა-გე-ბეს პირმშოა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეტყობა, ძალზე გაუჭირდათ უკრაინაში აგრესიის შენილბვა, ამისთვის ახალი აგრესიის „გასაპრავებლად“ ძველი ანეკდოტივით მოძველებულ მეთოდებს იყენებენ.

მაშინ ინდოეთის (თურქეთის, სირიის, ალჟირის და ა.შ. – აქ ქვეყანას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს) პატარა გაზეთში (რომელსაც საბჭოთა დაზვერვა აფინანსებდა) დაიბეჭდებოდა ანტიამერიკული სტატია, რო-

მელსაც უმალ გადაბეჭდავდნენ საბჭოთა ცენტრალური გაზეთები „პრავდა“ და „იზვესტია“, შემდეგ კი უკვე საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიის კომუნისტური გაზეთები აიტაცებდნენ კა-გე-ბეს კაბინეტებში შექმნილ სიცრუეს და „უმაღლესი დონის სენსაციაც“ სახეზე იყო. დღესაც ასევე მოქმედებენ რუსეთის სპეცსამსახურები და უკრაინაში აგრესიის „გასაპრავებლად“ ძველ, ნაცად „გავლენის აგენტებს“ იყენებენ.

მათ რიგებშია „ნაფტალინიდან“ ამოღებული, კა-გე-ბეს მიერ დაფენილ ათას ნაბადზე გადამხტარი, უკვე ხანში შესული უცხოელი მწერალი, ჟურნალისტი თუ პოლიტიკოსი ჯულიეტო კიეზა. ეს კაცი გასაოცარი ანტიქართული აქტივობით გამოირჩევა.

რუსეთის ხელისუფლების დავალებით 2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული უსახლკაროსავით დადიოდა ქვეყნიდან-ქვეყანაში, ინტერვიუს გულუხვად არიგებდა და ცდილობდა, რომ მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა, თუ რა მოძალადეები და ბარბაროსები არიან ქართველები და როგორ მუხანათურად გაწყვიტეს საცოდავი აფხაზები და ოსები.

ნაკომუნისტარ-ევროპარლამენტარი კიეზას სტატიები და ინტერვიუები „შემთხვევით“ ზუსტად იმეორებს იმ ბრალდებებს, რასაც საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ხელისუფლება უკვე 8 აგვისტოდან „ამღერებდა“. დღეს იმავეს იმეორებს ბატონი კიეზა, ოღონდ ამჟამად მისი მთავარი სამიზნე უკრაინა და უკრაინელი ხალხია. მკითხველისთვის საინტერესო იქნება, რომ უფრო ახლოს გავიცნოთ ეს პიროვნება.

მცირე დოსიე: ჯულიეტო კიეზა დაიბადა 1940 წლის 4 სექტემბერს იტალიის პატარა პროვინციულ ქალაქში. ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა მარქსისტულმა იდეოლოგიამ, სტუდენტთა ბევრ საპროტესტო დემონსტრაციას გაუწია ორგანიზება და სავარაუდოდ მაშინ მოხვდა „კომპეტენტური საბჭოთა ორგანოების“ თვალთახედვის არეში. 60-იან წლებში იტალიის ახალგაზრდა კომუნისტთა ფედერაციის ხელმძღვანელი იყო, ხოლო 1970-1979 წლებში უკვე „დიდ“ კომუნისტებს ხელმძღვანელობდა გენუაში.

1980-1990 წლებში იტალიის კომუნისტთა მთავარ გაზეთ „იუნიტას“ კორესპონდენტია საბჭოთა კავშირში, 1990-2000 წლებში კი ასევე იტალიური გაზეთის „ლა სტამპას“ მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელია. საერთო ჯამში მან ოცი წელი გაატარა მოსკოვში. ჩანს, ძალზე შედეგიანად. 2004 წელს გახდა ევროპარლამენტის წევრი იტალიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან, 2006 წელს კი ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გადაბარგდა.

საბჭოთა და რუსეთის ხელისუფლებით აღტაცებას ჯულიეტა ვერასდროს მალავდა და ამ „სასიყვარულო“ თემაზე ათამდე წიგნი და ასეულობით სტატია გამოაქვეყნა. განსაკუთრებით აღფრთოვანებულია პუტინის ხელისუფლებით და ამას არც მალავს – მას პუტინი რუსეთის გადამრჩენად და აშშ-ის დამსამარებლად ესახება. ჯულიეტო პუტინის აზრებს ახმოვანებს, ისევე, როგორც ადრე ბრეჟნევის, ანდროპოვის და გორბაჩოვის „წითელი ბულბული“ იყო. მას პათოლოგიურად სძულს აშშ და მისი ყველა სტრატეგიული მოკავშირე. იქამდეც კი მივიდა, რომ განაცხადა, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი... თავად ამერიკელებმა მოაწყვესო.

## „წითელი ბულბული“ კვლავ რუსეთს უმღერის

უკანასკნელი ათი წელია, რაც ჯულიეტო ძალზე გააქტიურდა. მისი „სენსაციური“ სტატიების მთავარი სამიზნე აშშ, ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთი იყო. „აგვისტოს ომი“ ჯერ კიდევ არ იყო შეწყვეტილი, რომ კიეზამ უკვე „ყველაფერი იცოდა“. მთელ ევროპაში რუსეთის ხელისუფლების გარდა ჯულიეტო ერთადერთი უცხოელი ჟურნალისტო იყო, ვინც უკვე 11 აგვისტოს აგრესორად საქართველოს ასახელებდა. ფაქტობრივად, ის პირველი უცხოელი იყო, ვინც დაიწყო რუსეთის „პროპაგანდისტული მანქანის“ მიერ შემუშავებული დეზინფორმაციის გავრცელება.

მაშინ სამოცდაათ წელს მიტანებული ევროპარლამენტარი ერთი დღე ლატვიაში რომ იყო, მეორე დღეს მოსკოვში აძლევდა ინტერვიუებს, მესამე დღეს კი უკ-



*2008 წლის აგვისტოს ომს იტალიელი ჟურნალისტი თუ მწერალი ჯულიეტო კიეზა მოსკოვის პოზიციებიდან აფასებს*

ვე ცხინვალში იყო და კოკოითს ეხუტებოდა. შემდეგ მორიგ პროვოკაციულ „ფოტოგამოფენას" ხსნიდა რომში, აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის ტრაგიკულ დღეებთან დაკავშირებით.

ჯანმრთელობის გარდა ამ ვოიაჟებს გვარიანი ფულიც რომ სჭირდება, ესეც ხომ საკითხავია. ვითომ საკუთარ ევროპარლამენტარის ხელფასს იმეტებდა კომუნისტი კიეზა ამ „გულისამაჩუყებელი" ვიზიტების დასაფინანსებლად, თუ ძველებურად კვლავ მოსკოვის კმაყოფაზე იყო?

2008 წლის 25 ნოემბერს ჯულიეტო ლატვიის დედაქალაქ რიგაში იქაური რუსი ეროვნების პოლიტიკოსებს შეხვდა. ამერიკა და NATO რომ მოთხარა, მერე საქართველოს მიუბრუნდა და განაცხადა: „რაზე უნდა დაელაპარაკოს საქართველოს ხელისუფლება ოსებს, ისინი ხომ 15 წლის მანძილზე ხოცავდნენ და ანადგურებდნენ ოსებსო". კიეზა საბოლოოდ გაიშიფრა, როდესაც განაცხადა: „მე საქართველოში არაერთხელ ვარ ნამყოფი. ადრე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან ჩავწერე ინტერვიუ. მაშინ დავრწმუნდი, რომ ეს ადამიანი გიჟი იყო. მან პირდაპირ მითხრა – ოსები აქ იცხოვრებენ თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც ეს საქართველოს მიწებიაო".

საინტერესოა, რა დაინახა ჯულიეტომ ამ სიტყვებში არასწორი? თუმცა, ეს კითხვაც მხოლოდ რიტორიკა და ფუჭი წყლის ნაყვაა, რადგანაც კიეზა მაშინაც დეზინფორმაციული დავალების შესასრულებლად იყო მოსკოვიდან გამოგზავნილი და ამჟამადაც იმავე პატრონების ნებას ასრულებს.

რუსეთის „ტრუბადურის" ჯულიეტო კიეზას „საქმენი საგმირონის" ახსნაც კა-გე-ბეს არქივებშია მოსაძებნი. შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, რა გახდა ასეთი, ერთი სამოცდაათ წელს გადაცილებული მოხუცი, რომ ამხელა დროსა და ყურადღებას უთმობთო, მაგრამ არც ასეა საქმე.

გვინდა თუ არა, ჯულიეტო და „ძმანი მისნი" რუსეთის საინფორმაციო ომის „ჯარისკაცები" არიან და ტრიბუნას თუ გაზეთის ფურცლებს არ უშვებენ ხელიდან, რომ „კრემლის" დეზინფორმაცია არ გაავრცელონ. ბოლო დრომდე კიეზას ევროპარლამენტში რამდენიმე საკმაოდ დიდი პოსტი ეკავა (ის იყო საერთაშორისო ვაჭრობის კომისიის ვიცე-პრეზიდენტი, თავდაცვისა და უსაფრთხოების კომისიის წევრი, ევროკავშირ-რუსეთის საპარლამენტო კომისიის წევრი და ა.შ.). ამიტომაც კიეზას ჰქონდა და აქვს საშუალება, რუსეთის საამებელი დეზინფორმაცია მსოფლიოს მოსდოს.

## როგორ იბირებდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები იტალიელ ჟურნალისტებს

იტალიელ (ისევე, როგორც ამერიკელ, ფრანგ, გერმანელ და ა.შ.) ჟურნალისტებზე რუსეთის სპეცსამსახურების „ნადირობას" ჯერ კიდევ საბჭოთა კა-გე-ბემ ჩაუყარა საფუძველი. ჩვენი საუბარი უსაფუძვლოდ რომ არ ჩაგვითვალოს მავანმა, უშუალოდ პირველ წყაროს მოვუსმინოთ. იტალიელი ჟურნალისტი, ჯანკარლო ლენერი 1990-იანი წლების დასაწყისში გაზეთ „ავანტის" კორესპონდენტი იყო მოსკოვში. 2004 წლის 10 ოქტომბერს გაზეთ „ლიბეროში" მან ძალზე საინტერესო სტატია გამოაქვეყნა სათაურით: „როგორ ცდილობდა კა-გე-ბე ჩემს გადაბირებას".

იტალიელი ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში იტალიელი, პირველ რიგში კი კომუნისტური გაზეთ „იუნიტას" ჟურნალისტები, საბჭოთა სპეცსამსახურების „ყველაზე გემრიელი ლუკმა" იყვნენ. დამატებითი ფულადი ანაზღაურება, უფასო დასვენება და მოგზაურობა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, რუსული ენის გრძელფეხება, ქერათმიანი მომხიბლავი მასწავლებლები და ა.შ. – ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ „მატერიალური წახალისებისა", რასაც კრემლის „ერთგული" იტალიელი ჟურნალისტები იღებდნენ.

ლენერის მტკიცებით, უმკაცრესი საბჭოთა სასაზღვრო რეჟიმის მიუხედავად, „დამჯერ" იტალიელ ჟურნალისტებს სამშობლოში დაბრუნებისას უპრობლემოდ გაჰქონდათ უძველესი ხატები, ოქროს ნაკეთობები, სურათები და სხვა ძვირფასი ანტიკვარული ნივთები – მათთვის საბაჟო შემოწმება, როგორც წესი, მხოლოდ ფორმალური პროცედურა იყო.

რა მოეთხოვებოდათ სანაცვლოდ ამ, ერთ-ერთი უძველესი პროფესიის წარმომადგენლებს? დიდი არაფერი – საბჭოთა კავშირის შესახებ უნდა ეწერათ მხოლოდ დადებითი სტატიები, მკაცრად გაეკრიტიკებინათ აშშ და მისი მოკავშირე ქვეყნები და საერთოდ, საბჭოთა რეალობა უნდა შეეფასებინათ მხოლოდ გაზეთ „პრავდაში" დაბეჭდილი სტატიების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული უსიამოვნება (კა-გე-ბეს მიერ მოწყობილი ქუჩაში „ხულიგნების" დახვედრა და კაი მაგარი ცემა, ავტომობილის საბურავების სისტემატური დაჭრა, საცხოვრებელ ბინაში ფარული შეღწევა და გაძარცვა და ა.შ.) არ ასცდებოდა.

## ჟურნალისტი, რომელმაც საკუთარი ქვეყნის ისტორია არ იცის

2008 წლის 27 ნოემბერს ესტონეთში ვიზიტისას კიეზამ ახალი „შედევრი", სახელად „ზერო" (ამ წიგნში, როგორც უკვე ვთქვით 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების ორგანიზებას ის აშშ-ის ადმინისტრაციას აბრალებს), წარუდგინა ესტონეთის მოსახლეობის რუსულენოვან ნაწილს. ისინიც აღფრთოვანებული შეხვდნენ ევროდეპუტატის მორიგ ოპუსს ამერიკის წინააღმდეგ. სხვადასხვა გამოსვლასა და პრესკონფერენციაზე ჯულიეტომ კბილი ესტონეთსაც გაჰკრა და აღშფოთება გამოთქვა ესტონეთში „ფაშისტური იდეების" აღორძინების გამო.

საინტერესოა, თუ ასე შესტკივა გული ესტონეთის დღევანდელობაზე „დემოკრატ" ჯულიეტოს, ის მაინც თუ იცის, ვინ ათავისუფლებდა მის სამშობლოს ფაშისტებისაგან?

პათოლოგიური სიძულვილი საქართველოსა და ქართველებისადმი მას უკვე ათეული წლები ახრჩობს, მაგრამ იმ ისტორიული ფაქტით თუ მაინც დაინტერესებულა, რა წვლილი შეიტანეს ქართველმა პარტიზანებმა მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიის ტერიტორიაზე ფაშისტებთან პარტიზანულ ბრძოლებში? იცის კი ჯულიეტო კიეზამ, თუ რამდენმა ქართველმა შესწირა სიცოცხლე მისი ქვეყნის – იტალიის გათავისუფლებას? იცის კი კიეზამ, რომ რუსეთის აგრესიაზე თვალის დახუჭვით და საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიის ოკუპირების ფარული წაქეზებით იმ ქართველი პარტიზანების ნათელ სულს შეურაცხყოფს, რომლებმაც თავი გაწირეს მისი სამშობლოს, იტალიის თავისუფლებისთვის?



*იტალიის პარტიზანულ მოძრაობაში ქართველმა მებრძოლებმა არცთუ ცოტა სისხლი დაღვარეს*

## „ბელა ჩაო“ – იტალიელი და ქართველი პარტიზანების სიმღერა

ჯულიეტო კიეზა დედის კალთას შეყუჟული სამი-ოთხი წლის ბავშვი იყო, როცა იტალიაში განლაგებული გერმანიის ჯარებთან პარტიზანულ ბრძოლებში 400-მდე ქართველი მეომარი მონაწილეობდა. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გიორგი ვარაზაშვილის, ვლადიმერ გაბისონიას და ფორე მოსულიშვილის რაზმები. სხვებთან ერთად სწორედ ქართველების დამსახურებაცაა, რომ იტალიაში ფაშიზმი დამარცხდა, ერთ-ერთი, ფორე მოსულიშვილი კი იტალიის ეროვნულ გმირადაცაა აღიარებული.

1970 წელს მაშინდელმა იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯუზეპე სარაგატიმ ფორე მოსულიშვილს სიკვდილის შემდგომ იტალიის უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ მიანიჭა, რაც იტალიის ეროვნული გმირის წოდების ტოლფასია. ეს პატივი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ ორს – რუს ფიოდორ პოლეტაევს და ქართველ ფორე მოსულიშვილს ხვდათ წილად. ვხედავთ, რომ აუცილებელია ჯულიეტო კიეზას და მის „პატრონებს“ მოსკოვსა და რომში, გავახსენოთ უშიშარი ქიზიყელი ვაჟკაცის, ფორე მოსულიშვილის თავგანწირვის ისტორია.

ფორე მოსულიშვილი 1916 წელს დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. წითელ არმიაში 1939 წელს გაიწვიეს, სადაც მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა. 1941 წელს, ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, დაჭრილი ფორე გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს და ჯერ პოლონეთის, შემდეგ კი საფრანგეთის ტყვეთა ბანაკებში ჰყავდათ. 1944 წელს ფორემ და სხვა ქართველმა ტყვეებმა გაქცევა მოახერხეს და ჩრდილოეთ იტალიაში მოქმედ ერთ-ერთ ინტერნაციონალურ პარტიზანულ რაზმს შეუერთდნენ. რამდენიმე თვის მანძილზე ფორეს რაზმი იტალიის სხვადასხვა ქალაქში ანიოკებდა გერმანელ ფაშისტებს. შემდგომ თავად მისი იტალიელი თანამებრძოლები იხსენებდნენ, რომ ფორეს ვაჟკაცობით განსაკუთრებით გამოუჩენია თავი.

## „გაუმარჯოს იტალიას! გაუმარჯოს თავისუფლებას“!

1944 წლის დეკემბრის დასაწყისში ოცამდე პარტიზანი, საიდანაც შვიდი ქართველი მებრძოლი ყოფილა, გერმანელებს რომელიღაც შენობაში ალყაში მოუქცევიათ. გააფრთებულ ბრძოლებში ბევრი მათგანი, მათ შორის ფორეც, დაჭრილა. გერმანელებმა ამგვარი მოთხოვნა წაუყენეს პარტიზანებს – თუ რაზმის იტალიელი მეთაური ედო დელგატო ტყვედ ჩაგვბარდება, სხვებს სიცოცხლეს შევუნარჩუნებთო. ყველამ იცოდა, რომ მეთაურს სიკვდილი არ ასცდებოდა და არავინ იძვროდა. მხოლოდ ფორე წამოჭრილა და გერმანელებთან გავარდნილა. მისი სიტყვები და ქცევა ვაჟკაცობის ნამდვილი მაგალითია: „მეთაური მე ვარ, თქვენთან ტყვეობას სიკვდილი მირჩევნია. გაუმარჯოს იტალიას! გაუმარჯოს თავისუფლებას“! ეს იყო ფორეს უკანასკნელი სიტყვები, რის შემდეგაც მან ტყვია დაიხალა. მისმა გმირობამ იმდენად გააოგნა გერმანელები, რომ ტყვეებს, მათ შორის რაზმის მეთაურ ედო დელგატოსაც, სიცოცხლე შეუნარჩუნეს. იტალიის ფაშისტებისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლებში მონაწილე ქართველ პარტიზანთა უმრავლესობა გმირულად დაიღუპა...

აი სწორედ ესაა რეალობა და არა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ წლობით ნაზარდი გავლენის აგენტების მიერ „ნიანგის ცრემლების“ ღვრა ქართველების მიერ სხვა ერების „განადგურებაზე“ და „უკრაინელ ფაშისტებზე“. რუსეთის ხელისუფლების დაკვეთით დეზინფორმაციისა და გესლის გავრცელებას, იქნებ სჯობს ჯულიეტო კიეზამ, დარჩენილი ძალა და ენერგია ორი ქვეყნის, საქართველოს და იტალიის, მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის ობიექტურ გაშუქებას მოახმაროს?

**ბესიკ ალადაშვილი**

# არსენალი




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# რას აკვირდებოდა ირანის შაჰი საქართველოს საზღვარზე...

1972 წლის ივლისში საბჭოთა კავშირში ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი ჩამოვიდა. მეზობელი ქვეყნის უმაღლესი პირი მოსკოვიდან ბაქოს მცირე ხნით ეწვია. მაშინ ამ ვიზიტის მიზეზი შაჰის მესამე ცოლის აზერბაიჯანულ წარმომავლობაზე იყო გამახვილებული, სინამდვილეში კი სულ სხვა მიზეზი იყო და ეს ძალიან ცოტამ თუ იცოდა.

თეირანი საბჭოთა ჯავშანტექნიკის ყიდვას აპირებდა და უცხოელი სტუმრებისთვის სპეციალურად ყარაიაზის პოლიგონზე (საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი) ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სწავლება დაიგეგმა, სადაც საბრძოლო მოქმედებებთან მიახლოებულ პირობებში შაჰი საკუთარი თვალით ნახავდა შესაძენი ტექნიკის შესაძლებლობებს.

ირანისათვის შეთავაზებელ ჯავშანტექნიკის ნიმუშებს შორის იყო ბორბლებიანი ჯავშანტრანსპორტიორი **БТР-60ПБ**, რომელიც 164-ე მოტომსროლელი დივიზიის 227-ე პოლკს ახალი მიღებული ჰქონდა.

ეფექტისთვის ყარაიაზის ველზე ჯავშანტრანსპორტიორები წინ და უკან დიდი სიჩქარით დარბოდნენ, ისროდნენ და მანევრულობის დემონსტრირებას ახდენდნენ. მთავარი იყო, არ გაჩერებულიყვნენ — ასეთი იყო სარდლობის მითითება და პოლკის ჯარისკაცები მას ზუსტად ასრულებდნენ.

აქეთ-იქით შეუსვენებლად მორბენალმა და დამტვერილმა საბრძოლო მანქანებმა უცხოელ სტუმრებზე სათანადო ეფექტი მართლაც მოახდინეს. ამის შედეგი იყო ხელმოწერილი კონტრაქტი და ირანის არმია რამდენიმე ასეული საბჭოური ჯავშანტრანსპორტიორით შეივსო. მიმდინარე წლის 18 აპრილს ირანის შეიარაღებული ძალების დღესთან დაკავშირებით თეირანში დიდი სამხედრო აღლუმი ჩატარდა, სადაც წარმოდგენილი შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის სხვადასხვა ნიმუშს შორის შაჰის ნაყიდი **БТР-60ПБ**-ებიც იყო.

1956 წლის უნგრეთის მოვლენების დროს ბუდაპეშტში შეჭრილ საბჭოთა არმიის ჯავშანტრანსპორტიორებს **БТР-40**-ებსა და **БТР-152**-ებს უნგრელები შენობებიდან ხელყუმბარებსა და „მოლოტოვის" კოქტეილიან ბოთლებს ესროდნენ. თავლია მანქანები ზიანდებოდა და რაც ყველაზე უარესი იყო, ეკიპაჟი დესანტიანად მწყობრიდან გამოდიოდა.

ომის შემდეგი პერიოდის პირველი თაობის **БТР-40**-ებსა (4X4) და **БТР-152**-ებს გამავლობა არ უვარგოდათ, განსაკუთრებით მთებში, სადაც კარბურატორიან ძრავებს მუშაობა უჭირდათ.

ჩატარდა საძიებო-საკვლევი სამუშაოები და 1954-57 წლებში მომზადდა პერსპექტიული, რვაწამყვანბორბლიანი, მცურავი ჯავშანტრანსპორტიორის ესკიზური პროექტი.

1958 წლიდან სამუშაოში ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროც ჩაერთო და გამოსაცდელად აიგო დახურული, ტყვიამედეგი მზიდი ჯავშანკორპუსის მქონე ჯერ ობიექტი 1015, ხოლო შემდეგ კი გაუმჯობესებული ობიექტი **1015Б**.

ქუთაისელთა ნამუშევრის მნიშვნელოვან ტექნიკურ სიახლეს აირჰიდრავლიკური რესორები წარმოადგენდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც მუშა სხეულებად აზოტი და მანქანის ზეთი გამოიყენეს. პრინციპულად ახალი რესორის მაღალი ენერგოტევადობა განაპირობებდა საცდელი ობიექტის სვლის მაღალ სიმდოვრესა და კლირენსის რეგულირებას.

იმავე პერიოდში პერსპექტიული ჯავშანტრანსპორტიორის პროექტზე ქუთაისელებთან ერთად მუშაობდნენ ალთაის სატრაქტორო ქარხნის (ბორბლებიან-მუხლუხა ქვეითთა საბრძოლო მანქანა — ობიექტი 19), მიტიშჩის მანქანათმშენებელი ქარხნისა (ობიექტი 560/560У) და გორკის საავტომობილო ქარხნის (ოთხხიდიანი ჯავშანტრანსპორტიორი ГАЗ-49) საკონსტრუქტორო ბიუროები.

არჩევანი გორკის საავტომობილო ქარხნის პროექტის სასარგებლოდ გაკეთდა, რაც ბევრად განაპირობა ქარხნის მაღალტექნოლოგიურობამ და გამართულმა წარმოებამ.

1959 წელს მცურავი, თავლია, ახალი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-60П (8X8) საბჭოთა არმიის შეიარაღებაში შევიდა.

პირველად БТР-60П-ში გამოყენებულ იქნა პარალელურად დაყენებული 90-ცხ.ძალიანი კარბურატორიანი ორი ძრავა სინქრონიზაციის სპეციალური მოწყობილობით, საიდანაც მბრუნავი მომენტები ცალ-ცალკე I-III და II-IV ხიდებზე ნაწილდებოდა.

ორი ძრავა კარგი იყო იმით, რომ ერთის მწყობრიდან გამოსვლისას საბრძოლო მანქანა მეორით გარკვეულ მანძილზე გადაადგილებას ახერხებდა.

ქვეითთა საცეცხლე მხარდაჭერისთვის კორპუსზე შუბლის მხარესა და ბორტებზე სპეციალური კრონშტეინები ჰქონდა 7,62 მმ-იანი СГМБ ტიპის ტყვიამფრქვევის დასაყენებლად.

БТР-60П-ს ნაკლიც ჰქონდა. ეს შეეხებოდა თავლია ჯავშანტრანსპორტიორის დაჯავშნას, შეიარაღებას, ქვეითთა საკმაოდ მოუხერხებელ ჩასხდომა-გადმოსხდომას და სხვ.

უნგრეთში მიღებულმა გაკვეთილმა და ბირთვული იარაღის გამოყენების პირობებში არმიის მზადებამ წინ წამოსწია მთლიანად დახურული ჯავშანკორპუსის მქონე БТР-60ПА-ის წარმოებაზე გადასვლა.

1966 წლიდან გორკის ქარხანა მოდერნიზებული ჯავშანტრანსპორტიორის. БТР-60ПБ-ის გამოშვებაზე გადავიდა. წინა მოდელებისგან განსხვავებით მას კოშკურა დაემატა შეწყვილებული 14,5 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევებით.

1969 წელს კუნძულ დამანსკთან ჩინელებთან კონფლიქტის დროს საბრძოლო მოქმედებებში ჯავშანტრანსპორტიორებმა რეალურად პირველი შემოწმება გაიარეს. მაშინ საბჭოთა სასაზღვრო ჯარების მოტოსამანევრო ჯგუფების შეიარაღებაში БТР-60ПА/-60ПБ-ები ახალი მიღებული იყო და მესაზღვრეები ჯავშანტრანსპორტიორებს სახელმწიფო საზღვრის დაცვის გასაძლიერებლად, შეიარაღებულ პროვოკაციათა აღსაკვეთად, აგრეთვე სხვა ამოცანების შესასრულებლად იყენებდნენ.

დამანსკისათვის ბრძოლებში მოტოსამანევრო ჯგუფი 60 ჯარისკაცითა და 4 ჯავშანტრანსპორტიორით ჩაება. ზოგიერთმა ოფიცერმა ტყვიამედეგი დაჯავშნა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და მოწინააღმდეგეს შუბლით შეუტია. ჩინელებმა კი ხელის ყუმბარსატყორცნების მასირებული ცეცხლი შეაგებეს და თითოეულ ჯავშანტრანსპორტიორს ერთდროულად ათამდე ყუმბარმტყორცნელი ესროდა. ქვეითთა დაცვის გარეშე ჯავშანტრანსპორტიორი მწყობრიდან ადვილი გამოსაყვანი გამოდგა, რაც იმავდროულად ეკიპაჟსა და დესანტში დანაკარგს იწვევდა.

ბევრად გაამართლა და დანაკარგიც ნაკლები იყო, როცა ჯავშანტრანსპორტიორი ჩამოქვეითებულ დესანტთან ერთად მოქმედებდა.

ავღანეთში აგრესიული ომის დროს საბჭოთა არმიამ БТР-60ПБ-ები დიდი რაოდენობით შეიყვანა. ბრძოლებსა და ექსპლუატაციაში გამოჩნდა ჯავშანტრანსპორტიორის ძრავებთან, შეიარაღებასთან თუ დაჯავშნასთან დაკავშირებული პრობლემები.

მაღალმთიან გარემოში კარბურატორიან ძრავებს მუშაობა გაუჭირდა, სიმძლავრეს კარგავდა და ცხელდებოდა, ხოლო ზამთარში ყინვიან ამინდში ძრავაში წყლის დარჩენა ძრავის პერანგს ხეთქდა.

შეიარაღების მხრივაც იყო პრეტენზიები — ტყვიამფრქვევის ლულის აწევის მაქსიმალური კუთხე 30 გრადუსს არ აღემატებოდა და მთებში საცეცხლე წერტილებთან ბრძოლისთვის საკმარისი არ იყო. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ჯავშანმხვრეტი ტყვია შუბლის ჯავშანს გარკვეულ კუთხეებზე ხვრეტდა, ხოლო РПГ-7-ის გასროლა კი კორპუსში გამჭოლად გადიოდა.



*1972 წელს ყარაიზის პოლიგონზე მოწონებული ჯავშანტრანსპორტიორები ირანს ახლაც ემსახურება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაღმზე აფეთქების შემთხვევაში მუხტის სიმძლავრიდან გამომდინარე, აფეთქების ძალას შეიძლება ბორბალი ხიდიანად მოეგლეჯა, გამოეწვია ჯავშანკორპუსის ფსკერის დეფორმაცია და ა.შ. ასეთ შემთხვევებში, ჯავშანტრანსპორტიორში მსხდომნი უკეთეს შემთხვევაში კონტუზიას იღებდნენ.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ავღანეთში გასაგზავნ ჯავშანტრანსპორტიორებს სარემონტო ქარხნები დამატებით დასაკიდ ჯავშანს უკეთებდნენ, მაგრამ ეს მაინც არ შველოდა. ყველაფერ ამას ემატებოდა ჩასხდომა-გადმოსხდომისთვის მოუხერხებელი ლიუკები და ამიტომაც ქვეითები კორპუსზე გარედან ჩამოჯდომას ამჯობინებდნენ, რადგან თავს ასე უფრო დაცულად გრძნობდნენ.

ავღანელმა მოჯაჰედებმა **БТР-60ПБ**-ებთან ბრძოლას ალღო სწრაფად აუღეს და თავისებური ტაქტიკაც შეიმუშავეს. ტყვიამფრქვევებით ჯერ საბურავებს ცხრილავდნენ, ხოლო გაჩერებულ საბრძოლო მანქანას ტყვიამფრქვევებისა და ყუმბარსატყორცნების ცეცხლით ულებდნენ ბოლოს.

საბჭოთა კავშირის დაშლისას **БТР-60ПБ** მორალურად და ტექნიკურად მოძველებულ ტექნიკას წარმოადგენდა და არმიაში მცირე რაოდენობით იყო შემორჩენილი. სამაგიეროდ, არმიული ჯავშანტრანსპორტიორების ერთი ნაწილი სამსახურს საბჭოთა შინაგანი ჯარის შემადგენლობაში აგრძელებდა.

1991 წლის ბოლოს დაიშალა აფხაზეთში მყოფი საბჭოთა შინაგანი ჯარის ქვედანაყოფები, ხოლო შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა — მათ შორის ოთხიხუთი **БТР-60ПБ** ახალშექმნილ ე.წ. აფხაზური შინაგანი ჯარის პოლკს დარჩა.

სეპარატისტებმა ჯავშანტრანსპორტიორები პოლკის ბატალიონებზე აჩადარასა და აგუძერაში, აგრეთვე ბაბუშერის აეროდრომსა და ოხურეის ხიდთან განთავსებულ პოსტებზე გადაანაწილეს.

აფხაზეთის ომის დროს 1992 წლის 25 აგვისტოს გაგრაზე შეტევისას აფხაზებმა ერთ-ერთი **БТР-60ПБ** გამოიყენეს და მისი საცეცხლე მხარდაჭერით სოფელ კოლხიდას სასოფლო მაღაზიამდე მიღწევა მოახერხეს, მაგრამ შემდეგ ისევ უკან დაიხიეს.



*სირიაში ქურთი მებრძოლების გადაკეთებული БТР-60ПБ*

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან აფრიკაში არც ერთ კონფლიქტსა თუ ომს არ ჩაუვლია საბჭოთა იარაღის გარეშე და **БТР-60ПБ**-ს გამოყენების მხრივაც შავ კონტინენტზე მრავალი მაგალითი მოიძებნება. უფრო მეტიც, ზოგან საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორის საბრძოლო შესაძლებლობათა გაუმჯობესებასაც კი შეეცადნენ და არცთუ ურიგოდ.

ჯიბუტის რესპუბლიკის არმიის ლეიტენანტ აჰმედ ალი რაბლეხს არმიის გაძლიერების სურვილი გაუჩნდა და მეგობრების დახმარებით ქვეყნის ჯავშანტექნიკის მთავარ ბაზაში საბრძოლო მანქანას საკმაოდ ორიგინალური მოდერნიზაცია ჩაუტარა. ძველ საბრძოლო **БТР-60ПБ**-ს მოხსნა კოშკურა და ფრანგულ ჯავშანავტომობილ **Panhard AML 90**-ის კოშკურა თავისივე 90 მმ-იანი ქვემეხით დაუყენა. მანქანის გასამართად რაბლეხს მსუბუქი ტანკის **AMX-13**-ის ჰიდრავლიკა და სერვოამძრავები დასჭირდა და მიზანსაც მიაღწია. ფრანგულ-საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორმა ჯიბუტის რესპუბლიკის არმიას 90-იანი წლების პირველ ნახევარში დიდი სამსახური გაუწია.

საბჭოთა ბორბლებიანი ჯავშანტექნიკის ერთ-ერთ დიდ მომხმარებლად სირია ითვლება. ჯერ კიდევ 1970-73 წლებში სირიამ საბჭოთა კავშირისგან 350 ჯავშანტრანსპორტიორი **БТР-60П/60ПБ** მიიღო.

*ფრანგი მფრინავების მიერ მალიში განადგურებული ისლამისტების БТР-60ПБ*






საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორის რუმინული ვერსია TAB-71M

1973 წლის 6 ოქტომბერს სირიელთა ჯავშანსატანკო ბრიგადებმა კლასიკური სქემით წინ ტანკებითა და უკან ჯავშანტრანსპორტიორებით გოლანის სიმაღლეებზე ისრაელის არმიის პოზიციებს შეუტიეს. სამდღიან ბრძოლებში 200-ზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორი დაკარგეს, საიდანაც მეტი წილი БТР-60П/-60ПБ-ზე მოდიოდა.

სირიის არმიას სხვადასხვა მოდელის რამდენიმე ასეული БТР-60 დღესაც ჰყავს, მაგრამ სუსტი დაჯავშნის გამო სამთავრობო ჯარები აჯანყებულებთან ბრძოლებში ნაკლებად იყენებენ.

ვარშავის პაქტის ქვეყნებიდან საბჭოური БТР-60П-ს ლიცენზიურ ვერსიას რუმინეთი ამზადებდა. რუმინულ TAB-71-ს ანალოგისგან განსხვავებით ორი უფრო ძლიერი 145-ცხ.ძალიანი ძრავა ჰქონდა.

შემდგომში ის TAB-71M-ით შეიცვალა, რომელიც ორი 130-ცხ.ძალიანი დიზელის ძრავითა და 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი.

რუმინელებმა მრავალფეროვანი გამოყენება მოუძებნეს ჯავშანტრანსპორტიორს, რომლის საფუძველზეც ამზადებდნენ 81 მმ-იან თვითმავალ ნაღმსატყორცნს, სამეთაურო-საშტაბო და საინჟინრო მანქანებს.

**თემურ ჩაჩანიძე**



აფრიკის ქვეყნებში ძველი საბჭოური ჯავშანტრანსპორტიორები სამსახურს ისევ აგრძელებენ



ჯიბუტის არმიის ფრანგულ-საბჭოური ჯავშანტრანსპორტიორი

# ქართველიშვილის სამმახიანი გამანადგურებელი



ავიაციის ისტორიაში მრავლადაა შემთხვევები, როცა ესა თუ ის საფრენი აპარატი თავისი პარამეტრებით დროს უსწრებდა. მაგალითისთვის შეიძლება ბომბდამშენის XB-70 Valkyrie-ს (1966 წლის 19 მაისს მაქსიმალური სიჩქარე 3 309 კმ/სთ-ში განავითარა) ან ფრთახრახნიანი AH-56 Cheyenne-ის მოყვანა. ორივე მათგანში იმ დროის საუკეთესო ტექნიკური მიღწევები გამოიყენეს, მაგრამ გარკვეულწილად ამ საფრენი აპარატების უპერსპექტივობა სწორედ პროგრესულმა გადაწყვეტილებებმა განაპირობა.

1957 წლის ზაფხულში ქალაქ დეიტონში გამომავალი გაზეთ „დეილი ნიუსის“ ბოლო გვერდზე დაიბეჭდა პატარა სტატია სახელწოდებით „სამხედრო-საჰაერო ძალები 100 მლნ დოლარის საიდუმლო რეაქტიულ გამანადგურებელზე მუშაობას წყვეტენ“. უბრალო მკითხველისთვის არც სტატია და არც მისი სათაური არაფერზე მეტყველებდა, საკითხში გათვითცნობიერებული პირებისთვის კი გასაგები იყო, რომ იმ დროისათვის, ალბათ, ერთ-ერთმა ამბიციურმა საავიაციო პროექტმა არსებობა შეწყვიტა. ასე დაესვა წერტილი ზებგერით გზაგადამჭრელ XF-103-ს — ალექსანდრე ქართველიშვილის გასაიდუმლოებული თვითმფრინავის პროექტს.

1945 წლის შემოდგომაზე დიდძალი ნაალაფარი გერმანული მასალების გაანალიზების შემდეგ, ამერიკული საავიაციო მრეწველობა გერმანული ჩანაფიქრების რეალიზებას შეეცადა. ყველა ფირმა საკუთარი გზით წავიდა. თუმცა, ყველაზე ორიგინალური პროექტი Republic Aviation-მა და მისმა ხელმძღვანელმა — ამერიკაში მოღვაწე ქართველმა ემიგრანტმა ალექსანდრე ქართველიშვილმა წარმოადგინა. მისი გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი ჰორიზონტალურ რეჟიმში ყველაზე მაღალ ზებგერით სიჩქარეს ავითარებდა. პროექტმა მოწონება დაიმსახურა და ქართველიშვილს ორი XF-91 Thunderceprot-ი დაუკვეთეს.

თვითმფრინავი ნოვატორული კონსტრუქციით გამოირჩეოდა, რაც მას სხვა საფრენი აპარატებისგან მკვეთრად განასხვავებდა. განსაკუთრებულ ინტერესს ფრთა იწვევდა, რომლის ბოლო ნაწილის სისქეც ძირეულთან შედარებით უფრო მეტი იყო. ოპტიმალური ჩქაროსნული მახასიათებლების მისაღებად, რეაქტიულთან ერთად XF-91-ს თხევადსაწვავიანი რაკეტული ძრავაც ჰქონდა დამატებული.

ალექსანდრე ქართველიშვილის პირველი ისრისებრფრთიანი თვითმფრინავი „ტანდერცეპტორი“ საამქროდან 1949 წლის თებერვლის ბოლოს გამოიყვანეს და პირველი ფრენა იმავე წლის 9 მაისს შედგა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მხოლოდ ორი პროტოტიპის აგებით დასრულდა, მიღებული ცოდნა-გამოცდილება ქართველიშვილმა სხვა პროექტში გამოიყენა.

1950 წლის შემოდგომაზე, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა სისტემა MX-1554-ის მოთხოვნები ჩამოაყალიბეს. ნებისმიერ მეტეოპირობებში მოქმედი გზაგადამჭრელი შეიარაღებაში 1954 წელს უნდა მიეღოთ. ტექნიკური დავალების გამოქვეყნებიდან წლისთავზე პროექტები ექვსმა საავიაციო ფირმამ წარმოადგინა, ალექსანდრე ქართველიშვილმა და მისმა კომპანიამ ერთდროულად 3 ვარიანტი.



M=2 სიჩქარის მისაღწევად Republic Aviation-ის პროექტზე როგორც ფორსაჟულ-რეაქტიული, ასევე წინდენით აირრეაქტიული ძრავები გამოიყენეს. სამხედროების მოწონებაც სწორედ ამ პროექტმა დაიმსახურა და პერსპექტიულმა გზაგადამჭრელმა XF-103-მა სახელწოდება Thuderwarrior-ი მიიღო.

იმ დროისათვის თვითმფრინავის შესაძლებლობები მოლოდინს აჭარბებდა – 18300 მ-ის სიმაღლეზე „ტანდერვარიორი“ M=3-ის ტოლ სიჩქარეს მიაღწევდა, ხოლო ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 21 300 მ-ს შეადგენდა.

მაღალმა სიჩქარემ კონსტრუქტორებს არაერთი პრობლემა შეუქმნა. ყველაზე დიდ საფრთხეს „სითბური ბარიერი“ წარმოადგენდა. 3000-3200 კმ/სთ-ში სიჩქარისას ჰაერთან ხახუნისგან შემონაკერი ძლიერ ხურდება. ამიტომაც პლანერის კონსტრუქციაში ტრადიციული ალუმინის გამოყენებაზე უარი ითქვა და ქართველიშვილის ინიციატივით არჩევანი ტიტანზე შეჩერდა. საგულისხმოა, რომ საფრენ აპარატში ტიტანის გამოყენებაზე გადაწყვეტილება ქართველმა ავიაკონსტრუქტორმა 1952 წელს ცნობილი SR-71-ის აფრენამდე 12 წლით ადრე მიიღო.

მომავალი XF-103-ის შეიარაღება GAR-1 Falcon „ჰაერი-ჰაერი“ ტიპის ექვსი მართვადი რაკეტით განისაზღვრა. სამ-სამი რაკეტა ფიუზელაჟის თითო მხარეს, ინდივიდუალურ ნაკვეთურში იყო მოთავსებული. სტარტის წინ საგდულები იხსნებოდა და სპეციალურ მოწყობილობას რაკეტა გარეთ გამოჰყავდა. ქართველიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საბრძოლო თვითმფრინავზე მართვადი სარაკეტო შეიარაღების განთავსების მსგავსი სქემა გამოიყენა. ერთხანს თვითმფრინავის 70 მმ-იანი 36 უმართავი საავიაციო რაკეტით აღჭურვაც იგეგმებოდა, მაგრამ შემდგომ ამ იდეაზე უარი ითქვა.

1953 წელს სამხედრო წარმომადგენლებმა XF-103-ის კონსტრუქციაში ცვლილებათა შეტანა მოითხოვეს. გეომეტრიულ ზომებთან ერთად შეიცვალა სისტემების ნაწილიც. პარალელურად დამუშავდა ახალი ძრავის პროექტი, სადაც რეაქტიულ-ფორსაჟული და აირრეაქტიულ წინდენითი ფუნქციები იქნებოდა გაერთიანებული.



ცვლადი ციკლის საავიაციო ძრავა — ტურბორეაქტიული და წინდენით აირრეაქტიული ძრავების ჰიბრიდია.

რეაქტიულ ძრავაზე ფორსაჟული კამერის დამატებით წევა საგრძნობლად იზრდება. მაღალ ზებგერით სიჩქარეებზე, როცა მახის რიცხვი 3-ს აჭარბებს, ტურბორეაქტიული ძრავა ეფექტურობას კარგავს. ფაქტობრივად, მუშაობის ამ რეჟიმზე ძრავის კომპრესორი და ტურბინა ზედმეტი ელემენტებია.

მაღალ სიჩქარეებზე წინდენითი აირრეაქტიული ძრავა გაცილებით ეფექტურია. მისი მუშაობის პრინციპი ძრავაში მაღალი სიჩქარით შესული შეკუმშული ჰაერისა და შეფრქვეული საწვავის ნარევის აფეთქებაზეა დაფუძნებული. ასეთ ძრავას არც ტურბინა და არც კომპრესორი არა აქვს. წინდენით აირრეაქტიული ძრავის მუშაობისთვის მაღალი საწყისი სიჩქარეა საჭირო.

ძრავაში, რომლის გამოყენებასაც ქართველიშვილი XF-103-ზე აპირებდა, ორივე — ტურბორეაქტიულ-ფორსაჟული და წინდენით აირრეაქტიული მუშაობის პრინციპები იყო გაერთიანებული. M=2,5-2,8 სიჩქარისას ძრავის რეაქტიული სეგმენტი — ტურბინა-კომპრესორი ეფექტურობას კარგავდა და წევის შესანარჩუნებლად მუშაობას წინდენით აირრეაქტიული სეგმენტი იწყებდა.



ალექსანდრე ქართველიშვილმა ორიგინალური კონსტრუქციის მრავალი საფრენი აპარატი შექმნა

თვითმფრინავის სიჩქარეთა დიაპაზონიდან გამომდინარე დიდი ყურადღება დაეთმო მფრინავის გადარჩენას. ოპტიმალურ ვარიანტად კატაპულტირებადი კაფსულა ჩაითვალა, რომელიც ქვედა მხარეს ვარდებოდა. მოგვიანებით, თითქმის ანალოგიური ტექნიკური გადაწყვეტილება ტაქტიკურ F-111-სა და სტრატეგიულ B-1A-ზე იქნა გამოყენებული.

XF-103-ის ფიუზელაჟის ფორმებიდან გამომდინარე, აფრენა-დაფრენის რეჟიმებზე პილოტის ხედვის არის გასაზრდელად პერისკოპების გამოყენებას აპირებდნენ. ცხვირის გადახრად კონსტრუქციაზე ტექნიკურ სირთულეთა გამო უარი ითქვა, რადგან რადიოლოკაციური სადგურითა და სხვადასხვა ელექტრონიკით „დატვირთული“ ცხვირა ნაწილი კონსტრუქციისთვის მძიმე გამოდგა. თუმცა, 15 წლის შემდეგ ზებგერით სამგზავრო ლაინერებზე Concorde-სა და Ty-144-ზე ეს სქემა წარმატებით მუშაობდა.

1957 წლის დასაწყისში XF-103-ის ფორმა საბოლოოდ ჩამოყალიბდა. „რეფაბლიქ ავიეიშენს“ მასთან დაკავშირებით შორს მიმავალი, ოპტიმისტური გეგმა ჰქონდა.

1960 წლის დასაწყისში გზაგადამჭრელის პირველი პროტოტიპი ჰაერში უნდა აფრენილიყო, ხოლო რვა თვის თავზე კი საგამოცდო პროგრამას მეორე ეგზემპლარიც უნდა შეერთებოდა.

ქართველიშვილი იმედს ორრეჟიმული საავიაციო ძრავის გამოცდაზეც ამყარებდა. რეაქტიულიდან წინდენით აირრეაქტიულ რეჟიმზე გადასასვლელად, ცვალებადი ციკლის J67-ს მხოლოდ 7 წმ სჭირდებოდა. მომავალში სწორედ ანალოგიურ პრინციპზე მომუშავე ძრავას კლარენს ჯონსონი საკუთარ SR-71-ზე გამოიყენებს.

ალექსანდრე ქართველიშვილის ტიტანის გზაგადამჭრელის ბევრი სისტემა, ისევე როგორც თავად თვითმფრინავი, ნოვატორული იყო. მათი უმეტესი ნაწილი სწორედ XF-103-ისთვის შეიქმნა.

1957 წლის აგვისტოსთვის დასრულდა ფიუზელაჟის ცენტრალური და კუდის ნაწილების კონსტრუქცია. ფინალურ ეტაპზე იყო ფრთის ძალური კონსტრუქციის აწყობა. მომავალი წლის დამდეგს თვითმფრინავის საამქროდან გამოყვანა იგეგმებოდა. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა — 1957 წლის 21 აგვისტოს აშშ-ის მთავრობამ დაფინანსება შეწყვიტა და XF-103-ის პროექტიც დაიხურა.

გარკვეულწილად ამის მიზეზი თვითმფრინავში უხვად გამოყენებული მოწინავე ტექნოლოგიები იყო. ტექნიკურ სირთულეებთან ერთად ამავე გარემოებამ თვითმფრინავის მეტისმეტად დიდი ღირებულებაც განაპირობა. დახურვის მომენტისთვის პროექტზე 106 მლნ დოლარი დაიხარჯა. ამ თანხის სოლიდური ნაწილი ცვალებადი ციკლის ძრავის შექმნაზე მოდიოდა.

60-იანი წლებისთვის შექმნილ რეაქტიულ ძრავებს 2,2-2,5 მახის რიცხვზე ფუნქციონირება, წინდენით აირრეაქტიული რეჟიმის გარეშეც, მხოლოდ რეაქტიულ-ფორსაჟული პრინციპის გამოყენებით შეეძლოთ. ამ გარემოებამ დამზადების ღირებულებასთან ერთად საექსპლუატაციო ხარჯებიც შეამცირა.

პროექტის დახურვის კიდევ ერთი მიზეზი ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ორგანიზების კონცეფციის შეცვლა გახდა. 1955 წელს აშშ-ში ახალი Bomarc-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის გამოცდა დაიწყო. საბაზო კონფიგურაცია სამიზნეს 400 კმ-ის დისტანციაზე ანადგურებდა. ბირთვულ საბრძოლოქობინიანი ვარიანტში CIM-10B კი ეს პარამეტრი 780 კმ-მდე იყო გაზრდილი. სამოქმედო მანძილის მიხედვით ქართველიშვილის გზაგადამჭრელს საზენიტო კომპლექსებთან პაექრობა არ შეეძლო.

ერთხანს Republic Aviation-ი სამხედროებს თვითმფრინავის მზვერავ მოდიფიკაციას სთავაზობდა. თუმცა, პენტაგონში ჩათვალეს, რომ ამ საქმეს ბგერამდე სიჩქარის U-2 თავს უკეთესად გაართმევდა. 10 წლის შემდეგ ამერიკელები კვლავ ზებგერით მზვერავებს დაუბრუნდნენ და შეიარაღებაში ფირმა „ლოქჰიდის“ SR-71 მიიღეს.

ერთხანს XF-103-ის მაკეტი და პირველი პროტოტიპისთვის დამზადებული სექციები „რეფაბლიკის“ ანგარში ინახებოდა. შემდეგ ის „გრუმანის“ ქარხანაში გადაიტანეს და დაშალეს.

XF-103-ში გამოყენებული ინოვაციები სხვა ამერიკულ სამხედრო თვითმფრინავებში დაინერგა. ტიტანის დეტალების დამუშავების ტექნოლოგია ფირმა „ლოქჰიდმა“ SR-71-ისთვის გამოიყენა.

სპეციალურად ქართველიშვილის გზაგადამჭრელისთვის შექმნილი ტიტანის შენადნობისგან შემდგომში საგემბანო F-14-ის ფრთის ძალურ ელემენტებს ამზადებდნენ. კატაპულტირებადი კაფსულის პრინციპი კი ტაქტიკურ და სტრატეგიულ ბომბდამშენებზე იქნა რეალიზებული.

**ალექსანდრე აფაქიძე**




*X-103-ის მაკეტი და სექციები „რეფაბლიკის“ ანგარში ინახებოდა. შემდეგ ის „გრუმანის“ ქარხანაში გადაიტანეს და დაშალეს*

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ცუსიმის ბრძოლაში დაღუპული წერეთელი



**თბილისში ქვაშვეთის ტაძრის ქვედა სართულში წმ. მარინეს სახელობის ეკლესიის შესასვლელის ხელმარცხნივ ყურადღებას იპყრობს კედელში ჩადგმული თეთრი მარმარილოს დაფა დამშვენებული წმ. გიორგის პატარა ხატითა და „საზღვაო კორპუსის 200 წლის სამახსოვრო" ნიშნით. დაფაზე ამოტვიფრული სულ რამდენიმე სიტყვა გადმოსცემს დედის უაღრესად დიდ ტკივილს, რომელსაც შვილი, მიჩმანი თავადი გიორგი წერეთელი რუსეთ-იაპონიის ომის დროს ცუსიმის ბრძოლაში დაელუპა.**

**მარმარილოს დაფა მშობლების შეკვეთით არის დამზადებული და ეკლესიის კედელში, სავარაუდოდ, 1907-08 წლებში ჩადგეს.**

რუსეთის არმიის ოფიცერს, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომისა და ყარსის ციხის ალების მონაწილეს თავად როსტომ წერეთელს 1882 წლის 5 აგვისტოს მეუღლემ მაკრინე თარხან-მოურავმა პირველი ვაჟი, გიორგი აჩუქა.

ვაჟიანობა ქართული ოჯახისთვის ყოველთვის გამორჩეული სიხარულია და ამ მხრივ თავად როსტომ წერეთელს განსაკუთრებით გაუმართლა — ოჯახს 1883 წელს მეორე ვაჟი დავითი, 1891 წელს პეტრე და 1894 წელს იოსები შეემატა.

საიდან გაუჩნდა თავადის უფროს ვაჟს შუაგულ იმერეთში, ქუთაისში, ზღვის სიყვარული და რატომ მოინდომა მაინცდამაინც საზღვაო ოფიცრობა? — ახლა ამ კითხვებზე პასუხის გამცემი არავინაა.

გიორგი წერეთელმა სამხედრო-საზღვაო განათლებისთვის სანქტ-პეტერბურგს მიაშურა და საზღვაო კადეტთა კორპუსში ჩაირიცხა. კორპუსი გამორჩეულ სამხედრო სასწავლებელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, მას რუსეთის იმპერატორი მეურვეობდა. აქ სწავლის უფლებით უპირველესად საზღვაო ოფიცრებისა და თავადაზნაურთა შვილები სარგებლობდნენ.

ბოლო რეფორმის შემდეგ საზღვაო კორპუსში მისაღებ ყმაწვილთა ასაკი 15-18 წლით, სწავლის ხანგრძლივობა კი ექვსი წლით განისაზღვრა.

1901 წლის იანვარში საზღვაო კორპუსში შექმნის მე-200 წელი აღინიშნა და უფროსი სამი კლასის კადეტებს საიუბილეო ნიშნები გადაეცათ.

გიორგიმ, როგორც ჩანს, საქართველოში ჩამოსვლისას საიუბილეო ნიშნის ოჯახში დატოვება ამჯობინა და მისი დაღუპვის შემდეგ მშობლებმა მას ადგილი შვილის სამახსოვრო დაფაზე მიუჩინეს.

1903 წლის 6 მაისს გამოვიდა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის 474 ბრძანება და გარდემარინმა გიორგი წერეთელმა საზღვაო ოფიცრის პირველი წოდების, მიჩმანის სამხრეები მოირგო.

დაიწყო ოფიცრის მძიმე სამსახური საიმპერატორო ფლოტის სამხედრო ხომალდებზე. მშვიდობიანი ცხოვრება 1904 წლის 27 იანვარს იაპონიასთან დაწყებულმა ომმა დაარღვია.

პორტ-არტურში ჩარჩენილი 1-ლი წყნარი ოკეანის ესკადრის დასახმარებლად სანქტ-პეტერბურგში სასწრაფოდ დაიწყო მე-2 ესკადრის ფორმირება, რომლის მეთაურობა კონტრადმირალმა (სექტემბრიდან ვიცე-ადმირალი) ზინოვი როჟესტვენსკიმ ჩაიბარა.

ადმირალმა როჟესტვენსკიმ საფლაგმანო ხომალდად ყველაზე ახალი და ძლიერი ჯავშნოსანი „კნიაზ სუვოროვი" შეარჩია და ესკადრის შტაბიც იქვე განათავსა.

შტაბის უფროსი, I რანგის კაპიტანი კონსტანტინ კლაპიე დე კოლონგი იყო, რომლის განკარგულებაში 18 ოფიცერი, მათ შორის 3 უფროსი ფლაგ-ოფიცერი და 4 უმცროსი ფლაგ-ოფიცერი იმყოფებოდა.

*მე-2 წყნარი ოკეანის ესკადრის საფლაგმანო ხომალდი — საესკადრო ჯავშნოსანი „კნიაზ სუვოროვი"*

უმცროს ფლაგ-ოფიცერთა რიცხვში მოხვდა მიჩმანი გიორგი წერეთელი. ახალგაზრდა ოფიცრის მოვალეობაში შედიოდა ესკადრის ხომალდებზე ადმირალ როჟესტვენსკის ბრძანებათა გადაცემის აღსრულება და თან ადიუტანტის ფუნქციებს ითავსებდა.

1904 წლის 2 ოქტომბერს მე-2 ესკადრამ რუსეთის იმპერიის პორტი ლიბავა (ახლანდელი ლიეპაი, ლატვია) დატოვა და წყნარი ოკეანისკენ ხანგრძლივ სვლას შეუდგა.

ინდოეთის ოკეანისკენ ხომალდების ერთმა ნაწილმა აფრიკის შემოვლით, მეორემ კი სუეცის არხის გავლით გაცურა. ორივე რაზმი ერთმანეთს კუნძულ მადაგასკართან შეხვდა და ამის შემდეგ გაერთიანებულმა ესკადრამ ლაშქრობა შორეული აღმოსავლეთისაკენ გააგრძელა, სადაც ცუსიმის სრუტეში იაპონიის ფლოტი ელოდა.

რუსული ესკადრა მარცხისთვის თავიდანვე განწირული იყო და ამას პირველ რიგში ესკადრის ხომალდებზე მყოფი ოფიცრები ხედავდნენ.

ესკადრის სარდალს, ვიცე-ადმირალ ზინოვი როჟესტვენსკის სიმამაცე არ აკლდა, მაგრამ შაბლონური მოქმედებები ახასიათებდა. ჰქონდა მძიმე ხასიათი, იყო მკაცრი, მომთხოვნი და წესრიგის დასამყარებლად ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. არავის ინდობდა და ნებისმიერ დარღვევას გესლიანი ბრძანებებით ეხმაურებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, ვისთან და რა პირობებში მოუხდა ქართველ მიჩმანს სამსახური, მაგრამ მას, ალბათ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

ძალიან ცოტა დრო რჩებოდა გადამწყვეტ ბრძოლამდე, რომელიც ისტორიაში ცუსიმას სახელით არის შესული და რომელიც რუსული ესკადრის განადგურებით დასრულდა.



**ჯავშნოსან „ორიოლის" მეთაური, I რანგის კაპიტანი ნიკოლოზ იუნგი 1905 წლის 2 მარტს მეუღლისთვის გაგზავნილი ერთ-ერთი ბარათიდან: „უნდა აღვნიშნო, რომ კამპანია წაგებულია და მისი გაგრძელება უაზროა. ეს იაპონელთა უბრალო გამარჯვება არ არის. ეს არის ცოდნის გამარჯვება უცოდინარობაზე".**

**ლეიტენანტი ბარონი კოსინსკი მეუღლისათვის ინდოეთის ოკეანიდან გაგზავნილ ბარათში წერდა: „...შესამჩნევია როჟესტვენსკის წარმოუდგენელი გაცოფება, რის გამოც ტელეგრაფი და სემაფორი დღე და ღამე შეუჩერებლად მუშაობს. იშვიათია „სუვოროვის" ანძა რამდენიმე წუთითაც კი სასიგნალო დროშების გარეშე — და მხოლოდ საყვედურები და მუქარა, საყვედურები და მუქარა".**

1905 წლის 14 მაისის ღამით ესკადრა კორეის სრუტის აღმოსავლეთ ნაწილს მიადგა, საიდანაც ცუსიმის სრუტე იწყება და ცურვა სალაშქრო ორდერით განაგრძო.

მას შემდეგ, რაც იაპონურმა ხომალდმა რუსების შემოსვლა შეამჩნია, ადმირალ როჟესტვენსკის ბრძანებით გამთენიისას ხომალდები ორი კილვატერული კოლონიდან ერთში გადაეწყვნენ და საბრძოლველად მოემზადნენ.




*ქვაშვეთის ტაძრის წმ. მარინეს სახელობის ეკლესიის კედელში ჩადგმული დაფა*



*საზღვაო კორპუსის შექმნის მე-200 წლის საიუბილეო ნიშანი*

ესკადრას წინ ჯავშნოსანი „კნიაზ სუვოროვი" მიუძღოდა. 14 მაისის 13-49 სთ-ზე საფლაგმანო ხომალდის არტილერისტებმა ცხვირის 152 მმ-იანი ქვემეხებიდან იაპონელთა სათავო ჯავშნოსნის Mikasa-ს მიმართულებით გასამიზნი გასროლები გააკეთეს. 13-52 სთ-ზე ადმირალ ხეიხატირო ტოგოს საფლაგმანო Mikasa-მ საპასუხო ცეცხლით უპასუხა.

13-54 სთ-დან რუსულ ფლაგმანს იკასა-სთან ერთად კიდევ ორი ჯავშნოსანი Shikishima და Asahi ესროდა, რომლებსაც ოდნავ მოგვიანებით ჯავშნოსანი Fuji შეუერთდა.





ჯავშნოსან „სუვოროვის“ ოფიცერთა ნაწილი. ქვედა რიგში მარცხნიდან პირველი მიჩმანი გიორგი წერეთელი უნდა იყოს

შემთხვევითი არ იყო, რომ ბრძოლის დასაწყისშივე იაპონელებმა მთავარ სამიზნედ „სუვოროვი“ შეარჩიეს. ფლაგმანის მწყობრიდან გამოყვანით ესკადრა მართვას კარგავდა და განადგურებაც ბევრად იოლდებოდა.

II რანგის კაპიტანი ვლადიმირ სემიონოვი ჯავშნოსან „კნიაზ სუვოროვზე“ როჟესტვენსკის შტაბში მსახურობდა და ცუსიმის ბრძოლაში დაიჭრა.

მან რამდენიმე რომანი მიუძღვნა რუსეთ-იაპონიის ომს და როგორც ომის მონაწილე საზღვაო ბატალიებს ზუსტად აღწერს, ამიტომ რომანში „რასპლატა“ მიჩმან წერეთელთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი, ალბათ, რეალობასთან ყველაზე ახლოს არის.

„რამდენიმე ჭურვის გადაცდენის შემდეგ დაიწყო დაცდენები. ჭურვები სულ უფრო და უფრო ახლოს ცვივდებოდნენ... ნამსხვრევების ნაწილი ჰაერში ზუზუნებდა, სხვები ბორტსა და ზედნაშენზე ჟღარუნებდა... ერთმა ჭურვმა ძალიან ახლოს, წინა საკვამლე მილის მოპირდაპირე მხარეს წყლის, კვამლისა და ცეცხლის გიგანტური სვეტი აღმართა... წინა ხიდურისკენ საკაცებით გაიქცნენ. მე სახელურს გადავახტი.

— თავადი წერეთელი, ჩემს მდუმარე კითხვაზე შემომძახა რედკიმ, რომელიც თავისი კოშკურისკენ გარბოდა“.

ბრძოლის მეორე მონაწილე ალექსი ნოვიკოვ-პრიბოი რომან „ცუსიმაში“ წერს:

„მოწინააღმდეგის გრიგალისებური ცეცხლისგან ხიდურზე არავინ ჩანდა სასიგნალო დროშების ასაწევად: ჭურვები ადამიანებს მაშინვე ცელავდა. გარდა ამისა, ყველა ბაგირი დაგლეჯილი იყო, ხოლო სასიგნალო დროშების ყუთს ცეცხლი ეკიდა“.

რა მოხდა „სუვოროვის“ ხიდურთან ჭურვის აფეთქების შემდეგ, მიჩმანი წერეთელი დაიჭრა და გადასახვევ პუნქტში გადაიყვანეს თუ მესიგნალეებთან ერთად დაიღუპა?

როგორც უმცროს ფლაგ-ოფიცერს, ბრძოლის დროს სასიგნალო დროშების აღსამართავად ანძასთან ყოფნა მოუწევდა და, ალბათ, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ცუსიმაში რუსეთის იმპერიისთვის სისხლი დაღვარა.

იაპონური ხომალდების ერთობლივმა ცეცხლმა ნაყოფი გამოიღო და 14-08 სთ-ზე „სუვოროვს“ ხანძარი მოედო.

ბრძოლაში იაპონელმა მეზღვაურებმა 12-დუიმიანი ქვემეხებისთვის პირველად გამოიყენეს ე. წ. შიმოზით დატენილი ჭურვები. მართალია, ასეთ ჭურვს ჯავშნის გარღვევა უჭირდა, მაგრამ გემბანზე დიდ ნგრევას იწვევდა და ცეცხლს აჩენდა. ხანძრის გაღვივებას კი ხელს უწყობდა რუსული ხომალდის ზედნაშენის, ადმირალისა და ოფიცერთა კაიუტების, კაიუტ-კომპანიის მოპირკეთებაში გამოყენებული ხის მასალა, ხის ავეჯი, ასევე ხალიჩები, ფარდები, რბილი სავარძლები და ა.შ.

14-32 სთ-ზე ჭურვის ნამსხვრევებმა „სუვოროვის“ დაჯავშნულ ჯიხურში მყოფი შტაბის ოფიცრებიდან ყველა მოკლა ან დაჭრა. დაჭრილთა შორის ადმირალი როჟესტვენსკიც იყო. „სუვოროვი“ ესკადრის მწყობრიდან გამოვიდა და იაპონელთა ხომალდების სატორპედო შეტევის ობიექტად იქცა.

დაახლოებით 16-15 სთ-ზე საფლაგმანო ხომალდს ნაღმოსანი „ბუინი“ მიადგა და ესკადრის მეთაური, შტაბის უფროსი და შტაბის ცხრა ოფიცერი თავის ბორტზე გადაიყვანა. შტაბის სხვა ოფიცრები ნაღმოსან „ბედოვის“ უნდა გამოეყვანა, მაგრამ მისმა მეთაურმა ბრძანება არ შეასრულა.

ბრძოლის მონაწილე იაპონელი ოფიცერი: „კნიაზ სუვოროვს“ ხანძარი მოედო, მაგრამ ესკადრაში ცურვას ისევ განაგრძობდა. მალე ჩვენი ცეცხლისგან წინა ანძა დაკარგა, ორივე საკვამლე მილი დაილეწა და მთლიანად კვამლსა და ცეცხლში იყო გახვეული. ისეთი „ნაცემი“ იყო, რომ შორიდან შემხვედვარე ვერავინ იფიქრებდა, რომ მის წინ ხომალდი იყო. ასეთი დასახიჩრების მიუხედავად, როგორც ნამდვილ ფლაგმანს შეეფერება, სროლას არ წყვეტდა და დარჩენილი ქვემეხებიდან შეძლებისდაგვარად ისროდა“.

რუსული ხომალდების მწყობრიდან გამოსული „სუვოროვი“ დაახლოებით 5 საათი იაპონური ხომალდების სამიზნე იყო და თავის დაცვას ერთი 75 მმ-იანი ქვემეხით ცდილობდა.

19 სთ-თვის იაპონელთა მე-6 რაზმის კრეისერებმა და ნაღმოსნებმა ჯავშნოსნის წინააღმდეგობას ბოლო მოუღეს და „სუვოროვი“ ჩაიძირა.

ეკიპაჟის 897 ოფიცრიდან და მატროსიდან არავინ გადარჩენილა. დაიღუპა ესკადრის შტაბის ოფიცერთა ნაწილიც და მათ შორის მიჩმანი გიორგი წერეთელი.

ცუსიმის სრუტის ცივ წყალში რამდენიმე ასეული მეზღვაურისთვის ჯავშნოსანი „სუვოროვი“ ძმათა სასაფლაოდ იქცა.

წუთისოფელმა წერეთლების ოჯახს გიორგის დაღუპვა არ აკმარა. იაპონიასთან ომმა შორეულ აღმოსავლეთში მეორე ვაჟის, დავითის სიცოცხლეც შეიწირა.

ომს გადარჩენილი თავადი როსტომ წერეთელი შინ პოლკოვნიკის ჩინით დაბრუნდა და 1923 წლის აპრილში გარდაიცვალა.

ოჯახის ტრაგედია კი ბოლშევიკებმა გააგრძელეს, როცა თავადის ორი ვაჟი — პეტრე და იოსები 1924 წელს დახვრიტეს.

**თემურ ჩაჩანიძე**



ადმირალ ხეიხატირო ტოგოს საფლაგმანო ხომალდი ჯავშნოსანი Mikasa ახლა საზღვაო მუზეუმია




# ვიეტნამის ომის პირველი სისხლისმღვრელი ბრძოლა

საკამათო არ არის ის, რომ ვიეტნამის ომის ერთ-ერთ სიმბოლოდ AK-47-თან ერთად შვეულმფრენი UH-1 Iroquois-იც იქცა. სწორედ „იროკეზებსა" და მის მოდიფიკაციებს იყენებდნენ ამერიკელი სამხედროები ვიეტნამში გადაადგილების მთავარ საშუალებად საცეცხლე მხარდაჭერისა თუ სამაშველო ოპერაციების დროს. ბრინჯის ყანების თავზე მონავარდე შვეულმფრენები არაერთხელ შეუდარებიათ იერიშზე გადასულ კავალერისტთა ესკადრონებისთვის.

1965 წლის სექტემბერში შვეულმფრენთა პირველი ქვედანაყოფები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აერომობილური ჯარების კონცეფციის უშუალოდ ბრძოლაში გამოსაცდელად გაიგზავნა. ერთი თვის შემდეგ მათ ლოკალური კონფლიქტების ისტორიაში ერთ-ერთ დაუნდობელ და სისხლისმღვრელ ბრძოლაში მოუნდათ ჩაბმა.

ვიეტნამში ჩატარებულ ოპერაციებში ყველაზე გამორჩეულად, ალბათ, მდინარე ია-დრანგის ველზე გამართული ბრძოლა შეიძლება ჩაითვალოს. ზოგს შეიძლება დაავიწყდა კიდეც ეს ბრძოლა, მაგრამ როცა ფილმს „ჩვენ ჯარისკაცები ვიყავით" დაუსახელებენ, მაშინვე ყველაფერი ახსენდებათ. ეს ჰოლივუდური ბლოკბასტერი მელ გიბსონის მონაწილეობით ომის შესახებ ლეგენდარულ ფილმადაა აღიარებული. რთულია მისი შედარება ფრენსის ფორდ კოპოლას „აპოკალიფსთან" ან ოლივერ სტოუნის „ოცეულთან", რადგან მასში ერთობ ბევრია „ამერიკული პატრიოტიზმი", მაგრამ უტყუარობის ხარისხის მიხედვით ბევრ კონკურენტს აღემატება.

კინოფილმი ხომ ჯო გალევოას და ჰელ მურის წიგნის „ერთხელ ჯარისკაცები, ახალგაზრდები ვიყავით" მიხედვითაა გადაღებული. ორივე ავტორი ამ ბრძოლის მონაწილეა. ერთი — სამხედრო კორესპონდენტი, მეორე კი ბატალიონის მეთაური იყო. წიგნი მათ იმ თანამებრძოლების ხსოვნას მიუძღვნეს, ვისაც შინ დაბრუნება არ ეღირსა.

## HU-1 ანუ UH-1 IROQUOIS-Ი

კორეაში ამერიკელების და ალჟირში ფრანგების მიერ შვეულმფრენთა გამოყენებამ აშშ-ის არმიის სარდლობას ამ ტიპის საფრენი აპარატების მიმართ ინტერესი გაუღვივა.

1954 წლის მაისში გამოცხადდა კონკურსი მრავალმიზნობრივი შვეულმფრენის შესაქმნელად, რომლის გამოყენებაც უშუალოდ საბრძოლო მოქმედების ზონაში იქნებოდა შესაძლებელი. საფრენ აპარატს 360 კგ ტვირთით 200 კმ-ის სიშორეზე 160 კმ/სთ-ში სიჩქარით უნდა ეფრინა. განსაკუთრებული მოთხოვნები იყო: მარტივი ტექნიკური მომსახურება და ექსპლუატაცია საველე პირობებში, საბარგო კაბინაში ორი საკაცით მწოლი დაჭრილის გადაყვანა, შეუფერხებელი ფრენა ღამით და რთულ მეტეოპირობებში, ხოლო გაბარიტებიდან გამომდინარე, ტრანსპორტირების შესაძლებლობა სამხედრო-სატრანსპორტო C-130 Hercules-ითა და C-124 Globemaster II-ით.

კონკურსზე წარმოდგენილი 19 პროექტიდან გამარჯვებულად გამოცხადდა ფირმა Bell-ი, რომელსაც კლასიკური ერთხრახნიანი მანქანის სქემა ჰქონდა წარმოდგენილი აირტურბინის ძრავით.

ჯილდოს სახით ფირმამ 1954 წლის ივნისში მიიღო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით რამდენიმე საცდელი ეგზემპლარი უნდა გაეკეთებინა უშუალოდ

საბრძოლო პირობებთან მიახლოებულ გარემოში გამოსაცდელად.

შვეულმფრენის სრულგანზომილებიანი მაკეტი 1955 წლის ნოემბერში მზად იყო. საცდელ მანქანას ნიშნული HU-1 მიენიჭა და გამოცდა 1956 წლის 22 ოქტომბერს შედგა.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ახალმა შვეულმფრენმა გამოცდების გრძელი გზა განვლო და სერიული წარმოება დაიწყო, ახალი ნიშნული UH-1 და სახელი Iroquois-ი მიიღო.

## ახალი კავალერია

1962 წელს აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ მაკნამარამ ახალი სატრანსპორტო-საბრძოლო საშუალების ღირსებათა გამოსავლენად ექსპერიმენტების ჩატარებაზე ბრძანება გასცა.

შვეულმფრენის სისწრაფემ და მანევრირების კარგმა უნარმა დააჩქარა ახალი, თეორიული და პრაქტიკული ამოცანების ჩამოყალიბება, რომლებსაც საბრძოლო ამოცანების გადაჭრისათვის უნდა შეეწყო ხელი. მარტივად რომ ვთქვათ, პენტაგონს აღმოაჩნდა იარაღი, რომლის ჭკვიანურად გამოყენების შემთხვევაში გამარჯვება უტყუარი იქნებოდა.




აერომობილური ჯარების კონცეფცია გენერალ-ლეიტენანტ გრეგორი ჰოუცის სახელს უკავშირდება

სამხედრო სპეციალისტების დისკუსიების შემდეგ გამოქვეყნდა აერომობილური სამხედრო შენაერთების კონცეფცია, რომელიც ბორბლებიან-მუხლუხებიანი ტექნიკის შვეულმფრენებით ჩანაცვლებას გულისხმობდა.

თავიდან შვეულმფრენების გამოყენება ოცეულ-ასეულის დონეზე დაიგეგმა. შემდეგ კი, წარმატების შემთხვევაში, რაშიც ნაკლებად ეპარებოდათ ეჭვი, უნდა შექმნილიყო შვეულმფრენთა პოლკები და დივიზიები. რაოდენობით ქვეითთა დივიზიის ტოლი აერომობილური შენაერთების შექმნა გენერალ-ლეიტენანტმა გრეგორი ჰოუცმა ითავა.

1963 წლის თებერვალში დაიწყო მე-11 საცდელი საჰაერო-საიერიშო დივიზიისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი მე-10 საავიაციო-სატრანსპორტო ბრიგადის ფორმირება.

დივიზიის შტატები განისაზღვრა 15 954 კაცით, 459 შვეულმფრენითა და თვითმფრინავით. საავიაციო ესკადრილიის შეიარაღებაში უნდა ყოფილიყო 38 საცეცხლე მხარდამჭერი UH-1B და 18 სატრანსპორტო UH-1D ტიპის შვეულმფრენი.

სადივიზიო არტილერიაში შედიოდა საავიაციო-სარაკეტო ბატალიონი, რომელიც აღჭურვილი იყო უმართავი რაკეტებით შეიარაღებული 39 UH-1B ტიპის შვეულმფრენით. ყველა შტაბს დაწყებული ასეულის ან ბატარეის დონიდან უნდა ჰყოლოდა თავისი ორი „იროკეზი“ ოფიცერთა ტრანსპორტირებისთვის.

მოწინააღმდეგის ზურგში სამოქმედოდ დივიზიის შემადგენლობაში ირიცხებოდა „სპეციალური“ ასეული, სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების დანიშნულების ადგილზე მიყვანა ექვს UH-1B-ს ევალებოდა.



დივიზიის მთავარი დამრტყმელი ძალა მოიერიშე შვეულმფრენთა ორი ბატალიონი იყო, საიდანაც თითოეული 12 შეიარაღებულ UH-1B-სა და 60 სატრანსპორტო UH-1D-ს აერთიანებდა.

მთლიანობაში დივიზიას სხვა საავიაციო ტექნიკის გარდა, უნდა ჰყოლოდა 137 საბრძოლო UH-1B და 138 სატრანსპორტო UH-1D ტიპის შვეულმფრენი.

1965 წელს დივიზიის ფორმირება შეჩერდა, მაგრამ მალევე განახლდა ამერიკის არმიის ყველაზე სახელმოხვეჭილი შენაერთის, 1-ლი საკავალერიო დივიზიის ბაზაზე. აქედან წარმოიშვა ტერმინი საჰაერო კავალერია (Air Cav).

## სპეცრაზმის ბაზის გადარჩენა

აერომობილური დივიზია თანამედროვე სწრაფი რეაგირების ძალების მსგავს პირველსახედ შეიქმნა. მათ საომარი მოქმედებების დაწყება უნდა შესძლებოდათ უმოკლეს დროში, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, დაწყებული ალასკით და დასავლეთ ევროპით დამთავრებული. რადგან იმხანად მსოფლიოში ყველაზე ცხელი ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია იყო, ამიტომ ჯარების ახალი სახეობის გამოსაცდელად უკეთეს ადგილს ვერავინ ინატრებდა.

1-ლი საკავალერიო დივიზიის ქვედანაყოფები ვიეტნამში „კემპ რედკლიფში" 1965 წლის ივლისში ჩავიდნენ. დივიზიის სამი ბრიგადის ნაწილების მებრძოლთა უმეტესობას საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა და მზად იყვნენ, შეესრულებინათ ნებისმიერი დავალება.

ნოემბრის დასაწყისში ჩრდილოეთ ვიეტნამის სახალხო არმიამ საომარი მოქმედებები გაააქტიურა ცენტრალური მთიანეთის რაიონში. კერძოდ, ვიეტნამელებმა რამდენჯერმე შეუტიეს პლეი-მიში განლაგებულ ამერიკელ სპეცრაზმელთა ბაზას. საიდანაც სამხრეთით, 40 კილომეტრი მანძილის დაშორებით, 1-ლი საკავალერიოს მე-3 ბრიგადის ბაზა იყო განთავსებული.

რეგიონში ამერიკული სამხედრო ძალების სარდალმა, გენერალმა ვესტმორლენდმა ბრიგადის მეთაურს, პოლკოვნიკ ტომას ტიმ ბრაუნს იმ ზონაში მოწინააღმდეგის ძებნა-განადგურება უბრძანა.

რამდენიმედღიანი ინტენსიური საჰაერო დარტყმების შედეგად, ამერიკულ ბაზაზე შეტევები შეწყდა. დაზვერვის მონაცემებით, ვიეტკონგოელთა ძალებმა უკან დაიხიეს და თავმოყრა დაიწყეს ჩუვ ჰონგის მთის რაიონში პლეი-მიდან 20 კმ-ში გადაჯგუფების მიზნით, რათა სპეცრაზმის ბაზაზე ახალი შეტევა წამოეწყოთ. ეს რომ არ დაეშვათ, ამერიკელებმა წინმსწრები მოქმედებები დაგეგმეს — ბრძოლით დაზვერვა და უკანდახეულ ვიეტნამელთა ფლანგზე დესანტის გადასხმა.

## პოდპოლკოვნიკ მურის გეგმა

ბრძანების შესრულება ბრაუნმა მე-7 პოლკის 1-ლი ბატალიონის მეთაურს, პოდპოლკოვნიკ ჰელ მურს დაავალა. დესანტის გადასასხმელად მდინარე ია-დრანგიდან ორი კმ-ის მოშორებით მთის ძირას დაბალი ხეებით გარშემორტყმული მინდორი შეირჩა. დესანტირების ზონა სიდიდით ფეხბურთის მოედნის ტოლი თუ იქნებოდა და ოპერაციის შტაბის შეფასებით მასზე ერთდროულად დაჯდომას მხოლოდ 8 შვეულმფრენი შესძლებდა.

1-ლი ბატალიონის საშტატო სტრუქტურა ტიპური იყო ამერიკული არმიისათვის. იგი შედგებოდა 3 ასეულისგან („ალფა", „ბრავო", „ჩარლი") და მძიმედ აღჭურვილი (ნაღმსატყორცნები, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები) ასეული „დელტასაგან". ბატალიონი სულ დაახლოებით 450 ჯარისკაცს ითვლიდა და მათი გადაყვანისთვის 16 „იროკეზი" იყო გამოყოფილი. თითოეული აპარატი კი 10-12 ეკიპირებულ ჯარისკაცს იტევდა. აქედან გამომდინარე, ბატალიონის მთლიანად გადასროლას რამდენიმე გზობა დასჭირ-

*შვეულმფრენი UH-1 Iroquois-ი ვიეტნამის ომის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა*



ეროვნული ბიბლიოთეკა



მდინარე ია-დრანგის ველზე აერომობილურმა ქვედანაყოფებმა რეალურ ბრძოლებში პირველად გამოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები

დებოდა. დატვირთვასა და ზონაში გადასხდომაზე კი 30 წუთი იყო გამოყოფილი.

პოდპოლკოვნიკმა მურმა გადაწყვიტა, რომ პირველად ასეული „ბრავო" ბატალიონის შტაბთან ერთად გადასხდებოდა და პოზიციებს დასავლეთით და ცენტრში დაიკავებდნენ. შემდეგ მათ „ალფა" და „ჩარლი" მიჰყვებოდნენ. მათი ამოცანა სამხრეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ბჭეების დაკავება იყო. ასეული „დელტა" რეზერვში რჩებოდა, რათა საჭირო დროს ყველაზე დაძაბულ უბანზე საცეცხლე მხარდაჭერა უზრუნველეყო.

## სამი ერთის წინააღმდეგ

4 ნოემბერს, კვირა დილით, 12-მა მძიმე სატვირთო შვეულმფრენმა „ჩინუკმა" 105 მმ-იანი ჰაუბიცების ორი ბატარეა „იქს რეი" ზონიდან 10 კმ-ით აღმოსავლეთით გადაისროლა.

10-15 სთ-ზე დაიწყო ადგილმდებარეობის საარტილერიო დამუშავება.

10-35 სთ-ზე რაიონს საბრძოლო შვეულმფრენებმა ავიადარტყმები მიაყენეს.

10-48 სთ-ზე ასეულ „ბრავოს" პირველი დანაყოფი კაპიტან ჯონ ჰერენის მეთაურობით გადასხდა, მაგრამ ძალების ზონის გარშემო გადანაწილების ნაცვლად პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი ცენტრში დარჩა, სადაც წესით, მხოლოდ შტაბის ოფიცრები უნდა ყოფილიყვნენ.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ჰერენმა ბატალიონის მეთაურს რაციით სთხოვა, რომ „ალფას" პოზიციები ნაკადულის დასავლეთით დაეკავებინა. ეს კორექტივა გამოიწვია სადაზვერვო ჯგუფის მიერ ჩრდილო ვიეტნამის არმიის სერჟანტის, ჯონ მინგოს დატყვევებამ, რომელმაც დაკითხვისას განაცხადა, რომ რონი ჩუს მთაზე დაახლოებით 160 ვიეტკონგოელი იყო გამაგრებული.

11-20 სთ-ზე დანიშნულ ადგილზე გადასხდნენ „ბრავოს" დანარჩენი ნაწილი და „ალფას" 1-ლი ოცეული კაპიტან ტონი ნადალის მეთაურობით. მოხდა გადაჯგუფება და „ბრავომ" პოზიციები დაიკავა.

12-00 სთ-ზე დესანტირებას შეუდგა მესამე ტალღა — „ალფას" დანარჩენი ნაწილი. პოდპოლკოვნიკ მურის ბრძანებით მათ დატოვეს „ბრავოს" ფლანგი და პოზიციები ნაკადულის დასავლეთით დაიკავეს.

12-15 სთ-ზე დაფიქსირდა პირველი ორმხრივი სროლა. „ბრავოს" ორი ოცეული, რომელიც დათქმული პოზიციების დასაკავებლად ჯუნგლების გავლით მიემართებოდა, მოწინააღმდეგეს შეეჩეხა. კაპიტანმა ჰერენმა ლეიტენანტ ალენ დივენისა და ლეიტენანტ ჰენრი ჰერიკის ოცეულებს პარალელურად განლაგება უბრძანა, ხოლო ლეიტენანტ დენის დილის მესამე ოცეული უკან, რეზერვში დაიტოვა. მაგრამ ბრძანებამ დაიგვიანა. ლეიტენანტ ჰერიკის ოცეული ბრძოლაში ჩაება. ჯარისკაცები ჯუნგლების სიღრმისკენ უკანდახეულ ვიეტკონგოელებს დაედევნენ და ხაფანგში გაებნენ.

ოფიცერთა აზრიანი ხელმძღვანელობის წყალობით, ამერიკელები ერთბაშად დიდ დანაკარგს გადაურჩნენ. ინტენსიური ორმხრივი სროლის შედეგად, რომელიც ხუთ წუთს გაგრძელდა, ოცეულს არც ერთი ჯარისკაცი არ დაუკარგავს.

ჰერიკმა რაციით გადასცა ბატალიონის მეთაურს, რომ მტერი მისი ოცეულის ალყაში მოქცევას ცდილობს. პასუხად მიიღო ბრძანება უკან, ძირითადი ძალებისკენ დაეხია, მაგრამ ბრძანების შესრულება უკვე დაგვიანებული იყო და ლეიტენანტმა ხელქვეითებს წრიული თავდაცვის დაკავება უბრძანა.

შემდეგი 25 წუთის განმავლობაში ოცეულმა ხუთი ჯარისკაცი, მათ შორის მეთაურიც დაკარგა, რომელმაც რაციით გადასცა, რომ სისხლისგან იცლებოდა და მეთაურობას სერჟანტ კარლ პალმერს აბარებდა.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**



# „წითელი ბარონი“ ლეგენდარული მფრინავი მანფრედ ფონ რიხტჰოფენი

**საკმარისი იყო, გერმანელ ჯარისკაცებს ცაში მისი წითელი თვითმფრინავისთვის თვალი მოეკრათ, საბრძოლო სულისკვეთება უათმაგდებოდათ. საპირისპირო ხდებოდა მოწინააღმდეგის ბანაკში. პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) დროს დასავლეთის ფრონტზე ლამის ყველამ იცოდა, რომ მფრინავი-ასი, მფრინავი-ლეგენდა მანფრედ ფონ რიხტჰოფენი ომის ღმერთი იყო, სისხლისფრად შეღებილი ფრთებით...**

მანფრედ ფონ რიხტჰოფენი 1892 წლის 2 მაისს ქალაქ ბრესლაუში (დღევანდელი ვროცლავი, პოლონეთი), პრუსიელი არისტოკრატის ოჯახში დაიბადა. სამხედრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ სწავლა სამხედრო აკადემიაში გააგრძელა, 20 წლისამ კი ლეიტენანტის ჩინით უკვე კავალერისტთა პოლკში დაიწყო სამსახური. პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ის დასავლეთის ფრონტზე გადაისროლეს, სადაც ქვედანაყოფს მეთაურობდა.

ახალგაზრდა ოფიცერს კავალერიაში სახელის მოხვეჭა არ დასცალდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ მან მზვერავის პროფესია აირჩია... ეს პერიოდი ემთხვევა სამხედრო ავიაციის გარიჟრაჟს და ერთ დღესაც რიხტჰოფენს ცხენის ნაცვლად თვითმფრინავზე მოუხდა „ამხედრება“.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ფრენა სწორედაც რომ რიხტჰოფენის სტიქია იყო. ის ფრონტიდან დედას სწერდა: „ყოველდღიურად დავფრინავ მტრის შენაერთების თავზე და ვაწვდი ჩვენს შტაბს ცნობებს მათი გადაადგილების შესახებ. სამი დღის წინ ჩვენებს რუსების უკან დახევის შესახებ ვაცნობე და ვერც კი წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვიყავი“.

1915 წლის აგვისტოში რიხტჰოფენი დასავლეთის ფრონტზე, კოდური დასახელების შენაერთ „მტრედების გუნდში“ ჩაირიცხა, სპეციალური საწვრთნელი კურსის გავლის შემდეგ კი მას დიდი ხნის ოცნების ასრულების საშუალებაც ეძლევა – მისი თვითმფრინავის ზედა ფრთაზე უკვე ტყვიამფრქვევია დამონტაჟებული.

რიხტჰოფენის, როგორც სამხედრო მფრინავის, კარიერა 1916 წლის სექტემბრიდან, დასავლეთის ფრონტზე ბიპლანი Albatros B.II-ით იწყება, სახელი კი ტრიპლანი Fokker Dr. I-ით მოიხვეჭა.

1917 წლის იანვრის დასაწყისისთვის მფრინავის ანგარიშზე უკვე 16 საჰაერო ორთაბრძოლაში გამარჯვება იყო, რამაც ის მაშინდელ გერმანელ პილოტთა შორის საუკეთესო ასად აქცია. იანვარშივე ის ორდენით დააჯილდოეს და ესკადრილია ჟასტა 11-ის მეთაურობაც ჩააბარეს. სავარაუდოდ, სწორედ მაშინ მოინდომა რიხტჰოფენმა პირველად თავისი თვითმფრინავის წითლად გადაღებვა, რათა მიწაზე მყოფ თავისიანებს ადვილად ამოეცნოთ და ცეცხლი არ გაეხსნათ.

რიხტჰოფენს მიმდევრები გამოუჩნდნენ: წითლად შეიღება მისი ესკადრილიის ყველა აეროპლანი, ოღონდ მათში აუცილებლად სხვა ფერიც ერია, ერთიანად ალისფერი კი მხოლოდ ესკადრილიის მეთაურის, თავად „წითელი ბარონის“ საფრენი აპარატი იყო. რიხტჰოფენის მაგალითი მოგვიანებით ინგლისელმა მფრინავებმაც გადაიღეს. ოღონდ ისინი მანქანებს მხოლოდ „ცხვირებს“ ულებავდნენ წითლად, რითაც „წითელ ბარონთან“ ცაში პირისპირ შებმისა და მისი დამარცხების წადილს გამოხატავდნენ.



მფრინავი-ლეგენდა მანფრედ ფონ რიხტჰოფენი

თავიანთი „ცის რაინდები“ მოკავშირეებსაც ჰყავდათ — ინგლისელი ბოლი და ფრანგი გინემერი. განთქმული იყო ამერიკელი რაულ ლაფბერიც. მაგრამ ყველანი დაიღუპნენ — ჯერ ლაფბერი და გინემერი, შემდეგ ბოლი, „წითელი ბარონი“ კი, რომელმაც საჰაერო ბრძოლა ზუსტი მეცნიერების რანგში აიყვანა, დაუმარცხებელი რჩებოდა — 1917 წელს მის ანგარიშზე უკვე მტრის ოთხი ათეული განადგურებული თვითმფრინავი იყო.

ყველა სიკეთესთან ერთად, რიხტჰოფენი ბრწყინვალე „საჰაერო აკრობატიც“ იყო. სხვათა შორის, ის მსხვერპლს მხოლოდ ძალიან ახლო მანძილიდან, მხოლოდ იმ მომენტში ესროდა, როდესაც დარწმუნებული იყო, რომ იერიში გამანადგურებელი იქნებოდა მფრინავის ან მისი მანქანისთვის.

„მირჩევნია, ჩემი კლიენტის სახეს გარკვევით ვხედავდე“, — უთქვამს ერთხელ მანფრედს, რომელიც ოხუნჯობით, როგორც წესი, არ გამოირჩეოდა.

1917 წელს დაუჯერებელი ამბავი მოხდა – ერთბაშად ექვს F.E.2-თან გააფთრებულ ბრძოლაში „წითელი ბარონი“ თავში მძიმედ დაიჭრა. სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილმა, თითქმის დაბრმავებულმა და გონდაკარგულმა, მაინც მოახერხა თავისი „ალბატროსის“ დასმა... და აქედან სამი კვირის თავზე კი ის ჰოსპიტლიდან თავგადახვეული გაიპარა და თავის მფრინავებს ბრძოლაში წარუძღვა.

„წითელ ბარონზე“ ლეგენდებიც დადიოდა. მოწინააღმდეგეთა ბანაკში ბევრს ისიც კი სჯეროდა, რომ წითელ აეროპლანს „ალქაჯი“ მართავდა — „გერმანელი ჟანა დ'არკი“. მაგალითად, რიხტჰოფენის ესკადრილიის მიერ დატყვევებული ინგლისელი მფრინავი მხოლოდ იმას ითხოვდა, რომ მისთვის წითელი თვითმფრინავის პილოტი გოგონასთვის თვალის შევლების საშუალება მიეცათ. ამ ამბავს თავად რიხტჰოფენიც იხსენებდა: „გაოცებული დარჩა, როდესაც ვუთხარი, რომ ჰიპოთეტური მფრინავი ასული სინამდვილეში მე ვიყავი. მას ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ ქალი შეიძლებოდა მჯდარიყო ასეთი შეფერილობის აპარატზე“.

ავიაცია ვითარდებოდა, ჰაერში უპირატესობა კი ნელ-ნელა მოკავშირეებმა მოიპოვეს. მაგალითად, ბრიტანული Sopwith Camel-ი გერმანულ ტრიპლანებს მუსრს ავლებდა, მაგრამ ვერას აკლებდა „წითელ ბარონს“, რომლის გამარჯვებათა რიცხვი კვლავაც მატულობდა. ბოლოს ისე ჩანდა, რომ არა მხოლოდ მტერმა და მოყვარემ, თავად რიხტჰოფენმაც დაიჯერა, რომ უკვდავი იყო....

უკვდავებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ 1917 წლის ბოლოსთვის ის უკვე ნამდვილი ეროვნული გმირი გახდა. გერმანიის სარდლობაში შიშობდნენ კიდეც, რომ მისი დაღუპვის შემთხვევაში არმიის საბრძოლო სულისკვეთება დაეცემოდა და მფრინავს პენსიაზე გასვლა შესთავაზეს, თუმცა, უარი მიიღეს.

და დადგა 1918 წლის გაზაფხული. გერმანია დასავლეთის ფრონტზე ბოლო იმედის იერიშზე გადავიდა. ქვეითი დანაყოფების შეტევის შემდეგ ჰაერში ტრიპლანებიც აიჭრნენ. 20 აპრილს „წითელმა ბარონმა“ მე-80 გამარჯვება მიითვალა... მომდევნო დღე კი მისთვის საბედისწერო გახდა.

ინგლისელთა დაცვის ხაზის სიახლოვეს მის მიერვე დაზიანებულ Sopwith Camel-ზე დადევნებულ „წითელ ბარონს“ „კუდზე“ ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილიის კაპიტანი არტურ როი ბრაუნი „დააჯდა“, მიწიდან კი ცეცხლი ავსტრალიის ქვეითი დივიზიის ტყვიამფრქვევებით გაუხსნეს.

კონკრეტულად ვისმა ნასროლმა ტყვიამ უწია რიხტჰოფენის მკერდს, უცნობია. სასიკვდილოდ დაჭრილმა „წითელმა ბარონმა“ თვითმფრინავი მაინც დასვა და მასთან ავსტრალიელმა ჯარისკაცებმა მიირბინეს. თვითმხილველთა ნაამბობის თანახმად, დაცხრილულ კაბინაში სისხლის გუბე იდგა, შტურვალს ჩაფრენილმა ლეგენდარულმა მფრინავმა კი, რომელსაც ათ დღეში 26 წელი უნდა შესრულებოდა, სიტყვა „კაპუტ“ ამოილუღლუღა და სულიც დალია.

**გელა უშარიძე**

# პიტიუნტი - ბიჭვინთა



პიტიუნტის (ბიჭვინთის) კასტელუმის (ციხესიმაგრე) შესასვლელი კარიბჭე

რომის იმპერიის მესვეურები უკვე ახ. წ. I საუკუნის 80-იანი წლებიდან ცდილობდნენ იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების საიმედოდ დაცვას და ამისათვის არაერთი ციხე აშენდა სამხრეთ კავკასიისა თუ მცირე აზიის ქვეყნებში. დიდი ყურადღება ეთმობოდა კოლხეთის ზღვისპირა ზოლის გამაგრებას, სადაც რომაელებმა ააგეს რამდენიმე ციხე: აფსაროსი, ფაზისი, დიოსკურია-სებასტოპოლისი და იქ ლეგიონერები ჩააყენეს.

რომაელებმა კოლხეთის სანაპიროზე ყველაზე მოგვიანებით, II საუკუნის II ნახევრიდან დააარსეს ბიჭვინთის (ბერძ. პიტიუნტის) ციხესიმაგრე (კასტელუმი). თუმცა, ბიჭვინთა, როგორც მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი, მანამდეც არსებობდა. ახ. წ. I საუკუნის ისტორიკოს პლინიუს სეკუნდუსის ცნობით, ბიჭვინთა დიდი და უმდიდრესი ქალაქი ყოფილა.

ბიჭვინთის სასიმაგრო სისტემა შედგება გეგმით სწორკუთხა ნაწილისაგან — კასტელუმისგან, რომელიც ლეგიონერებს ეკავათ და კასტელუმზე მიშენებული ოვალური გეგმის მქონე სამოქალაქო დასახლება კანაბესაგან. ამ ორი ნაწილიდან უფრო ადრეულია კასტელუმი, რომელიც გამაგრებული ყოფილა ოთხკუთხა, მრავალკუთხა და ნახევარწრიული 15 კოშკით, კარიბჭეს კი გარედან მომრგვალებული 2 კოშკი იცავდა. კასტელუმი, ძირითადად, II-III საუკუნეებშია აგებული, ხოლო IV-VI საუკუნეებში მისი გალავანი კვლავ განუახლებიათ. კასტელუმში ერთი კოჰორტა, ანუ დაახლოებით 500 ლეგიონერი უნდა მდგარიყო.

სამოქალაქო დასახლება (კანაბე), კასტელუმზე IV საუკუნის II ნახევარშია მიშენებული. კანაბეს კედლები გამაგრებულია ოთხი, ხუთი და რვაწახნაგოვანი 11 კოშკით. ბიჭვინთის ერთიან საფორტო სისტემაში შედიოდა აგრეთვე ინკიტის ტბის მრგვალი და ლიძავას ოთხკუთხა კოშკები.

პიტიუნტს მოხერხებული ნავსადგურიც ჰქონდა, რომელიც წერილობით წყაროებში რამდენჯერმეა მოხსენიებული.

ბიჭვინთის კასტელუმის არქეოლოგიური შესწავლისას მის ცენტრში გაითხარა რომაულ სამხედრო ბანაკთან დაკავშირებული III-IV საუკუნეების რამდენიმე ნაგებობა. მათგან გამოირჩევა მეთაურის რეზიდენცია — პრეტორიუმი და სამხედრო ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი შენობები — პრინციპია.

პრეტორიუმის ეზოში იყო საცხოვრებელი ოთახები, სამზარეულო, საკუჭნაო და სხვ. ნაგებობებს ჰქონდათ მოზაიკური იატაკი, რომელზეც წარმოდგენილი იყო თევზის, დელფინისა და ტრიტონის გამოსახულებათა ფრაგმენტები. ერთ-ერთი ნაგებობის მოზაიკურ იატაკზე გადარჩენილია სპილოსა და ლომის გამოსახულებები. ნაგებობებში მოწყობილი იყო კანალიზაცია, ფუნქციონირებდა აბანოები და სხვ.

ციხესიმაგრის დიდი ნაწილი ეკავა ლეგიონერთა ყაზარმებს. სავარაუდოდ, ბიჭვინთაში 6 ყაზარმა მაინც უნდა ყოფილიყო. ბიჭვინთის ციხესიმაგრე მასშტაბით საგრძნობლად სჭარბობდა დიოსკურია-სებასტოპოლისის ანალოგიურ სამხედრო ბანაკს.

ისტორიკოსი ზოსიმე (V საუკუნის დასასრ. – VI საუკუნის დასაწ.) გადმოგვცემს, რომ ბიჭვინთა III საუკუნეში იყო არა მარტო მსხვილი სავაჭრო ცენტრი, არამედ ძლიერი ციხესიმაგრეც, რომელიც 256-257 წლებში გოთმა მეკობრეებმა შავიზღვისპირეთის სხვა პუნქტებთან ერთად ააოხრეს. ზოსიმეს მონათხრობით, გოთები „თავს დაესხნენ ბიჭვინთას, რომელიც შემოზღუდული იყო უზარმაზარი კედლით და რომელსაც ჰქონდა კარგად მოწყობილი ნავსადგური". რომაელთა ჯარს ხელმძღვანელობდა სუკესიანუსი, რომელმაც თავდამსხმელები ბიჭვინთიდან დიდი დანაკარგით გარეკა. შემდგომში იმპერატორმა ვალერიანემ სუკესიანუსი თავისთან იხმო და საიმპერატორო კარზე დააწინაურა.

ცოტა ხანში გოთები კვლავ გამოჩნდნენ კოლხეთის სანაპიროზე. მათ ჯერ ფაზისს შეუტიეს, თუმცა, უშედეგოდ. ფაზისიდან გაბრუნებული გოთები ბიჭვინთას დაესხნენ თავს. ზოსიმეს ცნობით, ბიჭვინთის „ციხე მათ დაუბრკოლებლად აიღეს, მთელი მისი მცველი ჯარი გაწყვიტეს და გზა განაგრძეს".

მეკობრეთა თარეშის შემდეგ, III საუკუნის მიწურულს, ბიჭვინთა კვლავ აღმავლობის გზაზე დადგა და სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტთან ერთად სავაჭრო-სახელოსნო ცენტრადაც იქცა. IV საუკუნის ბოლომდე, ბიჭვინთა ადმინისტრაციულად შედიოდა რომის პროვინციის კაპადოკიის შემადგენლობაში.

IV საუკუნის დასაწყისში ბიჭვინთა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრად ჩამოყალიბდა. შეიქმნა ბიჭვინთის საეპისკოპოსო, რომელიც კონსტანტინოპოლს ემორჩილებოდა.

325 წელს ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე მონაწილეობდა ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაში. ჩანს, ეს ეპარქია ანგარიშგასაწევი ძალა იყო, რომლის ავტოკეფალიას საფუძვლად უნდა დასდებოდა შავიზღვისპირეთის ამ მხარეში ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მოღვაწეობა. ბიჭვინთის ეპარქიის სიძლიერეზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ კანაბეს ტერიტორიაზე გამოვლინდა ერთმანეთზე დაშენებული IV-VI საუკუნეების ოთხი ეკლესია. ერთ-ერთის იატაკი მდიდრული მოზაიკით ყოფილა მოგებული. ფიქრობენ, რომ მოზაიკის იატაკიანი ეკლესია ბიჭვინთის ეპისკოპოსის, სტრატოფილეს რეზიდენციას წარმოადგენდა.

ბიჭვინთის გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის დიდ ნაწილს შეადგენს რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებიდან, უპირატესად მცირე აზიის სხვადასხვა ცენტრიდან მომდინარე ამფორები, წითელლაკიანი ჭურჭელი, ჭრაქები, ხელადები, მინის ბალზამარიები. იქვეა გამოვლენილი ჩრდილო შავიზღვისპირული (ქერსონესი, ბოსფორი) ამფორები. მრავლადაა აღმოჩენილი მონეტები, რომლებიც უპირატესად „მილიტარისტური" ხასიათისაა, ვიდრე ეკონომიკური და ბიჭვინთაში დისლოცირებული ლეგიონერების გასამრჯელო უნდა იყოს.

მონეტების უმრავლესობა მოჭრილია ტრაპიზონში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბიჭვინთის საჯარისო ნაწილების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება უპირატესად ხდებოდა ტრაპიზონიდან, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე დისლოცირებული რომაული სამ-



პიტიუნტის კასტელუმი ძირითადად II-III საუკუნეებშია აგებული, ხოლო IV-VI საუკუნეებში მისი გალავანი კვლავ განუახლებიათ



საფორტო ნაგებობები



ბიჭვინთის სახელგანთქმული მოზაიკა

ხედრო ძალებისა და საზღვაო ფლოტის ძირითად ბაზას წარმოადგენდა.

პიტიუნტის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იმპორტული ნაწარმის დიდი ნაწილი რომაული გარნიზონის საჭიროებისთვისაა შემოტანილი. თუმცა, ნაწილი იმპორტული ნივთებისა ადგილობრივ მოსახლეობასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საგანი უნდა ყოფილიყო. ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაში ძირითადად ჩაბმული ჩანან ვეტერანი, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ლეგიონერები, რომელთაც უპირატესად კანაბეში და ციხის ახლო მდებარე ტერიტორიებზე უნდა ეცხოვრათ.

დაახლოებით 370 წლისათვის ბიჭვინთა ჰუნების შემოსევის მსხვერპლი გახდა. ამის შემდეგ მისი სტრატეგიულ-ეკონომიკური მნიშვნელობა დაიკარგა.

V საუკუნეში ბიჭვინთაში ცხოვრება, ვიდრე VI საუკუნის დასაწყისამდე, ჩამკვდარი ჩანს. შემდგომ იქ საქალაქო ცხოვრება გამოცოცხლებას კვლავ იწყებს, რაც დაკავშირებულია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბიზანტიელთა აქტიურობასა და ბიჭვინთაში გარნიზონის ჩაყენებასთან. იმ დროიდან იწყება ბიჭვინთის კედლების აღდგენა. ბიზანტიელთა სამხედრო ძალების იქ ყოფნას უკავშირებენ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ VI საუკუნის 120-ზე მეტ მონეტას, რომელთა უმრავლესობა კონსტანტინოპოლის ზარაფხანაშია მოჭრილი.

პროკოპი კესარიელის (VI საუკუნე) ცნობით, ბიზანტია-ირანის ომების დროს, 542 წელს ბიზანტიელებმა თვითონვე დაანგრიეს ბიჭვინთის სიმაგრე, რათა იქ ირანელები არ გამაგრებულიყვნენ. მიუხედავად ამისა, შავიზღვისპირეთის სხვა რომაულ-ბიზანტიური კასტელუმებისაგან განსხვავებით, ბიჭვინთაში ცხოვრება შემდგომაც არ წყდება. იქ იგება ახალი ტაძრები, როგორც ციხესიმაგრეში, ისე მის ფარგლებს გარეთაც (ლძაა, ფიჭვნარი, ალაჰაძე).

VII-VIII საუკუნეებში და შემდგომაც ბიჭვინთა კვლავ განაგრძობს არსებობას, მაგრამ არა როგორც სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი, არამედ როგორც საეკლესიო ცენტრი.

XVI საუკუნის ჩათვლით, ბიჭვინთა წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის (რომელსაც იმავე დროს აფხაზეთის ეპისკოპოსის ტიტულიც ჰქონდა) რეზიდენციას. თურქთა და ჩრდილოკავკასიელ ტომთა მოძალების გამო რეზიდენციამ შემდგომ გელათში გადმოინაცვლა.

შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე, კოლხეთის სანაპირო ზოლში განლაგებული რომაული ციხესიმაგრეები აფსაროსი, ფაზისი, დიოსკურია-სებასტოპოლისი ქალაქებად ვერ ჩამოყალიბდნენ. ამის მთავარი მიზეზი მათი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება, გარე სამყაროსთან (რომთან) ურთიერთობაზე დამოკიდებულება და შესაბამისად მყარი ეკონომიკური ბაზის უქონლობა იყო.




IV-VI საუკუნეების რომაელი ჯარისკაცი

კოლხეთის ზღვისპირეთში უცხო ძალების პოზიციების შესუსტებისა და საგარეო კონტაქტების შეზღუდვასთან ერთად IV-V საუკუნეებში იქ ცხოვრება ქვეითდება. ამ პროცესის პარალელურად, ეგრისის შიდა რაიონებში ცალკეული ცენტრები — ნოქალაქევი, ქუთაისი, ვარდციხე, შორაპანი და სხვ. — აღმავლობის გზაზე დგანან და სულ უფრო ძლიერდებიან. მათი განვითარება ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული.

ზღვისპირა ცენტრებიდან გამონაკლისს წარმოადგენს ბიჭვინთა, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით კვლავ აგრძელებდა ცხოვრებას. შემდგომში ის გახდა არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი, საიდანაც ქრისტიანობა ჩრდილო კავკასიაში გავრცელდა.

**დავით მინდორაშვილი**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეირანის კოსმოსური ამბიციები




ორბიტაზე პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების, შემდგომ კი პირველი პილოტირებული ფრენის შემდეგ, ადამიანმა კოსმოსის ათვისება დაიწყო. დღეისთვის საკუთარი კოსმოსური სააგენტო ან ეროვნული კოსმოსური პროგრამა მსოფლიოს 40-მდე სახელმწიფოს აქვს და მათ რიცხვშია ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანიც.

ამ ქვეყნების ნაწილი თანამგზავრებს დამოუკიდებლად ქმნის და ორბიტაზე რუსული, ამერიკული, ინდური ან ჩინური რაკეტებით გაჰყავს. ნაწილი თანამგზავრებს სხვა სახელმწიფოებთან ერთად ამზადებს. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც საკუთარი თანამგზავრების ორბიტაზე გაშვებას სამამულო რაკეტებით ცდილობენ.

2004 წლის 1-ელ თებერვალს ირანმა კოსმოსური სააგენტო ჩამოაყალიბა და მას შემდეგ თეირანი საკუთარი რესურსებით კოსმოსის ათვისებას ცდილობს.

პირველ თანამგზავრზე მუშაობას ირანი 1998 წელს კვლევითი პროგრამა Mesbah-ის ფარგლებში შეუდგა. ოფიციალურად, მომავალი თანამგზავრის დანიშნულება ტელეკომუნიკაციები, სამეცნიერო კვლევები და დედამიწის დისტანციური ზონდირება იყო, მაგრამ ამგვარი თანამგზავრის გამოყენება დაზვერვის მიზნითაც შეიძლებოდა.

თანამგზავრი ორბიტაზე რაკეტა-მატარებლის სახით მოდიფიცირებულ ბალისტიკურ რაკეტა Shahab-3-ს უნდა გაეყვანა.

90-იანი წლების ბოლოს პროგრამა Mesbah-ი და პირველი სამამულო თანამგზავრის შექმნის ამბიცია ამბიციად დარჩა. უმთავრესი მიზეზი ამ სფეროში თეირანის არასაკმარისი ცოდნა და დაბალი ტექნიკური დონე იყო.

კოსმოსში პირველი თანამგზავრი, Sina-1, ირანმა 2005 წლის 27 ოქტომბერს პლესეცკის კოსმოდრომიდან რუსული რაკეტა-მატარებელ Космос-3М-ის დახმარებით გაუშვა. დედამიწის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი თანამგზავრი 160 კგ-ს იწონიდა და ორბიტაზე 8 წელი დაჰყო, საიდანაც 3 წელი აქტიურად მუშაობდა.

ოფიციალური ინფორმაციით, თანამგზავრი ირანულმა Iran Electronics Industries-მა დაამზადა, თუმცა, თეირანი არც იმას მალავდა, რომ თანამგზავრის შექმნაში მას რუსულ ქალაქ ომსკში არსებული საკონსტრუქტორო ბიურო Полет-ი ეხმარებოდა.

თანამგზავრებთან ერთად, თეირანი რაკეტა-მატარებლების შექმნასაც ცდილობდა. 2008 წელს ირანულ სემნანის კოსმოდრომზე ორსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტა „შაჰაბ-3"-ის ბაზაზე შექმნილი ახალი Safir-ი პირველად გამოცადეს. რაკეტის სიგრძე 22 მ-ია და სასტარტო მასა 26 ტ-ს აღწევს. რაკეტის ორივე საფეხური თხევად საწვავზე მუშაობს. საგულისხმოა, რომ ბალისტიკური „შაჰაბი" თეირანმა ჩრდილოკორეული „ნოდონის" ბაზაზე შეიმუშავა, რომელსაც თავის მხრივ, საფუძვლად საბჭოური სარაკეტო კომპლექსი „სკადი" უდევს.

„საფირის" პირველი შედეგიანი სტარტი 2008 წლის თებერვალს შედგა. 17 აგვისტოს კი თეირანმა მისი მეშვეობით ორბიტაზე თანამგზავრის მაკეტის გაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვება შეძლო. ირანის კოსმოსურმა სააგენტომ წარმატების შესახებ დაუყოვნებლივ განაცხადა, მაგრამ ექსპერტებმა ამ ინფორმაციას ეჭვით შეხედეს. ამერიკელების მტკიცებით, რაკეტის მეორე საფეხური 152 კმ-ის სიმაღლეზე აფეთქდა.

იმავე წლის 26 ნოემბერს მორიგი გაშვებისას რაკეტის მეორე საფეხური 250 კმ-ის სიმაღლეზე ავიდა და იქიდან პარაშუტით დაბრუნდა.

2009 წლის 2 თებერვალი ირანის ეროვნული კოსმოსური პროგრამისთვის მნიშვნელოვანი თარიღია. მოდიფიცირებულმა რაკეტა Safir-2-მა ორბიტაზე ახალი ირანული თანამგზავრი Omid-ი („იმედი") გაიყვანა. მისი პრიმიტიულობის მიუხედავად, ირანისთვის ეს უდიდესი წარმატება იყო. ამგვარად ირანი მსოფლიოში მე-9 ქვეყანაა, რომელმაც ორბიტაზე ხელოვნური თანამგზავრი საკუთარი ძალით გაიყვანა. კუბის ფორმის „ომიდი" 27 კგ-ს იწონიდა და ორბიტაზე თითქმის 3 თვე დაჰყო.

მორიგი თანამგზავრი ირანმა კოსმოსში 2011 წლის 15 ივნისს გაუშვა. რაკეტა Safir-2-მა ორბიტაზე, 260 კმ-ის სიმაღლეზე, Rasad-1 გაიყვანა. 15,3 კგ-იანი თანამგზავრი ფუნქციონირებისთვის ენერგიას მზის ბატარეებისგან იღებდა. მისი დანიშნულება დედამიწისთვის ფოტოების გადაღება იყო და ამგვარად ის შეიძლება პირველ ირანულ სადაზვერვო თანამგზავრად ჩაითვალოს.

კოსმოსის სფეროში, ირანს შორს მიმავალი ამბიცია აქვს. თანამგზავრების, რაკეტა-მატარებლის შექმნის და წარმატებული ექსპლუატაციის შემდეგ თეირანი ორბიტაზე ცოცხალი არსებების გაშვებაზე გადავიდა.

2010 წლის 3 თებერვალს ირანელებმა კოსმოსში რაკეტით თაგვი, კუ და ჭიები გაუშვეს. ბიოკაფსულა დედამიწაზე დაბრუნდა. ამრიგად, ირანი მსოფლიოში რიგით მეექვსე სახელმწიფო გახდა, რომელმაც კოსმოსში ცოცხალი ორგანიზმების გაგზავნა შეძლო.

მომავალ წელს სტარტისას მოდიფიცირებულ ბიოკაფსულაში უკვე მაიმუნის მაკეტი იყო.

ცოცხალი პრიმატის ორბიტაზე „სამოგზაუროდ" გაშვება ირანელებმა 2012 წელს სცადეს. 20 წთ-იანი სუბორბიტული ფრენისა და 120 კმ-ზე ასვლის შემდეგ, კაფსულამ დედამიწაზე დაბრუნებისას ავარია განიცადა და მაიმუნი დაიღუპა.


პირველი ირანული „კოსმონავტი" — პრიმატი, მეტსახელად „აფტაბი"


სადაზვერვო Rasad-1

ორბიტაზე პრიმატების გაშვებაში, წარმატებას ირანულმა კოსმოსურმა სააგენტომ მხოლოდ 2013 წლის 28 იანვარს მიაღწია. მაიმუნი, მეტსახელად „აფტაბი", კოსმოსში „მოგზაურობის" შემდეგ, დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნდა.

მეორე მაიმუნი ორბიტაზე იმავე წლის 14 დეკემბერს გაფრინდა. 120 კმ-ის სიმაღლეზე ასვლისა და 15 წთ-იანი სუბორბიტული ფრენის შემდეგ, პრიმატ „ფარგამის" ბიოკაფსულა მიწაზე პარაშუტით დაეშვა.

დაბალი ტექნოლოგიური დონისა და ხშირად არასაკმარისი ცოდნის მიუხედავად, კოსმოსის ათვისებაზე თეირანი თანხებს არ ზოგავს. მიუხედავად იმისა, რომ ირანული თანამგზავრები 57 წლის წინანდელი საბჭოური „სპუტნიკ-1"-ისგან არც ისე შორსაა წასული, საერთაშორისო იზოლაციაში მყოფი ქვეყნისთვის ეს მაინც დიდი მიღწევაა.

საერთაშორისო ასპარეზზე ირანის კოსმოსურ პროგრამას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ორბიტაზე თანამგზავრ „ომიდის" გაშვებას ისრაელის და აშშ-ის პროტესტი მოჰყვა. მათი აზრით, კოსმოსური პროგრამით თეირანი შესაძლოა შორი მოქმედების ბალისტიკური რაკეტების პროექტს ამუშავებდეს.

თეირანს კოსმოსში ადამიანის გაშვებაც სურს. პილოტირებული პროგრამის დაწყება 2016 წელს იგეგმება. 2017-18 წლებში ადამიანის მონაწილეობით პირველი სუბორბიტული ფრენები უნდა ჩატარდეს. 2021-22 წლებში კი პირველი ფრენა ორბიტაზე შესრულდება. პილოტირებული კოსმონავტიკა დიდ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, ტექნოლოგიურ ბაზასა და კვალიფიკაციას მოითხოვს.

კოსმოსის ათვისებაში ირანს ყველაზე მეტად რუსეთის იმედი აქვს. მიმდინარე წლის 10 აპრილს თეირანში რუსულმა „როსკოსმოსმა" და ირანის კოსმოსურმა სააგენტომ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმეს. კონტრაქტი ორბიტაზე რუსული რაკეტებით ირანული თანამგზავრების გაშვებას და რუსულ „ზვეზდნი გოროდოკში" ირანელი კოსმონავტების მომზადებას ითვალისწინებს. თეირანი კოსმოსიდან რუსული აპარატებით გადაღებული დედამიწის ფოტოებითაც დაინტერესდა.

**ალექსანდრე აფაქიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობილი რაინდები

**333** როლანდი, მამაცი და ერთგული რაინდი, თავისი ბატონის სამსახურში დაიღუპა. როლანდი კარლოს დიდის, რომელიც 800-იან წლებში მართავდა საფრანგეთსა და გერმანიას, რაინდი იყო. მას უნდა დაეცვა კარლოსი და მისი ჯარი მაჰმადიანთა შეტევისგან მაშინ, როცა ესპანეთიდან საფრანგეთში გადადიოდნენ. მაგრამ როლანდს უღალატეს და ის თავისი მეფისთვის ბრძოლაში დაიღუპა.



▲ რაინდების შესახებ ამბებს ასეთ წიგნებში უყრიდნენ თავს.

**334** ესპანელი რაინდი როდრიგო დიას დე ვივარის მეტსახელი ელ სიდი იყო. ეს არაბულად „მბრძანებელს" ნიშნავს. ელ სიდი ჩრდილოაფრიკელ მავრებს ებრძოდა. ის მისმა მბრძანებელმა, მეფე ალფონსო VI-მ განდევნა მას შემდეგ, რაც რაინდის მტრებმა მეფესთან ცილი დასწამეს.

▼ დონ კიხოტი ქარის წისქვილებს შეებრძოლა, რადგან გოლიათები ეგონა.





**335** წიგნში „დონ კიხოტი" მოთხრობილია მოხუცის ამბავი, რომელიც რაინდობაზე ოცნებობს. ის 1500-იან წლებში დაწერა ესპანელმა მწერალმა მიგელ დე სერვანტესმა. რაინდების გმირობის ამბების წაკითხვის შემდეგ დონ კიხოტიც მათსავით აღიჭურვა და ცხენზე ამხედრებული დიდების მოსაპოვებლად გაემგზავრა. დონ კიხოტმა საჭურველმტვირთველად გლეხი სანჩო პანსა იახლა. მან არაერთხელ იხსნა თავისი ბატონი ხიფათისგან.

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან", პალიტრა L

ეროვნული ბიბლიოთეკა

**336** ლანსელოტი მეფეართურის საყვარელი რაინდი იყო. მოთხრობები მეფე არტურსა და მის რაინდებზე ძალიან პოპულარული იყო 1200-იან წლებში. ლანსელოტს ართურის მეუღლე გვინევრა შეუყვარდა. ორი რაინდის დაპირისპირებამ და სკანდალმა, რაც ლანსელოტისა და გვინევრას რომანს მოჰყვა, საბოლოოდ დაშალა მრგვალი მაგიდის რაინდები.



**337** „შავი პრინცი“ ინგლისის მეფე ედუარდ III-ის უფროსი ვაჟის, ედუარდის მეტსახელი იყო. „შავი პრინცი“ მამაცი მეომარი იყო. 1356 წელს პუატიეს ბრძოლაში მან ხელთ იგდო საფრანგეთის მეფე ჟან II კეთილი.



## დაუჯერებელია!

მოგზაურობისას დონ კიხოტმა ღორების კოლტი მტრის ჯარად მიიჩნია!



# მოგზაურობა ციხესიმაგრეში



ეროვნული ბიბლიოთეკა

**338** ქვის ციხესიმაგრე ძალიან ცივი და ნესტიანი ნაგებობა იყო. მის დასათბობად ბუხრები არ კმაროდა. ამიტომ საცხოვრებლად არც ისე მოსახერხებელი იყო. შემოდგომა-ზამთრობით უმინო ფანჯრებიდან ერთთავად ცივი ქარი უბერავდა.

**339** ციხესიმაგრეში ბევრი სახელოსნო და სათავსი იყო: იარაღის ოთახი, სამჭედლო, საჯინიბოები, ძაღლების სადგომი, წისქვილი და სამლოცველო. ზოგჯერ ბაღები და ბოსტნებიც კი ჰქონდათ!

**340** შუა საუკუნეების ციხესიმაგრეში არ იყო ტუალეტები! მის ნაცვლად იყენებდნენ ხის სკამს, რომელსაც „გარდერობი“ ეწოდებოდა. ის შემაღლებულ ადგილას იდგა. ასეთი „ტუალეტიდან“ ფეკალიები წყლიან თხრილში ჩაედინებოდა.



საწოლებში მხოლოდ ციხესიმაგრის პატრონსა და მის ოჯახს ეძინა, სხვებს კი — თივადაგებულ ტახტებზე.

თითქმის ყველა ციხესიმაგრეში ჰქონდათ ჭები, რათა ხანგრძლივი ალყის დროს სასმელი წყალი არ მოჰკლებოდათ.

ციხესიმაგრეებში არ იყო ცენტრალური გათბობა და არც წყალი მოდიოდა ონკანებში. ცივი დარბაზების დასათბობად კედლებზე სქელ ქსოვილებსა და გობელენებს აკრავდნენ, იატაკზე კი ხალიჩებს ფენდნენ. ბუხრებში მუდამ ცეცხლი გიზგიზებდა.

ყველა ციხესიმაგრეს ჰქონდა ცივი და ბნელი დილეგი, სადაც ტუსაღებს ამწყვდევდნენ. დილეგი ჩვეულებრივ ჭიშკართან მდებარე კოშკის ქვეშ იყო. ტუსაღები პატარა, უჰაერო საკნებში იყვნენ გამოკეტილი.

სამზარეულო ხშირად ციხესიმაგრის განცალკევებულ ნაწილში, ციტადელისგან მოშორებით მდებარეობდა, რადგან იქ ხანძრის საშიშროება დიდი იყო.

## კითხვები

1. რომელი იყო რაინდის ორი მთავარი საბრძოლო იარაღი?
2. რატომ დაიწყეს რაინდებმა გერბების გამოფენა?
3. ვინ იყო სერ ლანსელოტი?
4. ვინ იყო „შავი პრინცი“?
5. რა ერქვა ციხესიმაგრის ტუალეტს?

პასუხები: 1. ხმალი და ფარი 2. რათა ბრძოლის ველზე ეცნოთ 3. მეფე ართურის რჩეული რაინდი 4. პრინცი ედუარდი, ედუარდ III-ის შვილი 5. გარდერობი

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან“, პალიტრა L

# პაულ ფონ ლეტოვ-ფორბეკი

## 1870-1964



პირველი მსოფლიო ომის წლებში პოდპოლკოვნიკი პაულ ფონ ლეტოვ-ფორბეკი გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკაში მცირერიცხოვან რაზმს მეთაურობდა, მაგრამ ადგილობრივების ხარჯზე დიდი არმიის შექმნა მოახერხა. ის ერთადერთი დაუმარცხებელი გერმანელი იყო.

დაიბადა 1870 წლის 20 სექტემბერს პრუსიაში, ზაარლუიში, პრუსიელი გენერლის ოჯახში. 1900 წელს ჩინეთში გაემგზავრა, სამხედრო ექსპედიციაში, რომელსაც „მოკრივეთა აჯანყება“ უნდა ჩაეხშო. როდესაც პეკინში უცხოურ დიპლომატიურ მისიებს ალყა შემოარტყეს, უცხოეთიდან ჩასულმა მაშველმა ძალებმა ქალაქში ჩრდილოეთიდან შეაღწიეს და 14 აგვისტოს დედაქალაქი აიღეს.

### ქრონოლოგია

- 1870 დაიბადა 20 მაისს ზაარლუისში, პრუსიაში.
- 1900 მონაწილეობდა „მოკრივეთა აჯანყების“ ჩახშობაში.
- 1914-18 ებრძოდა ბრიტანელებს, ბელგიელებსა და პორტუგალიელებს.
- 1918 შეიჭრა ჩრდილოეთ როდეზიაში.
- 1919 გერმანიაში გმირის სახელით დაბრუნდა.
- 1929-39 რაიხსტაგში დეპუტატია.
- 1964 გარდაიცვალა 9 მარტს ჰამბურგში.

### კოლონიური ომები

ლეტოვ-ფორბეკმა სამხრეთ-დასავლეთის კოლონიურ ძალებთან ერთად ნამიბიაში ჰეჰეროსა და ჰოტენტოტების აჯანყებები ჩაახშო. შემდგომ გერმანულ კოლონიაში სამსახურისას საველე ბრძოლებისთვის ფასდაუდებელი გამოცდილება შეიძინა. გერმანიაში დაბრუნებული ბერლინში გენერალურ შტაბთან არსებულ კოლეჯში ომის წარმოებას ასწავლიდა კურსანტებს.

1884 წელს აფრიკაში გერმანიის კოლონიური პოლიტიკის შედეგად გაჩნდა გერმანიის აღმოსავლეთი აფრიკა. კოლონია დღევანდელი ბურუნდისა და რუანდის, ტანზანიის ძირითად ნაწილსა და მოზამბიკის ერთ მხარეს მოიცავდა.

გერმანული კოლონია პორტუგალიური, ბელგიური და ბრიტანული კოლონიებით იყო გარემოცული.

პირველი მსოფლიო ომი რომ ატყდა და ლეტოვ-ფორბეკი გერმანიის აღმოსავლეთ-აფრიკის კოლონიური ძალების სარდლად დაინიშნა. ძალები 270 გერმანელ ოფიცერსა და ჯარისკაცს, 11 ათასზე მეტ აფრიკელს ითვლიდა. ლეტოვ-ფორბეკმა ბელგიელების დასანახად დასავლეთით მცირე დაჯგუფება დატოვა, თვითონ კი ჩრდილოეთით, კენიისკენ გასწია და სასაზღვრო დაბა ტავეტა დაიკავა. შეშფოთებულმა ბრიტანელმა კოლონისტებმა ლონდონს ჯარი სთხოვეს. სინამდვილეში არც იმხელა საფრთხე ემუქრებოდათ. ლეტოვ-ფორბეკის ძალა საკმაოდ მცირე იყო ქვეყანაში შესაჭრელად. ამიტომ პარტიზანულ ომს მიმართა და უგანდის რკინიგზის ასაოხრებლად შეტევები დაიწყო.

ბრიტანელებმა ინგლისურ-ინდური ძალები გაგზავნეს მოშის ალყით ასაღებად. ტანგას გერმანულ პორტში ორი ბრიგადა გადავიდა. პირველმა ჩრდილო-დასავლეთით, მოშისკენ, გასწია. მათი მოწინავე ბატალიონები ლეტოვ-ფორბეკის კოლონიური ჯარები შეეტაკნენ და ინდუსებმა გაქცევით გადაირჩინეს თავი.

ლეტოვ-ფორბეკმა ველოსიპედით ტანგას დასაზვერად გასწია. თავის გარნიზონს ჯარით დაეხმარა და მე-2 ბრიტანულ ბრიგადას ძლიერი ცეცხლით შეეგება. ბრიტანელები გაერთიანდნენ და მოწინააღმდეგეს რიცხოვნობით გადააჭარბეს. მაგრამ გერმანელთა მაშველმა ჯარებმა მატარებლით ჩამოაღწია და ბრიტანელები უკუაქციეს, ხოლო ლეტოვ-ფორბეკს ისლა დარჩენოდა, მტრის დარჩენილი ძალები გაენადგურებინა.

### პარტიზანული ომი

1916 წელს ბრიტანელებმა სამხრეთაფრიკელი გენერალი იან სმუტსი ორი დივიზიით გაგზავნეს გერმანელთა დასამარცხებლად. 8 მარტს ტავერტას შეუტიეს, მაგრამ ლეტოვ-ფორბეკს მცირე ავანპოსტი უკვე დაკავებული ჰქონდა, საიდანაც მთავარ ჯარს უპრობლემოდ შეეძლო გასვლა. 20 მარტს გერმანელთა მთავარმა ძალებმა, სანამ ალყაში მოექცეოდა, მოახერხა სამშვიდობოს გასვლა.

მალე სამმა ბრიტანულმა დივიზიამ გადაიარა გერმანულ აღმოსავლეთ აფრიკაზე, მაგრამ ლეტოვ-ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გერმანელთა საექსპედიციო კორპუსი ჯუნგლებში გადაადგილებისას

ბეკმა და მისმა მეომრებმა მაინც მოახერხეს ხელიდან გასხლტომა. სმუტსმა მათი შიმშილით ამოწყვეტა სცადა და კიბატასთან საკვების საწყობები დაიკავა, მაგრამ სტრატეგიული ობიექტი მალევე დაკარგა.

1916 წლის ოქტომბრისთვის ლეტოვ-ფორბეკმა მოზამბიკის პორტუგალიური კოლონია დალაშქრა.

1918 წლის 28 სექტემბერს გერმანელთა ძალები ალყაში მოექცა, მაგრამ ლეტოვ-ფორბეკმა თავი ისევ დააღწია. ნოემბრის პირველივე კვირას ის ჩრდილოეთ როდეზიაში (ახლანდ. ზამბია) შეიჭრა. 12 ნოემბრისთვის ქვეყნის სიღრმეში 150 მილზე შევიდა, როდესაც ბრიტანელი შიკრიკი ჩაიგდო ტყვედ და შეიტყო, რომ ომი დამთავრებულიყო. 25 ნოემბერს მან კაპიტულაცია გადაწყვიტა. სწორედ ამაზე იტყვიან, „ჯარი, რომელიც არ დამარცხებულა, იმ ჯარს ჩაჰბარდა, რომელსაც ბრძოლა არ მოუგიაო“.

1919 წელს გერმანიაში დაბრუნებულ ლეტოვ-ფორბეკს როგორც გმირს, ისე შეხვდნენ. იმავე წლის ივლისში თავისი მომხრეების შეიარაღებული რაზმებით ჰამბურგი დაიკავა და ქალაქი მემარცხენე ჯარის — სპარტაკისტების ხელში მოხვედრისგან დაიცვა.

ლეტოვ-ფორბეკი რაიხსტაგში მემარჯვენე ფრთის დეპუტატად აირჩიეს. ის ნაცისტი არასდროს ყოფილა, მან ჰიტლერის ოპოზიციაში ყოფნა ამჯობინა.

**მოამზადა ლევან ინასარიძემ**



I მსოფლიო ომში აფრიკელები ევროპული ქვეყნების არმიებში იბრძოდნენ



# კარიბის ზღვა

2012 წლის ნოემბერში საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვიტა ხანგრძლივი ტერიტორიული დავა კოლუმბიასა და ნიკარაგუას შორის. გაეროს უმაღლესმა სასამართლო ინსტანციამ კოლუმბიას სასარგებლოდ გამოიტანა ვერდიქტი, რომელმაც დაადასტურა ამ ქვეყნის მფლობელობის უფლება კარიბის ზღვაში არქიპელაგ სან-ანდრესის რაიონში განლაგებულ შვიდ მცირე კუნძულზე. მანამდე ამ ტერიტორიებზე ათწლეულების მანძილზე ნიკარაგუას ჰქონდა პრეტენზია.

იმავდროულად, საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ კოლუმბია ნიკარაგუას გადასცემდა ტერიტორიული წყლების ნაწილს დაახლოებით 90 ათას კვ კმ-ზე მეტს. განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას არც ერთ სხვა სასამართლო ინსტანციაში.

საერთაშორისო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, კოლუმბიის პრეზიდენტმა ხუან მანუელ სანტოსმა განაცხადა, რომ მთავრობა არ აპირებს ამ ვერდიქტის აღიარებას და პირობა დადო, რომ გამოიყენებს ყველა ხელმისაწვდომ სასამართლო ინსტრუმენტს საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად.

ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ მეზობელი ქვეყნის პრეტენზიებზე პასუხისას აღნიშნა, რომ ქვეყნის ხელისუფლება მთელი პატივისცემით მოეკიდება კოლუმბიის მფლობელობაში გადასული კუნძულების მცხოვრებთა უფლებას მეთევზეობაზე. კერძოდ, ამის საშუალებით ყოველგვარი ჩარჩოების გარეშე, შეუძლია ისარგებლოს კუნძულ სან-ანდრესის მოსახლეობამ, რომელიც ნიკარაგუის სანაპიროდან 133 კმ-ით, კოლუმბიის ტერიტორიიდან კი 800 კმ-ით არის დაშორებული.



კოლუმბიის დროშა

საზღვაო საზღვარი ამ ქვეყნებს შორის წინათ განსაზღვრული იყო 1928 წლის ესგერა-ბარსენას ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც კოლუმბიას 82-ე მერიდიანის აღმოსავლეთით განლაგებული კუნძულები ეკუთვნოდა.

1979 წელს მანაგუამ მოახდინა ამ ხელშეკრულების დეზავუირება იმ საფუძველზე, რომ 1928 წელს ქვეყანა აშშ-ს ჰქონდა ოკუპირებული. ნიკარაგუა თვლიდა, რომ პრეტენზია კუნძულებზე: პროვიდენსია, სან-ანდრესი და სანტა-კატალინა, ასევე, შვიდ პატარა კუნძულზე კარიბის ზღვაში სრულიად საფუძვლიანი იყო. ამასთან დაკავშირებით 2001 წელს ნიკარაგუის ხელისუფლებამ ჰააგის სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მაშინ მანაგუამ საქმე წააგო.

ექვსი წლის შემდეგ, 2007 წლის დეკემბერში, საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ კუნძულები პროვიდენსია, სან-ანდრესი და სან-კატალინა კარიბის ზღვაში უნდა ეკუთვნოდეს კოლუმბიას, როგორც ეს იყო გადაწყვეტილი ნიკარაგუა-კოლუმბიის 1928 წლის ხელშეკრულებით. ხუთი წლის შემდეგ კი სასამართლომ დაადასტურა ზემოაღნიშნული 7 კუნძულის ტერიტორიული კუთვნილებაც.

დღეს სადავო კუნძულების რაიონში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ნიკარაგუამ დაიწყო საზღვაო და საჰაერო სივრცის გაკონტროლება კარიბის ზღვაში იმ ტერიტორიაზე, რომელიც მას საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაეცა. ქვეყნის სამხედრო საჰაერო და საზღვაო ძალები შეუდგნენ იმ რაიონების პატრულირებას, რომლებიც მის დაქვემდებარებაში კოლუმბიასთან საზღვარის დელიმიტაციის თანახმად გადავიდა.



კოლუმბიამ ნიკარაგუას საზღვაო საზღვრებთან სამხედრო ყოფნა გააძლიერა



საერთაშორისო სასამართლომ კოლუმბია-ნიკარაგუას ტერიტორიულ დავაზე ვერდიქტი გამოიტანა, მაგრამ...



ნიკარაგუას დროშა

მაგრამ ბოგოტა არ ნებდება. სან-ანდრესისა და პროვიდენსიის მახლობლად მუდმივად მორიგეობენ კოლუმბიის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები.

ოფიციალური პირების აზრით, ეს კეთდება იმ მიზნით, რომ „მხარი დაუჭირონ კოლუმბიის საზღვაო სივრცეზე ერთვნული სუვერენიტეტის იურისდიქციას".

2013 წლის თებერვლის შუა რიცხვებში პრეზიდენტმა სანტოსმა ბრძანება გასცა და ეროვნულ საზღვაო ძალებს დაავალა კარიბის ზღვაში კოლუმბიელი მეთევზეების უსაფრთხოებისთვის ნიკარაგუასთან საზღვაო საზღვართან ყოფნის გაძლიერება. თავის მხრივ, კარიბის სანაპიროს რაიონში იურისდიქციის მიღების შემდეგ ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ შეიარაღებული ძალების სარდლობას ნარკოტიკების კონტრაბანდასთან საბრძოლველად აშშ-სთან „დამატებითი შეთანხმებების" დადება უბრძანა.

გეგმის მიხედვით, ამ რაიონში ნარკოტრაფიქს ერთობლივად შეებრძოლებიან ნიკარაგუისა და კოლუმბიის სამხედრო მოსამსახურეები აშშ-ის სანაპირო დაცვის მხარდაჭერით.

საერთაშორისო ექსპერტების მონაცემებით, საზღვაო ზონა, რომელიც გადაეცა ნიკარაგუას, მდიდარია თევზით და, რაც მნიშვნელოვანია, ბუნებრივი წიაღისეულით, კერძოდ, ნახშირწყალბადებით.

ჯერ კიდევ 2008 წელს ნიკარაგუამ ხელი მოაწერა კონტრაქტებს ამერიკულ კომპანიასთან, რომელმაც კარიბის ზღვაში, რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში, აირისა და ნავთობის საბადოების დაზვერვის უფლება მიიღო. ნახშირწყალბადების კომერციული მარაგის აღმოჩენის შემთხვევაში კომპანიას 30 წლის განმავლობაში აქვს საბადოების ექსპლუატაციის უფლება.

მანაგუის ამდაგვარ ქმედებებს ბოგოტის მწვავე რეაქცია მოჰყვა. უფრო დიდი გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ნიკარაგუას ენერგეტიკის სამინისტროს ერთ-ერთმა სამსახურმა გამოსცა უცხოელ ინვესტორებისთვის მისაყიდი ბლოკების რუკა და მათ შორის აღმოჩნდა სადავო ტერიტორიებიც.

კოლუმბია არ აღიარებს სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიულ ძალას, მაგრამ უარს არც დაქვემდებარებაზე ამბობს.

**მოამზადა ვიქტორია ვაზაგაშვილმა**




ნიკარაგუელი საზღვაო მესაზღვრეები

# წყალქვეშა ნავი მატარებელთან ბრძოლაში



**გამოგონების დღიდან წყალქვეშა ნავების მთავარი სამიზნე ყოველთვის იყო და დღეისათვისაც კვლავინდებურად მოწინააღმდეგის სამხედრო-სავაჭრო ფლოტი რჩება. თუმცა, ომების ისტორიაში მოიძებნება შემთხვევები, როცა წყალქვეშა ხომალდებს სრულიად განსხვავებული ამოცანების შესრულება უწევდათ.**

რუსეთი კავკასიაში შემოსვლისთანავე განსაკუთრებული მონდომებით სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება-გაუმჯობესებით იყო დაკავებული და ამას აკეთებდა არა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, არამედ იმპერიის საზღვრების სამხრეთით შემდგომი გაფართოების მიზნით. ახალი მიწების დაპყრობა პირველ რიგში ჯარისა და სამხედრო ტექნიკის სწრაფ ტრანსპორტირებას საჭიროებდა.

თურქეთთან ომებმა წინ წამოსწია კავკასიის სანაპიროს გასწვრივ ტუაფსე — ახალი სენაკის 225 ვერსის სიგრძის მონაკვეთის, უფრო კონკრეტულად კი სოჭიდან ახალ სენაკამდე რკინიგზის ხაზის მშენებლობის აუცილებლობა და იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ გადაწყვეტილებაც მიიღო.

მაგრამ რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ და 1920 წლის 14 ოქტომბერს გამოვიდა დეკრეტი „რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ", სადაც შეჩერებულ სარკინიგზო მშენებლობებს შორის სოჭი-ახალი სენაკის ხაზიც აღმოჩნდა.

მშენებლობა კი შეჩერდა, მაგრამ ცალკეული მონაკვეთი ფუნქციონირებდა და რთული რელიეფის გამო ზოგიერთ ადგილზე რკინიგზის ხაზი უშუალოდ სანაპიროს, ზღვიდან სულ რამდენიმე მეტრში მიჰყვებოდა.

ამ თავისებურებამ, ეტყობა, განაპირობა ერთი უფრო კურიოზული შემთხვევა, ვიდრე საბრძოლო დავალება.

შავიზღვისპირეთის ჩეკას 1921 წლის 5 თებერვლით დათარიღებულ ოპერატიულ ცნობაში აღწერილია შემთხვევა, რომელიც, სავარაუდოდ, თებერვლის დამდეგს ან იანვრის მიწურულს მოხდა.

„მატარებელი სოჭისკენ მიემართებოდა, როცა ის ნაპირთან ახლოს მისულმა წყალქვეშა ნავმა შეაჩერა. ნავზე წითელი, თეთრი და საფრანგეთის დროშები იყო გამოკიდებული, ხოლო ბორტზე ტყვიამფრქვევსა და პატარა ქვემეხთან ხუთი კაცი ჩანდა.

მატარებელი ნახევარი საათი იყო შეჩერებული და წყალქვეშა ნავიდან მგზავრობის მიმართულებასა და მგზავრთა შესახებ კითხულობდნენ. ბოლოს მატარებელს გზის გაგრძელების უფლება მისცეს, ხოლო თავად წყალქვეშა ნავი კურსით ტუაფსესკენ მიბრუნდა და წავიდა".

ეს ამბავი ხდება იმ პერიოდში, როცა ბოლშევიკებმა მთელი შავიზღვისპირეთი საქართველოს გამოკლებით გააწითლეს და ამის მიუხედავად სოჭთან გამოჩნდა თეთრგვარდიელთა სამხრეთ რუსეთის საზღვაო ძალების წყალქვეშა ნავი.

ამ შემთხვევის შესახებ გერმანელ მეზღვაურებს არაფერი ეცოდინებოდათ, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წლებში კავკასიისთვის ბრძოლებში საბჭოთა სარკინიგზო გადაზიდვებმა ვერმახტს ისეთი სირთულეები შეუქმნა, რომ გერმანიის სარდლობამ სხვა მეტი ვერაფერი მოიფიქრა გარდა იმისა, რომ მატარებლებთან ბრძოლა წყალქვეშა ნავებისთვის გადაელოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1942 წლის სექტემბერში გერმანიის არმიამ პორტი ნოვოროსიისკი აიღო და წითელი არმიის შავიზღვისპირეთის დაჯგუფება, დასახლება კაბარდინკასა და ტუაფსეს შორის სანაპირო ზოლში მოაქცია.

ოქტომბერში გერმანელებმა ტუაფსეს შეუტიეს. ამ დროისათვის სოჭი ფრონტისპირა ქალაქს წარმოადგენდა, საიდანაც ბლოკირებული შავიზღვისპირეთის ჯარები მარაგდებოდა.

ტვირთს ბათუმიდან და ფოთიდან ტუაფსემდე გემები ეზიდებოდნენ ან სატვირთო ავტომობილებს სოჭამდე და შემდეგ რკინიგზით ტუაფსემდე გადაჰქონდათ, ხოლო უკანა გზაზე მატარებლებს ფრონტის ხაზზე დაჭრილები გამოჰყავდათ.

რკინიგზის შემადგენლობები ყოველგვარი დაცვის გარეშე მოძრაობდნენ — არ იყო გათვალისწინებული არც საზენიტო ტყვიამფრქვევებიანი პლატფორმები და არც ორთქლმავალსა თუ ვაგონების სახურავებზე საცეცხლე წერტილების მოწყობა.

თუმცა, გერმანელი მფრინავები დაბალი სიმაღლეებიდან ეშელონების დაბომბვებს მაინც ერიდებოდნენ მთებთან შეჯახების საფრთხის გამო, ხოლო დიდი სიმაღლეებიდან დაბომბვა კი ძალიან უზუსტო იყო.

მატარებლებმა გერმანელი სამხედროები იმდენად შეაწუხა, რომ სარკინიგზო გადაზიდვების მოსაშლელად წყალქვეშა ნავები და სატორპედო კატარღები მოისინჯა.

შავი ზღვისთვის 1935-36 წლებში აგებული პატარა წყალწყვის IIB სერიის წყალქვეშა ნავები შეირჩა.

1942 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა დაშლილი სამი წყალქვეშა ნავი U-9, U-19 და U-24 კილის სამხედრო-საზღვაო ბაზიდან ავსტრიულ ლინცამდე, ხოლო შემდეგ კი მდინარე დუნაით შავ ზღვაში რუმინულ პორტ კონსტანცაში ჩაიყვანეს.

იმავე წლის შემოდგომაზე იგივე ხერხი და მარშრუტი გამოიყენეს შავ ზღვაში კიდევ სამი წყალქვეშა ნავის U-18-ის, U-20-ისა და U-23-ის გადმოსაყვანად.

სამოქმედოდ თავდაპირველად ფოთი-ბათუმის მონაკვეთი შეირჩა, ხოლო 1943 წლის გაზაფხულიდან წყალქვეშა ნავები ნოვოროსიისკიდან ბათუმამდე პრაქტიკულად კავკასიის მთელი სანაპირო ზოლის გასწვრივ დაცურავდნენ, მატარებლებსა და სარკინიგზო ხაზებს კი საზენიტო ავტომატებით მეტწილად ღამით წყალზედა მდგომარეობიდან უტევდნენ.

პოზიციაზე მყოფი სუბმარინასთვის ღამით შუქშენილბვის დაცვით მიმავალ მატარებელთან ბრძოლაში სასურველი ეფექტის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომაც მდგომარეობის გამოსწორებას გერმანელები სატორპედო კატარღებით შეეცადნენ.

1942 წლის გაზაფხულზე ჰამბურგიდან მდინარე დუნაიზე მდებარე პორტ გალაცში სამდინარე-სახმელეთო გზებით 6 დაშლილი სატორპედო კატარღა — შნელბოტი ჩამოვიდა და იქვე აიწყო. შემდეგ კატარღები კონსტანცაში გადავიდნენ, სადაც შეიარაღებითა და ხელსაწყოებით აღიჭურვნენ.

1942 წლის აგვისტოს დასაწყისში შნელბოტების კავკასიის სანაპიროსთან ტუაფსეს სამხრეთით გამოჩენა საბჭოთა სარდლობისათვის ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა.

გერმანელი მეზღვაურების სამიზნე ბათუმი-ტუაფსე და ტუაფსე-გელენჯიკის მონაკვეთებზე საზღვაო-სახმელეთო კომუნიკაციები იყო.



წყალქვეშა ნავებიდან კავკასიის სანაპიროს რკინიგზის დაბომბვა უშედეგო იყო

თავდაპირველად ტუაფსე-ადლერის სარკინიგზო ხაზს არანაირი დაცვა არ ჰყავდა. შნელბოტების ღამით მოულოდნელი და სწრაფი თავდასხმები კი ისე გახშირდა, რომ საბჭოთა სარდლობამ რიგი ღონისძიებები სასწრაფოდ გაატარა: სანაპირო ზოლში საზენიტო-საარტილერიო ბატარეები განლაგდნენ, ავიაცია ყოველ საღამოს საჰაერო დაზვერვას აწარმოებდა, ზღვაზე ღამით საბრძოლო მცურავი საშუალებებით პატრულირება გაძლიერდა და სხვა.

საორთქლმავლო ბრიგადებს რკინიგზის სადგურებთან კავშირი არ ჰქონდათ და მატარებლებზე თავდასხმების შესახებ შეტყობინებებს პირველად საჰაერო დაკვირვების, გაფრთხილებისა და კავშირის პოსტები იძლეოდნენ.

ასევე პოსტები განგაშს აცხადებდნენ, როცა სანაპირო ზოლში კატარღებს ან წყალქვეშა ნავის პერისკოპს შეამჩნევდნენ და ზღვაში მაშინვე გადიოდნენ სატორპედო კატარღები ან საზღვაო მონადირე Vჟ-4-ები.

1943 წლიდან მატარებლებს ზღვის მხრიდან მობილიზებული სამოქალაქო გემები, მეტწილად თევზმჭერი სეინერები და შეძლებიდაგვარად სატორპედო კატარღები უკეთებდნენ ესკორტირებას.

გამცილებელი გემების შეიარაღება ერთი 45 მმ-იანი ქვემეხის ან 1-2 ტყვიამფქვევისგან შედგებოდა და პატარა სიჩქარის (5-12 კვანძი) ხარჯზე მატარებლების პარალელური კურსით ცურვა შეეძლოთ. ეს შეიარაღება გერმანული ხომალდების დასაფრთხობად სრულიად საკმარისი იყო.

1943 წლის შემოდგომიდან კავკასიისათვის ბრძოლებში წითელი არმია კონტრშეტევაზე გადავიდა და გერმანელებისთვის წყალქვეშა ნავებით სარკინიგზო კომუნიკაციებთან ბრძოლამ აზრი დაკარგა.

**თემურ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი



**თარაზული:** 1. გრძელი დასაკეცი ესპანური დანა; 5. ძველრომაელთა სამოსი; 8. აშშ-ის შტატი; 9. აღმოსავლეთის ქვეყნებში; მხედართმთავრის პირადი დაცვის მებრძოლი; 10. ძველ საბერძნეთში: მონის ან დამნაშავის სხეულზე დასმული დამღა; 11. ძვ. შვედური ესტონეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სახელწოდება; 12. რუსეთის არმიის ქართველი გენერალი ვლადიმერ ... (1764-1815 წწ.); 16. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ამერიკაში და ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ... დუმბაძე; 17. საგანგებო დავალება; 18. გარემოცვა, ალყა; 19. მშვილდით სასროლი; 21. ერთგვარი სისტემის რევოლვერი; 24. საჯარისო ერთეული; 27. თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა; 29. მშრალ კედელზე წყლიანი საღებავებით შესრულებული მხატვრობა; 30. თვითმფრინავის ან გემის კიბე; 31. თურქი ჯარისკაცი; 32. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; 33. სამხედრო ფორმის ქურთუკი; 34. ომის ღმერთი ბერძნულ მით.-ში.

**შვეული:** 2. აგენტთა ერთობლიობა; 3. ტკივილგამაყუჩებელი წამალი; 4. კაზაკთა ჯარის უფროსი; 5. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 6. ნივთიერება, რომელსაც შეიცავს თამბაქო; 7. მოკლელულიანი თოფი; 13. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს სახელმწიფო ხელისუფლებას, პოლიტიკურ ბრძოლას; 14. ხმლის ტარი; 15. ქუჩების, შენობების რთული, დახლართული განლაგება; 20. ბერძნული ანბანის პირველი ასო; 22. სვეტის ფორმის ძეგლი; 23. საბჭოური სისტემის პისტოლეტი; 25. მდინარე ჩეხეთში, პოლონეთსა და გერმანიაში. ჩაედინება ბალტიის ზღვაში; 26. მთავრობის წევრთა, მინისტრთა ერთობლიობა; 27. ასაფეთქებელი ნივთიერება; 28. „სამთა შეთანხმება“.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. კამორა; 5. ნაგანი; 8. ბოლიდი; 9. არნეგი; 10. ადლერი; 11. აბრისი; 12. ბლერი; 15. სირია; 16. მისია; 17. ტაიჭი; 18. ნეი; 20. შატლი; 23. კოლტი; 26. ტირანია; 28. ბელადი; 29. ტარანი; 30. აპოლო; 31. ნორდი; 32. პილოტი; 33. ავარია.

შვეულად: 2. აბორდაჟი; 3. ოდისევსი; 4. აპისი; 5. ნიასა; 6. გენერალი; 7. ნაგასაკი; 12. ბრიტანიკი; 13. ელჩი; 14. ინდიელები; 19. იუდა; 21. არსენალი; 22. ლიგა; 24. ობერ; 25. ტრანზიტი; 26. ტრიტონი; 27. ანტანტა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო week

ჟურნალთან ერთად
შეაგროვე 2014 წლის
მსოფლიო ჩემპიონატის
ფავორიტების
პოსტერები!



მაღალპოლიგრაფიული, სპორტული ჟურნალი, ყოველ შაბათს
შექმნილია გაზეთ „ლელოს“ ბაზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაინტერესდება თუ არა თავდაცვის სამინისტრო „დელტას“ ახალი სნაიპერული შაშხანით, რომელიც დასავლურ ანალოგებზე 10-15-ჯერ იაფი შეიძლება დაუჯდეს?!

# ქართული მსხვილკალიბრიანი სნაიპერული...

სიმბოლურია, რომ „არსენალის“ საიუბილეო მე-10 წელთან დაკავშირებით გამოსული ჟურნალის ამ ნომერში სწორედ ქართული ცეცხლსასროლი იარაღის გამოცდაზე ვწერთ.

„არსენალმა“ ქართველი სპეციალისტების მიერ მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანის რამდენიმე მოდელის შექმნის შესახებ ჯერ კიდევ გასულ წელს შეიტყო, თუმცა, იმის გამო, რომ ამ თემას გრიფი „საიდუმლო“ ედო, თავი შევიკავეთ ამ ფაქტის გასაჯაროებისგან.

ამჯერად კი მოგვეცა საშუალება არა მარტო დეტალურად გავცნობოდით ამ ახალ ქართულ იარაღს, არამედ გამოგვეცადა კიდეც. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ფორმით ქართული შაშხანა ჰგავს ცნობილი ამერიკული მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა Barrett-ის M90 და M95 მოდელებს, თუმცა, მისი სასროლი მექანიზმი მაინც განსხვავებულია.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან ქართული მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანის კონსტრუირების იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც თავდაცვის სამინისტრომ რამდენიმე წლის წინ ძვირად ღირებული „ბარეტები“ შეიძინა.

„დელტასა“ და სატანკო ქარხნის სპეციალისტებმა გადაწყვიტეს თითქმის ანალოგიური ტაქტიკურ-ტექნიკური მაჩვენებლების სამამულო შაშხანა შეექმნათ, რომლის თვითღირებულება 2-2,5 ათასი ლარის ფარ-



*ქართული მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანების სხვადასხვა მოდელები*

ს 114/18

**ჩვენი დოსიე:** ხელით გადასატენი „ბულპაპის“ სქემის ქართული მსხვილკალიბრიანი ანტიმატერიალური შაშხანის საერთო სიგრძე 1521 მმ-ია, ლულის სიგრძე 1100 მმ. მასა 14 კგ-ს აღწევს. სროლის ეფექტური მანძილი 1800-2000 მ-ს შეადგენს. მას გრძივად მოსრიალე მობრუნებადი ჩამკეტი აქვს. მჭიდში 12,7X108 მმ კალიბრის 5 ვაზნა ჩადის.



გლებში იქნებოდა, რაც შესყიდულ „ბარეტებზე“ 10-15-ჯერ (და შეიძლება უფრო მეტჯერაც) იაფი გამოვიდოდა.

შაშხანის შექმნაზე არაერთი კონსტრუქტორი მუშაობდა, მათ შორის — სატანკო ქარხნის თანამშრომელი, შეიარაღების სპეციალისტი გიორგი გურგენიძე და „დელტას“ ინჟინერ-კონსტრუქტორი ალექსანდრე ბინკინაშვილი. ამ უკანასკნელმა „არსენალს“ განუცხადა, რომ მათ მიერ დაპროექტებული და დამზადებულია შაშხანის ზედა და ქვედა ჩარჩოები, ხუთვაზნიანი ტევადობის მოსახსნელი მჭიდი, სასხლეტი, ჩამკეტი მექანიზმები, საბრძოლო ზამბარები, ორიგინალური კონსტრუქციის 4-სექციიანი ლულის კომპენსატორი (უკუცემის ლოკალიზატორი), წინა და უკანა საყრდენი ფეხები (ბიპოდი და მონოპოდი) და „პიკატინის“ თამასა.

გამოდის, ქართულ სნაიპერულ შაშხანაში არაქართული მხოლოდ ლულა და ოპტიკური სამიზნეა, რომელთა საზღვარგარეთ შესყიდვა (განსაკუთრებით კი ოპტიკური სამიზნეებისა) დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

შაშხანაზე დაყენებულია ბულგარული წარმოების HCBT ტიპის ტყვიამფრქვევის 12,7 მმ კალიბრის ლულა და გამოიყენება 12,7X108 მმ კალიბრის ვაზნები.

ეს ვაზნები ქართული არმიის საცავებში დიდი რაოდენობითაა და ამიტომაც მათ შესაძენად თანხის დახარჯვა საჭირო არ არის. მართალია, ისინი სიზუსტით ჩამოუვარდებიან სპეციალურ სნაიპერულ ვაზნებს (მაგალითად, „ნემესისის“ სნაიპერული შაშხანის სროლისას ქართული სპეცრაზმის სნაიპერები თითქმის 100 ლარად ნაყიდ ვაზნებს იყენებენ), მაგრამ მათი სროლის სიზუსტე მაინც საკმარისია 1,5 კმ-ში მანქანისა თუ შვეულმფრენის დასაზიანებლად, რის გამოც ამ ტიპის მსხვილკალიბრიან შაშხანებს ანტიმატერიალურსაც უწოდებენ.

**ამ ქართულ იარაღს თავიდან ПДШП უწოდეს, სავარაუდოდ, თავდაცვის სამინისტროსა და „დელტას“ მაშინდელი ხელმძღვანელობის ინიციატივით, რაც აბსოლუტურად მიუღებელია და უფრო ქართველი კონსტრუქტორების შრომის შეურაცხყოფაა, ვიდრე მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტისა. ამიტომაც ურიგო არ იქნებოდა, თუკი ამ ქართველი სნაიპერული შაშხანების ორივე მოდელის შესატყვისი და ქართულად კარგად ჟღერადი სახელი დაერქმევა.**

*მსხვილკალიბრიანი დამოკლებული სნაიპერული შაშხანის არასრული დაშლა*



საუკეთესო შედეგი კი, რაც ქართული მსხვილკალიბრიანი შაშხანის გამოცდისას აჩვენა პროფესიონალმა სნაიპერმა, 1654 მ-ში ადამიანის ფიგურის დაზიანება გახლდათ, რაც აბსოლუტურად მისაღებია ტყვიამფრქვევის ლულისა და ვაზნების გამოყენების შემთხვევაში.

„დელტას“ სპეციალისტები თავდაცვის სამინისტროსა და შსს-ს სთავაზობენ იაფი და ეფექტური მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანის ორ მოდელს — სტანდარტულსა და დამოკლებულლულიანს, რომელთა გამოყენება არა მარტო მაღალპროფესიონალ სნაიპერებს, არამედ შედარებით ნაკლებად კვალიფიციურ მსროლელებსაც მასობრივად შეეძლებათ.

ჩვენ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას გვინდა ხაზი გავუსვათ — დღევანდელი მსხვილკალიბრიანი ანტიმატერიალური სნაიპერული შაშხანები, ფაქტობრივად, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ტანკსაწინააღმდეგო თოფების შთამომავლები არიან. მართალია, დღეს 14,5 და მით უმეტეს, 12,7 მმ კალიბრის ჯავშანგამტარი ტყვიებით ტანკებს ველარ შეაჩერებთ, მაგრამ მათ დიდი ალბათობით შეუძლიათ ჯავშანმანქანების, ჯავშანტრანსპორტიორებისა და თვით ქვეითთა საბრძოლო მანქანების (ამ ორ ბოლო შემთხვევაში — გვერდებიდან) ჯავშნის გახვრეტა.

როდესაც დასავლეთს მერამდენე წელია, უშედეგოდ ვეხვეწებით ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების გადმოცემას, უპრიანი ხომ არ იქნებოდა, თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბს უფრო მეტი მოქნილობა და ინიციატივა გამოეჩინათ და „დელტასგან“ დაეწყოთ ქართული მსხვილკალიბრიანი ანტიმატერილური შაშხანების მასობრივად შესყიდვა, რომლებითაც თავისუფლად შეიძლება რუსული ჯავშანმანქანა „ტიგრებისა“ თუ БТР-80 ჯავშანტრანსპორტიორების დაზიანება...

*შაშხანის სროლისას მსროლელის მხარზე უკუცემის ძალა საგრძნობია და ცუდი არ იქნება, თუკი ქართველი კონსტრუქტორები კონდახის ბოლოს რეზინის ამორტიზატორს დაამატებდნენ*



**ირაკლი ალადაშვილი**



ქართული მსხვილკალიბრიანი
დამოკლებული
სნაიპერული შაშხანა

ISSN 1987-5061
9 771987 506007

არსენალი